საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№2 (426)
24 - 30 იანვარი, 2018

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

## მოსახლეობა ახალი, ალტერნატიული პოლიტიკური ძალის მოლოდინშია

3



მირონ სულაქველიძე:

6

## მოვითხოვ სააკაშვილის მარჯვენა ხელის, მიტროპოლიტ დიმიტრი შიოლაშვილის დაპატიმრებას

...დატუსაღების გარეშე ეგ სუბიექტი მავნებლობას თავს არ დაანებებს...





„ბერი მერკვირის სენაკში გამოწვასა და ავტოავარიით მიტროპოლიტ იობის მწყობრიდან გამოყვანას ვინღა გამოიძიებს?
მეუფე იობი ჯერ აჭარაში უშლიდა ხელს დიმიტრი შიოლაშვილს და მან იქიდან მის განტევებას მიაღწია. შემდეგ, საერთოდ, მისი, როგორც კონკურენტის, თავიდან მოშორებაც სურდა... მიტროპოლიტი სერაფიმე (ჯოჯუა) ჩვენი ეკლესიის ერთ-ერთი უპატიოსნესი იერარქი, პატრიარქთან დაახლოებული და აფხაზთათვისაც საიმედო ორთოდოქსი მღვდელმთავარია... სწორედ მისი ეს დადებითი თვისებები და მოღვაწეობა არ აძლევდა მოსვენებას მოდერნისტთა წინამძღვარ დიმიტრი შიოლაშვილს და „ციანიდის საქმემდე“ ცოტა ხნით ადრე პატრიარქის მოსაყდრეობის ამ ერთ-ერთი კანდიდატის დისკრედიტაციაც, სრულიად შესაძლოა, მისი ძალისხმევით მოხდა“



«შექმნილ ვითარებაში დიმიტრი შიოლაშვილს ხელს აძლევს საქართველოდან აჭარის გამოყოფა «თავის» ეპარქიანად და კონსტანტინოპოლის მოდერნისტული საპატრიარქოსადმი დაქვემდებარება»

## NDI-ს გამოკითხვის თანახმად, საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი რუსეთს აშშ-ზე ძლიერ სახელმწიფოდ მიიჩნევს

8




## ვინ ქმნიდა საბჭოთა კავშირის სარაკეტო ბირთვულ ფარს

16

## ნუ გადააქცევთ საქართველოს მეორე სირიად!



10

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ვიზიტი უკრაინაში შემთხვევითი არ იყო. ორივე ქვეყანა აშშ-ის ვასალია და მნიშვნელოვანი ის კი არ არის, რას ფიქრობენ ამ ქვეყნების ხელისუფლებები, არამედ ის, რას ფიქრობს ძია სემი...

წყლის ორი წვეთივით ჰგავს ეს მდგომარეობა იმას, რაც 2008 წლის აგვისტოს ომს უძღოდა წინ. მაშინაც ისმოდა რიხიანი რიტორიკა, ევროპელი თუ ამერიკელი პოლიტიკოსების ხმამაღალი განცხადებები, რომ ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას მხარს უჭერენ და ჩვენს ტერიტორიას ვერავინ შეეხება. შედეგად კი მივიღეთ ის, რომ რუსეთმა ზუსტად ისე გადაგვიარა, როგორც თვითონ აძლევდა ხელს, არც ამერიკის მორიდებია და არც ევროპის.

## ბიძკოინი და ქილა ოცნება



2

„ბიტკოინების საწარმოებლად, დენის დიდი ოდენობით მოხმარების გამო, გაზრდილი ტარიფი მოსახლეობის ჯიბეზე მიმდინარე თვიდან აისახება და ამით თითოეულ ჩვენგანს წვლილი შეგვაქვს მილიარდერი მოქალაქის მიერ მილიონების დაგროვებაში“

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ურიგო არ იქნება, ამ დაპირებებს „ქართული ოცნების“ ლიდერები თუ გადაავლებენ თვალს. თუმცა საეჭვოა, მომატებული ხელფასებით, პრემია-დანამატებით სტომაქამოვსებული „მეოცნებეები“ დაპირებების არათუ შეუსრულებლობამ, არამედ ტარიფების კიდევ უფრო მომატებამ შეაწუხოს. ხალხის გაუსაძლის ყოფაზე ზრუნვა რა მაგათი სადარდებელია. მთავარია, ივანიშვილის ბიუჯეტი იზრდებოდეს წელიწადში თითქმის 400 მილიონი დოლარით.**

# ბიძკოინი და ქილა ოცნება



**საზოგადოებას, რომელსაც „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოსვლამდე ტარიფების შემცირებას ჰპირდებოდა და შემცირების ნაცვლად კიდევ ერთხელ გაუზარდეს, ნამდვილად არ აქვს გასახარად და საამაყოდ საქმე. სამაგიეროდ, გასახარად აქვს საქმე კომპანია BitFury-ს, რომლის გამოც ელექტროენერგიის მომატებული ტარიფის გადახდა საზოგადოებას მოუწევს.**

„საქართველოში კომუნალური გადასახადების ტარიფები 2004 წლიდან ყველა მიმართულებით გეგმაზომიერად და მკვეთრად იმატებდა და 2012 წლისთვის ტარიფების სიდიდით ჩვენმა ქვეყანამ არა მხოლოდ დსთ-ის ქვეყნებს, არამედ ევროპის ბევრ ქვეყანასაც გაუსწრო. ტარიფების მატებითა და კომუნალური გადასახადების ამოღების არაცივილიზებული ხერხების გამოყენებით მკვეთრად გაზრდილი კომუნალური ხარჯები ისედაც ღარიბ მოსახლეობას მძიმე ტვირთად დააწვა. მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის 2004 წლის შემდეგ კომუნალურმა ხარჯებმა საშუალოდ 3-4-ჯერ მოიმატა. ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირის, წყლის მიწოდებასა და ნარჩენების გატანას საქართველოში ერთი საერთო რამ აქვს: თითოეული ამ მომსახურების საფასური არაადეკვატურად მაღალია. ამის მიზეზია მთავრობისა და მარეგულირებელი კომისიების მიერ დაკანონებული უსამართლობა. ამ მხრივ განსაკუთრებით 2007 და 2010 წლები გამოირჩეოდა, როდესაც, დაპირებისა და მძიმე სოციალური ფონის მიუხედავად, ტარიფებმა მკვეთრად მოიმატა. თბილისში წყლის ტარიფმა, 2003 წელთან შედარებით, 160%-ით მოიმატა (2007 წელს გაორმაგდა, ხოლო 2010 წელს კიდევ ერთხელ გაიზარდა). თუმცა არც ერთი დაპირება — 24-საათიანი მომარაგება, წყლის ხარისხის გაუმჯობესება, ტარიფის დიფერენცირება და სხვ. — არ შესრულებულა და, ფაქტობრივად, მოტყუებულმა მოსახლეობამ გაცილებით ძვირად იგივე, უფრო მეტიც, ხშირად უარესი მომსახურება მიიღო. **თითქმის გაორმაგდა ბუნებრივი აირის ფასი.** იგი ძალიან მაღალია, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი წინაპირობა არსებობს ბუნებრივი აირის ტარიფის საგრძნობლად შესამცირებლად (საქართველო უფასოდ იღებს ბუნებრივ აირს არსებული მაგისტრალური და ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენით ტრანზიტისთვის; ბუნებრივი აირის ხარისხი მაღალი არ არის და ა.შ.). ელექტროედნერგიის ტარიფმა იმავე პერიოდში დაახლოებით 70%-ით მოიმატა. აღსანიშნავია, რომ სოციალურად უსამართლოა დაწესებული დიფერენცირებული ტარიფიც. მიგვაჩნია, რომ კომუნალური ტარიფები უნდა ეფუძნებოდეს რეალურ გათვლებს, შეესაბამებოდეს გაწეული მომსახურების ხარისხს და ხელმისწვდომი იყოს ქვეყნის მოქალაქეებისთვის. აქედან გამომდინარე: უმოკლეს ვადებში განვახორციელებთ ტარიფების ხელახალ და სამართლიან გადაანგარიშებას ტარიფების მნიშვნელოვანი შემცირების მიმართულებით; არ დავუშვებთ ტარიფების ზრდას სუბიექტური, უსამართლო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებების საფუძველზე; არ დავუშვებთ ბიზნესისთვის კაბალურ ტარიფებს, რაც აძვირებს პროდუქციას და ხელს უშლის ბიზნესის განვითარებას; გამოირიცხება კოლექტიური მრიცხველები, სხვადასხვა კომუნალური გადასახდელის ერთმანეთზე მიბმა და სხვა ნებისმიერი მექანიზმი, როდესაც უპირატესობა ენიჭება მომსახურების საფასურის ამოღებას და არა მომხმარებელთა ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას“ — ეს არის ამონარიდი საარჩევნო ბლოკ „ბიძინა ივანიშვილი — ქართული ოცნების“ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების პროგრამიდან, რომელსაც კიდევ ერთხელ შევახსენებთ საზოგადოებას და, რაც მთავარია, **ურიგო არ იქნება, ამ დაპირებებს „ქართული ოცნების“ ლიდერები თუ გადაავლებენ თვალს. თუმცა საეჭვოა, მომატებული ხელფასებით, პრემია-დანამატებით სტომაქამოვსებული „მეოცნებეები“ დაპირებების არათუ შეუსრულებლობამ, არამედ ტარიფების კიდევ უფრო მომატებამ შეაწუხოს. ხალხის გაუსაძლის ყოფაზე ზრუნვა რა მაგათი სადარდებელია. მთავარია, ივანიშვილის ბიუჯეტი იზრდებოდეს წელიწადში თითქმის 400 მილიონი დოლარით.**

2018 წელს საქართველოს მოსახლეობა მომატებული ტარიფებით შეხვდა. გაძვირდა როგორც ელექტროენერგიის, ასევე წყლისა და ბუნებრივი აირის ტარიფები. „ქართული ოცნების“ ხუთწლიანი მმართველობის შედეგად გასაოცარი ცხოვრების ნაცვლად მივიღეთ: ეკონომიკური ზრდის ტემის დაცემა, სამუშაო ადგილების შემცირება, მომატებული ბიუროკრატიული ხარჯები, ინფლაცია, ფასებისა და ტარიფების ზრდა, ლარის გაუფასურება და მოსახლეობის უკიდურესი გაღარიბება, თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, **მთავარია, ივანიშვილის ბიუჯეტი იზრდებოდეს წელიწადში თითქმის 400 მილიონით, საზოგადოების ჭირი კი ღობეს ჩხირია...**

სემეკის განმარტებით, დენის გაძვირება განპირობებულია ელექტროენერგიის მოხმარების მომატებით და იმ დიდი ინვესტიციებით, რომელთა ჩადებასაც ქსელის გასამართავად მომდევნო სამი წლის განმავლობაში გეგმავენ კომპანიები. **მაშინ, როდესაც უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი მოსახლეობისთვის დენი 1, 28 თეთრით გაძვირდა, ბიძინა ივანიშვილის კომპანია BITFURY (მართალია, კომპანია ოფიციალურად უარყოფს კავშირს მთავარ მოქალაქესთან, ისევე, როგორც მთავრობის წევრები უარყოფენ ჩრდილოვან მმართველობას, მაგრამ ნათელია და საზოგადოებაც ღრმად არის დარწმუნებული, რომ საქართველოს ხელისუფლებას მილიარდერი მოქალაქე მართავს) შეღავათებით სარგებლობს და დენის საფასურს შეღავათიანი ტარიფით იხდის.** შეგახსენებთ, რომ ეს კომპანია კრიპტოვალუტას — ბიტკოინებს აწარმოებს და ელექტროენერგიას დიდი რაოდენობით მოიხმარს. თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში მდებარე კომპანია BitFury-ს დატა ცენტრი, რომლის სიმძლავრეც 40 მგვტ-ია, ზრდის მოთხოვნას ელექტროენერგიაზე და სწორედ ელექტროენერგიის მოხმარების მატება შეიქნა ტარიფის მომატების საფუძველი, რაც მძიმე ტვირთია ისევ მოსახლეობისთვის, თორემ ივანიშვილის „ფულის საჭრელი ქარხანა“ აქამდეც შეღავათიანი ტარიფით სარგებლობდა და მომავალშიც ისარგებლებს.

კემბრიჯის ალტერნატიული ფინანსების ცენტრის (CCAF) მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, **საქართველო კრიპტოვალუტების მოსაპოვებლად დახარჯული ელექტროენერგიის რაოდენობით მსოფლიოში მეორე ადგილზეა. კვლევაში პირველ ადგილზეა ჩინეთი, სადაც კრიპტოვალუტების შექმნაზე 111 მეგავატი ელექტროენერგია იხარჯება, საქართველოში ეს მაჩვენებელი დაახლოებით 60 მეგავატს შეადგენს, ხოლო აშშ-ში, რომელიც მესამე ადგილზეა, — 27 მეგავატს. ასე რომ, დევიზი „დავეწიოთ და გავუსწროთ ამერიკას“ გამართლებულია.** საზოგადოდ, კრიპტოვალუტის მაინერი კომპანიები ისეთ ქვეყნებშია თავმოყრილი, რომლებშიც ტექნოლოგიები ძალიან განვითარებულია, ელექტროენერგია კი — იაფი. საქართველო ტექნოლოგიურად რომ არ არის განვითარებული და არც იაფი დენია ჩვენს ქვეყანაში, ამაზე, ალბათ, არავინ დავობს... **მართალია, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ 21 ელექტროსადგური აშენდა, რასაც დენის გაიაფება უნდა გამოეწვია და არა გაძვირება, მაგრამ გაირკვა, რომ ჰესების აშენებაც და ბიტკოინების მოსაპოვებლად დახარჯული ელექტროენერგიის საფასურიც ჩვენი გადასახდელი ყოფილა, დიახ, კიდევ ერთხელ გაძვირებული დენის ტარიფი სწორედ ამის შედეგია!** კალაძე კი გვამადლის: 24-საათიანი მუშაობის რეჟიმში 21 ელექტროსადგური, 18 ჰიდროელექტროსადგური, 2 თბოელექტროსადგური და ერთი ქარის ელექტროსადგური ავაშენეთ და ამით საქართველოს მოყვარული ყველა ადამიანი იამაყებსო... საზოგადოებას, რომელსაც „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოსვლამდე ტარიფების შემცირებას ჰპირდებოდა და, შემცირების ნაცვლად, ტარიფები კიდევ ერთხელ გაუზარდეს, ნამდვილად არ აქვს გასახარად და საამაყოდ საქმე. სამაგიეროდ, გასახარად აქვს საქმე კომპანია **BitFury**-ს, რომლის მუშაობის გამო ელექტროენერგიის მომატებული ტარიფის გადახდა საზოგადოებას მოუწევს. აქვე გადავავლოთ თვალი ინფორმაციას კომპანია BitFury-ს შესახებ:

თბილისის ტექნოლოგიური პარკის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა 2015 წლის ოქტომბერში შეიქმნა 49 წლის ვადით. ის მდებარეობს თბილისში, გლდანის რაიონში, 18,5 ჰა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე. თბილისის თიზ-ის (თავისუფალი ინდუსტრიული ზონის) ადმინისტრატორი არის შპს „ჯორჯიან ტექნოლოჯი პარკი“, რომელიც BitFury-ის შვილობილი კომპანიაა. BitFury მსოფლიო კრიპტოვალუტის — ბიტკოინის (ბლოკჩეინის) ტექნოლოგიების წამყვანი კომპანიაა. **ტერიტორია, რომელზეც თავისუფალი ინდუსტრიული ზონაა განლაგებული, თიზ-ის სტატუსის მინიჭებამდე რამდენიმე თვით ადრე, 2015 წლის მაისში, „ჯორჯიან ტექნოლოჯი პარკმა“ სახელმწიფოსგან სიმბოლურ ფასად — 1 ლარად შეიძინა. მიწის გადაცემის საინვესტიციო ვალდებულებად კი მონაცემთა დამუშავების ცენტრის შექმნა განისაზღვრა.**

2015 წლის ბოლოს BitFury-მ თბილისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ტერიტორიაზე 40 მგვტ სიმძლავრის დატა ცენტრი გახსნა და, რადგან ცენტრი თიზ-ის ტერიტორიაზეა, ის ელექტროენერგიის საფასურზე დღგ-ისგან გათავისუფლებულია. დატა ცენტრების ძირითადი ხარჯი სწორედ ელექტროენერგიაზე მოდის, რადგან იქ განთავსებულია მძლავრი სერვერები, რომლებიც ბიტკოინს გამოიმუშავებს, რაც მთავარია, ცენტრში ტემპერატურა ყოველთვის უნდა კონტროლდებოდეს და ელექტროენერგიის მოხმარების ძირითადი წილი სწორედ გაგრილების სისტემაზე მოდის. **BITFURY საქართველოში ფლობს მონაცემთა ორ ცენტრს: 2014 წელს მან გორში ააშენა მონაცემთა ცენტრი, ამისთვისაც „თანაინვესტირების ფონდიდან“ 20 მილიონი მიიღო. შეგახსენებთ, რომ „თანაინვესტირების ფონდი“ 2013 წელს ბიძინა ივანიშვილის ინიციატივით დაფუძნდა და მისი ხელმძღვა-** ▶

**ბიტკოინების საწარმოებლად, დენის დიდი ოდენობით მოხმარების გამო, გაზრდილი ტარიფი მოსახლეობის ჯიბეზე მიმდინარე თვიდან აისახება და ამით თითოეულ ჩვენგანს წვლილი შეგვაქვს მილიარდერი მოქალაქის მიერ მილიონების დაგროვებაში**

**მართალია, «ქართული ოცნების» ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ 21 ელექტროსადგური აშენდა, რასაც დენის გაიაფება უნდა გამოეწვია და არა გაძვირება, მაგრამ გაირკვა, რომ ჰესების აშენებაც და ბიტკოინების მოსაპოვებლად დახარჯული ელექტროენერგიის საფასურიც ჩვენი გადასახდელი ყოფილა**

**ვის დაუჭერს მხარს გამოკითხულთა 52 პროცენტი, რომელსაც სადღეისოდ არ ჰყავს ფავორიტი პოლიტიკური ძალა, ანუ რომლისთვისაც ერთნაირად მიუღებელია როგორც ხელისუფლებაში მოკალათებული, ძირითადად, „ნაცმოძრაობის“ გადმონაშთებისგან დაკომპლექტებული „ქართული ოცნებაც“ და „ნაცმოძრაობის“ ნამსხვრევებისა და 3-პროცენტიანი მხარდაჭერის მქონე უპერსპექტივო, მედასავლეთე პარტიებისგან შეკოწიწებული ოპოზიციაც?**

საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **ნელია უმრავლესობის ყოფილი ლიდერი დავით საგანელიძე.** Bit-Fury-ს ჯგუფის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ მათ „თანაინვესტირების ფონდისგან“ მიღებული სესხი დაფარეს, ამ ეტაპზე კი არანაირი კავშირი არ აქვთ არც „თანაინვესტირების ფონდთან“ და არც ბიძინა ივანიშვილთან.

საზოგადოებისთვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, როგორ შეესაბამება თბილისის თავისუფალი ზონის შექმნის პირობები კანონმდებლობას. კანონმდებლობის თანახმად, თავისუფალი ზონა იქმნება სახელმწიფოს ინიციატივით ან ბიზნესის მოთხოვნით. ამ კონკრეტულ შემთხვევაში შეიქმნა ბიტკოინების მწარმოებელი კომპანიის მოთხოვნით. თავისუფალი ზონა კი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: მიწის ფართობი უნდა აღემატებოდეს 10 ჰექტარს და მოთხოვნის შეტანისას მთხოვნელმა უნდა წარადგინოს საკუთრების დოკუმენტაცია. ამ შემთხვევაში **მთავრობამ BITFURY-ს მოთხოვნამდე რამდენიმე თვით ადრე სიმბოლურ ფასად, 1 ლარად, გადასცა ამ კომპანიას სახელმწიფოს კუთვნილი თითქმის 2 მილიონი ლარის ღირებულების მიწა;** კომპანიამ მთავრობას უნდა წარუდგინოს გეგმა, რომელშიც აღწერილი იქნება, რა სარგებელს მიიღებს საქართველო თავისუფალი ზონიდან. ეს შეიძლება იყოს ინვესტიციები, მოსახლეობის დასაქმება და ქვეყნის ეკონომიკის განვითარება. **ამ კონკრეტულ შემთხვევაში არც ერთი მოთხოვნა არ შესრულებულა.** მოკლედ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კომპანიამ 2014 წელს ბიძინა ივანიშვილის მიერ დაფუძნებული „თანაინვესტირების ფონდისგან“ 20 მილიონი მიიღო. BitFury-ს აღმასრულებელი დირექტორი არის **ვალერი ვავილოვი**, დირექტორთა საბჭოს წევრი კი — ბიზნესმენი **გიორგი კიკვაძე,** რომელიც, ამასთანავე, „თანაინვესტირების ფონდის“ ერთ-ერთი აღმასრულებელი დირექტორია. როგორც ხედავთ, **აშკარაა საქართველოს მთავრობის მიერ ბიძინა ივანიშვილისთვის კიდევ ერთხელ სასათბურე პირობების შექმნა და სამწუხაროა, რომ ეს ყველაფერი საქართველოს მოსახლეობის ხარჯზე ხდება.** ნაცვლად იმისა, რომ თავისუფალი ზონისთვის გათვალისწინებული პრივილეგიების შედეგად მიღებული სარგებელი ეკონომიკურ ზრდას, პენსიებისა და დახმარებების მომატებას, ადამიანების დასაქმებასა და კეთილდღეობას მოხმარდეს, ეს ყველაფერი მიმართულია მილიარდერი ივანიშვილის კიდევ უფრო გასამდიდრებლად. აქვე გეტყვით, რომ არის დღეები, როდესაც დატა ცენტრის შემოსავალი რამდენიმე ასეული მილიონია.

ცოტა ხნის წინათ **BITFURY-ს ჯგუფმა გაავრცელა განცხადება, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ დენის ტარიფთან დაკავშირებით არანაირი შეღავათით არ უსარგებლიათ და ყველა გადასახადს საქართველოს კანონმდებლობის თანახმად იხდიან. ამ განცხადებამ, შესაძლოა, გვაფიქრებინოს, რომ ბიტკოინების მწარმოებელი კომპანიის მიმართ ცრუ ბრალდებები გაისმა,** მაგრამ კომპანია ამ განცხადებით თაღლითურად ცდილობს საზოგადოების დარწმუნებას, რომ არანაირი შეღავათით არ სარგებლობს და მის გამო მოსახლეობისთვის გაძვირებული დენის ტარიფი და დენის მათ მიერ გადახდილი საფასური ერთი და იგივეა. სინამდვილეში კი, რადგან Bit-Fury-ს ცენტრი თავისუფალი ეკონომიკური ზონის ტერიტორიაზეა განთავსებული, ის გათავისუფლებულია დღგ-ის გადასახადისგან და ელექტროენერგიის საფასურსაც დღგ-ის გარეშე იხდის. მათ მიერვე გასაჯაროებული ინფორმაციის თანახმად, მაგალითად, 2017 წლის დეკემბერში Bit-Fury-ს მიერ გახარჯული ელექტროენერგიის რაოდენობა 27017100 კვტ/სთ იყო, რისთვისაც მან 3 329 587 ლარი გადაიხადა. ელექტროენერგიის ტარიფში დღგ-ის განაკვეთი 18%-ია, შესაბამისად, დატა ცენტრი ყოველთვიურად ელექტროენერგიაში გადახდილი თანხის 18%-ს ზოგავს. გამოდის რომ, მხოლოდ დეკემბერში კომპანიამ თითქმის 600 ათასი ლარი დაზოგა. აღარაფერს ვამბობთ სხვა შეღავათებზე, რომლებითაც თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში მდებარე ეს, ასე ვთქვათ, ფულის საჭრელი ქარხანა სარგებლობს. აქვე აღვნიშნავთ, რომ BitFury კაიმანის კუნძულებზე, ოფშორულ ზონაშია რეგისტრირებული და შვილობილი კომპანიების გავლით ოპერირებს.

რაც შეეხება ელექტრონულ ფულს, ბიტკოინებს, მის მიმართ ექსპერტები სკეპტიკურად არიან განწობილი. მაგალითად, ყოფილი ვიცეპრემიერი, ექსპერტი **თემურ ბასილია** ამბობს: **„ბიტკოინით მოსარგებლე ადამიანი ხან მოგებული დარჩება და ხან — წაგებული, ეს არის ახალი პირამიდა, რომელშიც ჩართულნი არიან ადამიანების მასები და ამდენად არ არის გამორიცხული, ამ პირამიდამ არსებობა დაასრულოს ისე, როგორც მისმა წინამორბედმა პირამიდებმა. ვურჩევ საქართველოს მოქალაქეებს, იყვნენ ფრთხილად! ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება ბიტკოინი დიდი სკანდალით დასრულდეს და ასიათასობით ადამიანის გაკოტრება გამოიწვიოს!“** ეს არ არის მხოლოდ ერთი კონკრეტული ექსპერტის მოსაზრება. როგორც ქართველი, ისე უცხოელი ექსპერტების დიდი ნაწილი ბიტკოინების მიმართ სწორედ ასეა განწყობილი. ამ ეტაპზე კი, სანამ ეს ფინანსური პირამიდა დიდ მოგებას აძლევს მავანს, საზოგადოებისთვის უკვე მძიმე ტვირთად იქცა. ბიტკოინების საწარმოებლად დენის დიდი ოდენობით მოხმარების გამო გაზრდილი ტარიფი მოსახლეობის ჯიბეზე მიმდინარე თვიდან აისახება და ამით თითოეულ ჩვენგანს წვლილი შეგვაქვს მილიარდერი მოქალაქის მიერ მილიონების დაგროვებაში...

**გიორგი გელაშვილი**

# ენ-დი-აი-ს კვლევის თანახმად, მოსახლეობა ახალი, ალტერნატიული პოლიტიკური ძალის მოლოდინშია




**ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) და CRRC-საქართველოს მიერ, დიდი ბრიტანეთის მთავრობის ფინანსური ხელშეწყობით დეკემბერში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების მიხედვით, საპარლამენტო არჩევნები ხვალ რომ გაიმართოს, გამოკითხულთა 27% მხარს „ქართულ ოცნებას“ დაუჭერდა. 24%-მა განაცხადა, რომ არც ერთ პარტიას არ მისცემდა ხმას, 15%-მა — არ იცის (გამოდის, რომ არც ამ 15 %-ს აქვს ჩამოყალიბებული პოზიცია პოლიტიკური სპექტრისადმი, არ ჰყავს ფავორიტი პოლიტიკური ძალა და, შესაბამისად, ეს 15%, ძირითადად, პასიური ამომრჩეველია), 13%-მა კი უარი განაცხადა, ეპასუხა.**

## სახეები, რომლებსაც პოლიტიკურ სცენაზე ვხედავთ (ხელისუფლების წარმომადგენელი იქნება ის თუ ხელისუფლებასთან კოაბიტაციაში მყოფი ოპოზიციის) საზოგადოების დიდი ნაწილისთვის მიუღებელია

როგორც ხედავთ, საპარლამენტო არჩევნები ხვალ რომ გაიმართოს, პოლიტიკურ ავანსცენაზე მყოფ არც ერთ ძალას გამოკითხულთა 24 % ხმას არ მისცემს, ის 15%-იც, რომელმაც არ იცის, ვის მისცეს ხმა, მივა კი საერთოდ საარჩევნო ყუთთან? და, თუ მივიდა არჩევნებზე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ არც ერთი მოქმედი პოლიტიკური ძალის ამომრჩეველი არც ეს 15% არ არის. არც ის 13%-ია, სავარაუდოდ, არც ერთი პოლიტიკური ძალის ამომრჩეველი, რომელსაც დასმულ შეკითხვაზე, პასუხად უარი ჰქონდა. თუ ზემოთ ჩამოთვლილ ციფრებს დავაჯამებთ, ვნახავთ, რომ ენ-დი-აი-ს მიერ გამოკითხულთა 52% (რაც ძალიან მაღალი მაჩვენებელია) დღეს ქვეყანაში მოქმედ არც ერთ პოლიტიკურ ძალას არ ენდობა და, შესაბამისად, არც რომელიმე მათგანის ამომრჩეველია. ეს მოცემულობა კი ქმნის აუცილებლობას, ქვეყანაში გამოჩნდეს ახალი პოლიტიკური ძალა. ფაქტია: **სახეები, რომლებსაც პოლიტიკურ სცენაზე ვხედავთ (ხელისუფლების წარმომადგენელი იქნება ის თუ ხელისუფლებასთან კოაბიტაციაში მყოფი ოპოზიციის) საზოგადოების დიდი ნაწილისთვის მიუღებელია.** მიზეზი მრავალი კომპონენტისგან შედგება. მათ შორის, პირველ რიგში, უკვე საქილიკო თემად ქცეული **კოაბიტაციაა.** საზოგადოების ნიჰილიზმისა და უნდობლობის ერთ-ერთი მიზეზი არის ის, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ დიქტატორული მმართველობის მსხვერპლთათვის ვერა და ვერ აღდგა **სამართლიანობა.** უნდობლობის კიდევ ერთი მიზეზი მნიშვნელოვნად **გაუარესებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაცაა.**

ამომრჩეველი უკეთესი ცხოვრების იმედით „ქართული ოცნების“ გამარჯვებაზე და საოცნებო მეოთხე წელიწადზე ოცნებობდა, ხოლო მიიღო მომატებული ტარიფები, გაუფასურებული ლარი, მომატებული ფასები და მილიარდერი მოქალაქის კიდევ რამდენიმე ასეული მილიონით გაზრდილი ბიუჯეტი. საზოგადოების იმედგაცრუების ერთ-ერთი მიზეზი ქვეყანაში გაზრდილი კრიმინალიც შეიძლება იყოს, ქვეყნის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის სრულიად გაუგებარი და უსახური წარმართვაც. მოკლედ, ფაქტია, რომ ჩამოთვლა იმ მიზეზებისა, რომლებმაც საზოგადოების არცთუ მცირე ნაწილს არსებული პოლიტიკური ისტებლიშმენტის ნდობა დააკარგვინა, შორს წაგვიყვანს. ისიც აშკარაა, რომ **ენ-დი-აი-ს მიერ გამოკითხულთა 52% პოტენციური ამომრჩეველი შეიძლება იყოს ახალი პოლიტიკური ძალისა, თუკი ასეთი გამოჩნდება ქართულ პოლიტიკაში.** თვით ის ფაქტი, რომ ენ-დი-აი-მაც ვერ გაბედა ამ კონკრეტულ მოცემულობაში გამოკითხულთა განწყობის შელამაზება, გამოკითხვის შედეგებსა და ამ თვალსაზრისით ქვეყანაში უნდობლობით გამოწვეულ კრიზისს კიდევ უფრო საგანგაშოს ხდის. ამ საგანგაშო ვითარებამ, პირველ რიგში, ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური ძალა უნდა დააფიქროს. კვლევის ეს შედეგები მნიშვნელოვანი გზავნილია პარტიებისადმი.

ენ-დი-აი-ს კვლევაში კითხვა საქართველოს ევროკავშირში შესვლასაც შეეხებოდა. რესპონდენტებს შეკითხვები რამდენიმე მიმართულებით დაუსვეს და, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში სულ უფრო იკლებს იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებსაც ევროკავშირის წევრობა სურთ. ამასთანავე, იმატებს იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებსაც ევრაზიულ კავშირში საქართველოს გაერთიანება სურთ. კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხულთა თითქმის ერთ მესამედს ისევ რუსეთთან ერთად უნდა ყოფნა. ენ-დი-აი-ს მიერ ჩატარებული კვლევის აღნიშნულ შედეგებს პროდასავლური ორიენტაციის მქონე არასამთავრობოების წარმომადგენლები თუ პოლიტიკოსები რუსულ პროპაგანდას მიაწერენ, თუმცა ცხადია, არაფერს ამბობენ იმაზე, რომ პროდასავლური თუ პროამერიკული პროპაგანდისთვის საქართველოში დასავლეთი მილიონებს რიცხავს (როგორც კვლევები ადასტურებს, არცთუ გამართლებულად) და, რაც მთავარია, უცნობია პასუხი კითხვაზე — ვის დაუჭერს მხარს გამოკითხულთა 52 პროცენტი, რომელსაც სადღეისოდ არ ჰყავს ფავორიტი პოლიტიკური ძალა, ანუ რომლისთვისაც ერთნაირად მიუღებელია როგორც ხელისუფლებაში მოკალათებული, ძირითადად, „ნაცმოძრაობის“ გადმონაშთებისგან დაკომპლექტებული „ქართული ოცნებაც“ და „ნაცმოძრაობის“ ნამსხვრევებისა და 3-პროცენტიანი მხარდაჭერის მქონე, უპერსპექტივო, მედასავლეთე პარტიებისგან შეკოწიწებული ოპოზიციაც?

არადა, დღის წესრიგის მთავარი საკითხი სწორედ ეს არის — ენ-დი-აი-ს კვლევებმა ნათლად აჩვენა, რომ საზოგადოება ახალი, ალტერნატიული პოლიტიკური ძალის მოლოდინშია. მეტიც ამ ციფრებზე დაყრდნობით თამამად შეიძლება ითქვას — **ალტერნატიული პოლიტიკური ძალის გამოჩენა საზოგადოების შეკვეთაა და მას სოლიდური ელექტორატი ელოდება.**

**გიორგი გელაშვილი**

მსოფლიო

# აშშ-ში პროკურორის მოადგილემ სასამართლო დარბაზში მოზარდი მოკლა

**ეს მოხდა წლეულს, 17 იანვარს ოჰაიოს შტატში. პროკურორის მოადგილე ფრანკლინმა ყმაწვილს სასამართლო მოსმენის დროს ესროლა.**

რომელიღაც მომენტში იფეთქა კონფლიქტმა პროკურორის მოადგილეს, მოზარდსა და მის მშობლებს შორის.

სამართალში მიცემულის ნათესავები თავს დაესხნენ პროკურორის მოადგილეს, მანაც თავდაცვის მიზნით გაისროლა. ტყვია ბიჭს მოხვდა. დაჭრილი სასწრაფოდ გადაიყვანეს ჰოსპიტალში, მაგრამ ვერ გადაარჩინეს.



დანაშაული და სასჯელი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ხაშურის რაიონში სკოლის ორი მოსწავლე ცივი იარაღით დაჭრეს. რუსთავში ყოფილი დეპუტატი, გენერალი სამსონ ქუთათელაძე მოკლეს. თბილისში ყაჩაღებმა სიცოცხლეს გამოასალმეს ერთ-ერთი მარკეტის მეპატრონე ცოლ-ქმარი. ასპინძაში სასტიკად ნაწამები მამაკაცის გვამი იპოვეს, რომელიც, წინასწარი ინფორმაციით, მიყენებული ჭრილობის გამო სისხლისგან დაიცალა. თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, 26 წლის მოქალაქე ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრეს.**

# ვინ მოიგებს «ბასიანის» ბრძოლას?

**გასულ კვირას ერთმანეთის მიყოლებით რამდენიმე რეზონანსული დანაშაული მოხდა. კრიმინოგენული სიტუაციის გაუარესებას შეიძლება მნიშვნელოვანი პოლიტიკური შედეგები მოჰყვეს.**

ხაშურის რაიონში სკოლის ორი მოსწავლე ცივი იარაღით დაჭრეს. რუსთავში ყოფილი დეპუტატი, გენერალი სამსონ ქუთათელაძე მოკლეს. თბილისში ყაჩაღებმა სიცოცხლეს გამოასალმეს ერთ-ერთი მარკეტის მეპატრონე ცოლ-ქმარი. ასპინძაში სასტიკად ნაწამები მამაკაცის გვამი იპოვეს, რომელიც, წინასწარი ინფორმაციით, მიყენებული ჭრილობის გამო სისხლისგან დაიცალა. თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, 26 წლის მოქალაქე ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრეს.

ამ ფონზე საზოგადოების ყურადღება კლუბ „ბასიანთან" მომხდარმა ინციდენტმა მიიპყრო. **27 წლის თამაზ ქვლივიძეს ბრალს დებენ კლუბის დაცვის ორი თანამშრომლისა და ერთი პოლიციელის დაჭრაში.** პირველი ბუნდოვანება ამ საქმეში სწორედ პოლიციელის დაჭრას უკავშირდება. შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე **ნათია მეზვრიშვილი** ამბობს: „ის დაიჭრა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, კერძოდ, მაშინ, როდესაც თავდასხმის დროს კლუბის ორ თანამშრომელს იცავდა". **თამაზ ქვილივიძის ადვოკატმა დავით კორკოტაშვილმა** კი „ტვ პირველის" ეთერში განაცხადა, რომ **„გამოძიება არ ედავება მას, რომ მან პოლიციელი დაჭრა... პოლიციელი არის თუ არა დაჭრილი, ჩვენ ამის შესახებ არ ვიცით, რადგან საქმეში ამის დამადასტურებელი არც ერთი მტკიცებულება არ დევს – არც სამედიცინო ცნობა, არც ფოტოგრაფია დაჭრილის სხეულისა, არც ექსპერტიზის დასკვნა".** „ბასიანის" დაცვის უფროსის ინფორმაციით, ინციდენტი მას შემდეგ დაიწყო, როცა ქვლივიძე და მისი მეგობარი კლუბში არ შეუშვეს.

პროკურატურამ ბრალდებულისთვის წინასწარი პატიმრობა მოითხოვა, მაგრამ თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე **ბადრი შონიამ** მას აღკვეთის ღონისძიების სახით 30 000 ლარის გირაო შეუფარდა და გაათავისუფლა. სკანდალი სწორედ ამის შემდეგ დაიწყო.

ინციდენტი 13 იანვარს მოხდა, მაგრამ საზოგადოების უდიდესმა ნაწილმა მის შესახებ არაფერი იცოდა იმ მომენტამდე, სანამ „ბასიანის" ერთ-ერთმა დამფუძნებელმა **ნაჯა ორაშვილმა** „ფეისბუქში" მოსამართლის გადაწყვეტილება არ გააპროტესტა. მხოლოდ ამის შემდეგ გავრცელდა დაზარალებულთა კომენტარები, ერთ-ერთი დაჭრილის ფოტოები და ცნობილი გახდა ბრალდებულის ვინაობა. ამ გარემოების გათვალისწინება მნიშვნელოვანია — იმ მომენტში, როდესაც მოსამართლე შონიას გადაწყვეტილება გამოჰქონდა, საქმეს ფართო რეზონანსი არ შეუქმნია. ძნელი სათქმელია, გააკეთებდა თუ არა ის იმავეს თუ სკანდალი უფრო ადრე დაიწყებოდა.

**ფორმალური თვალსაზრისით, ბადრი შონიას გირაოს თაობაზე გადაწყვეტილების გამოტანის უფლება ჰქონდა, მაგრამ ქართული მართლმსაჯულების უახლეს ისტორიაში არ მოიძებნება პრეცედენტი, რომ პოლიციელის, ამასთანავე, სხვა პირების დაჭრის შემდეგ, ბრალდებული გირაოთი გამოეშვათ.**

ოფიციალური ბიოგრაფიის თანახმად, ბადრი შონია 2006 წლის მარტიდან 2006 წლის ივლისამდე მუშაობდა დუშეთის რაიონული პროკურატურის პროკურორად; 2006 წლის ივლისიდან 2007 წლის ივნისამდე — მცხეთა-მთიანეთის, ხოლო 2007 წელს (ივნისიდან ნოემბრამდე) — სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროს გამომძიებლად. 2007-2009 წლებში მუშაობდა სენაკის, ხოლო 2009-2010 წლებში ზუგდიდის რაიონულ პროკურატურაში რაიონულ პროკურორად. 2011 წლის ნოემბრიდან ბადრი შონია თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლეა.

**სოციალურ ქსელებში გამოითქვა ორი ძირითადი ვერსია, რომ მთავარი როლი გირაოს შეფარდებაში კორუფციამ ან ბრალდებულის ოჯახის გავლენამ შეასრულა.** ბრადებულის ბაბუას, მეღვინე **თამაზ ქვლივიძეს** გარკვეული კავშირები ჯერ კიდევ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში ჰქონდა. 1979 წლიდან ხაშმის ღვინის ქარხნის დირექტორი იყო, 1983 წლიდან — საგარეჯოს ღვინის ქარხნის დირექტორი, შემდეგ — ფირმა „სამების" საგარეჯოს ღვინის ქარხნის დირექტორი. ოჯახის გავლენის მნიშვნელოვანი ზრდა სააკაშვილის მმართველობის პერიოდში დაიწყო და 2012 წლის შემდეგაც გაგრძელდა.

ბრალდებულის მამა **პაატა ქვლივიძე** „ქართუ-უნივერსალის" 3%-იანი წილის მფლობელია, რომელიც „ქართუ ჯგუფის" ქოლგის ქვეშ ცნობილი „თოლიას" საწარმოს ამუშავებისთვის შეიქმნა. ის „თოლიაში" მას შემდეგაც დარჩა, რაც საწარმო გოგი თოფაძის ხელში გადავიდა (თოფაძის თქმით, ივანიშვილმა მას „თოლია" ძალიან შეღავათიან ფასში მიჰყიდა, პრაქტიკულად აჩუქა). საზოგადოებისთვის პაატა ქვლივიძე, აგრეთვე, ცნობილია, როგორც ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებული შპს „თბილგვირაბმშენის" დირექტორი (ამ ფირმის კომერციული დირექტორის მოადგილე 2013-ში ქრთამის აღებაზე დააკავეს). სოცქსელებში, აგრეთვე, ბევრს წერდნენ პაატა ქვლივიძის ახლო ურთიერთობაზე ცნობილ ბიზნესმენ გიორგი რამიშვილთან (მეტსახელად „ზარალა") და მის ძველ სამეგობროსთან.

პაატა ქვლიძემ „პალიტრანიუსთან" საუბარში საკუთარი მდგომარეობა ასე აღწერა: „არ მყავს პატრონი, რომ ვილაცები ჩამერია. მე თვითონ უმუშევარი ვარ. რაღაც „თოლიას" წილი მაქვს, თუმცა ვალებისკენ მიდის ყველაფერი. მე არც ოლიგარქი ვარ, არც „ოცნების" წევრი ვარ". რაც შეეხება „ბასიანთან" მომხდარ ინციდენტს, მასზე პაატა ქვლივიძე ამბობს: **„ამათგან არ არის დაწყებული, დაწყებულია იმათი მხრიდან. გვაპატიონ, ვეუნებით და შევუთვალე კიდეც. ამ ბიჭმაც თქვა, რომ არ უნდა მომექნიაო, მაგრამ მოხდა. ხდება ყველაფერი, თუმცა არ არის ჩემი შვილი მკვლელი და ნაძირალა. ის არც კლუბებში დადის"** (ინტერპრესნიუსი).

პროკურატურამ სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა და 17 იანვარს, მას შემდეგ, რაც ამ საქმის გარშემო მკვეთრად ნეგატიური საზოგადოებრივი აზრი ჩამოყალიბდა, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, თამაზ ქვლივიძეს წინასწარი პატიმრობა შეეფარდა, მაგრამ ვნებათაღელვა გაგრძელდა, სავარაუდოდ, იმიტომ, რომ საზოგადოება კიდევ ერთხელ მივიდა დასკვნამდე, რომ ქვეყანაში ორი სამართალი არსებობს, ერთი — მდიდრებისთვის, რომელთაც გავლენიანი მფარველები ჰყავთ, და მეორე ჩვეულებრივი ადამიანებისთვის.

თამაზ ქვლივიძის საქმესთან დაკავშირებულ ფართო რეზონანსს, შესაძლოა, სოციალური ქვეტექსტიც ჰქონდა. ეს იყო ერთ-ერთი იშვიათი შემთხვევა, როდესაც ღარიბმა მოქალაქეებმა მიიღეს შესაძლებლობა, მდიდრებს (ქვლივიძის ოჯახს) კანონიერების სახელით დაპირისპირებოდნენ და ნაკლებად სავარაუდოა, ეს შანსი ხელიდან გაეშვათ.

ამ საქმის ყველა დეტალს საზოგადოება, ალბათ, ვერასდროს გაიგებს — უცნობია, ჰქონდა თუ არა ადგილი რაიმე კომუნიკაციას მხარეებს შორის სკანდალური გადაწყვეტილების გამოტანამდე, ფარული შეთანხმებისა და საქმის ჩაფარცხვის მცდელობას და ვინ რა გავლენას ახდენდა სასამართლოზე. თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, ის კლუბ „ბასიანის" რეპუტაციაზე დადებითად აისახოს — პირველად ხმაური მის გარშემო მას შემდეგ დაიწყო, რაც „პატრიოტთა ალიანსის" წევრმა ლადო სადღობელაშვილმა განაცხადა: „ სანდო წყარომ მომაწოდა ინფორმაცია, — ეს კლუბი, ეს გარყვნილების ბუდე და ნარკო პრიტონი, ნაწილობრივ ეკუთვნის ჩვენი პირველი ვიცეპრემიერის მეუღლეს (მეწილეა)". იყო სხვა უსიამოვნო ეპიზოდები და ბრალდებები, ახლა კი სისხლიანი ინციდენტი მოხდა.

**შინაგან საქმეთა სამინისტრომ სიმბოლურად გაუსვა ხაზი თავის დამოკიდებულებას ამ საქმის მიმართ, როდესაც ინციდენტის დროს დაჭრილი პოლიციელის დაჯილდოების გადაწყვეტილება მიიღო**. მიუხედავად იმისა, უნდოდა თუ არა ეს ახალ მინისტრს, გიორგი გახარიას, დამნაშავის სათანადო დასჯა მისთვის „ღირსების საქმე" გახდა, რადგან, რბილი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში, გამოვა, რომ ხელისუფლება პოლიციელების ინტერესებს სათანადოდ ვერ იცავს, რაც უარყოფითად შეიძლება აისახოს მათ ლოიალურობაზე. როდესაც გახარია მინისტრად დანიშნეს, ბევრს საუბრობდნენ იმაზე, რომ ეს თანამდებობა მისთვის შეიძლება ტრამპლინი გახდეს და მალევე პრემიერმინისტრის პოსტზე ვიხილოთო, მაგრამ ეს, ალბათ, არ მოხდება თუ კრიმინოგენული მდგომარეობა კვლავინდებურად გაუარესდება, ხოლო თავდასხმა პოლიციელებზე არ დაისჯება.

**ღატაკ ქვეყანაში დანაშაული „თავისით" არ შემცირდება; მძიმე შემთხვევები სულ უფრო ხშირია, პრევენციის მექანიზმები ძალიან ცუდად მუშაობს. არსებობს პრობლემის გადაწყვეტის რამდენიმე გზა, რომელთაგან საუკეთესოა საყოველთაო თანასწორობა კანონის წინაშე, მაგრამ ხელისუფლება მას ვერ უზრუნველყოფს. არსებობს პოლიციური ტერორის გზა, რომელსაც სააკაშვილის ხელისუფლება მიმართავდა, აგრეთვე, ხელისუფლების ორგანიზებულ დანაშაულთან თანამშრომლობის გზა — მაფია იქნება თუ ქურდული სამყარო — რომელიც, გარკვეული შეღავათების სანაცვლოდ, მთავრობას წვრილი დანაშაულის კონტროლში ეხმარება. „ქართული ოცნება" არც ამ მანკიერ სტრატეგიებს იყენებს, ამასობაში კი დანაშაული სულ უფრო ხშირი და სასტიკი ხდება.**

თუ არსებული ტენდენციები გაძლიერდება, ალბათ, არ უნდა გამოვრიცხოთ პოლიციური ტერორის დაბრუნება, მითუმეტეს რომ ახალ ხელისუფლებას არ განუხორციელებია რეფორმა, რომელიც ამის შესაძლებლობას შეზღუდავდა. „საქართველოს არ გააჩნია დამოუკიდებელი, ეფექტიანი მექანიზმი სამართალდამცავების მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოსაძიებლად. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც იწყება გამოძიება, ის მიმდინარეობს ისეთი მუხლებით, რომლებიც მსუბუქ, შეუსაბამო სანქციებს ითვალისწინებს, მაგალითად, „სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება" და იშვიათად დგება გამამტყუნებელი განაჩენები. შესაბამისი ორგანოები მომჩივნებს ხშირად არ ანიჭებენ მსხვერპლის სტატუსს, რაც მათ შესაძლებლობას ართმევს, შეისწავლონ გამოძიების მასალები", — ნათქვამია „ჰიუმან რაიტ უოტჩის" ანგარიშში, რომელიც გასულ კვირას გამოქვეყნდა.

სიტუაცია უარესდება და ჯერჯერობით არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ ხელისუფლება დანაშაულთან ბრძოლაში გარდატეხის შეტანას მოახერხებს.

**ლუკა ნემსაძე**

**ეს იყო ერთ-ერთი იშვიათი შემთხვევა, როდესაც ღარიბმა მოქალაქეებმა მიიღეს შესაძლებლობა, მდიდრებს (ქვლივიძის ოჯახს) კანონიერების სახელით დაპირისპირებოდნენ**

**ღატაკ ქვეყანაში დანაშაული «თავისით» არ შემცირდება; მძიმე შემთხვევები სულ უფრო ხშირია, პრევენციის მექანიზმები ძალიან ცუდად მუშაობს. არსებობს პრობლემის გადაწყვეტის რამდენიმე გზა, რომელთაგან საუკეთესოა საყოველთაო თანასწორობა კანონის წინაშე, მაგრამ ხელისუფლება მას ვერ უზრუნველყოფს**

**ქვეყანაში ორი სამართალი არსებობს, ერთი — მდიდრებისთვის, რომელთაც გავლენიანი მფარველები ჰყავთ, და მეორე ჩვეულებრივი ადამიანებისთვის**

**გამოკითხულთა 60% ეთანხმება მოსაზრებას, რომ ქართული ტელეარხები ხშირად ავრცელებენ დეზინფორმაციას, 51% იმავეს ონლაინ-გამოცემებზე ამბობს, ხოლო 43% — ბეჭდურ მედიაზე. გამოკითხულთა 53% მიიჩნევს, რომ ქვეყანაში არსებობს რუსული პროპაგანდა, 45% საუბრობს ევროკავშირიდან, ხოლო 41% აშშ-დან მომავალ პროპაგანდაზე. საინტერესოა, რომ გამოკითხულთა აზრით, ქართული სატელევიზიო არხებით, უპირველესად, დასავლური პროპაგანდა ვრცელდება. რესპოდენტების 66% თვლის, რომ ამ გზით ვრცელდება აშშ-დან მომავალი პროპაგანდა, 66% — ევროკავშირიდან, 53% კი რუსეთიდან მომავალ პროპაგანდაზე მიუთითებს. რაც შეეხება ინტერნეტს, აქ გამოკითხულთა 31%, უპირველესად, ამერიკულ პროპაგანდას ხედავს, 31% — ევროპულს, 28% კი — რუსულს.**




დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95


**გასულ კვირას თავი შეგვახსენა ორმა გავლენიანმა ამერიკულმა ორგანიზაციამ: „ფრიდომ ჰაუსმა“ და „საერთაშორისო საკითხების ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა“. ამ უკანასკნელს, როგორც წესი, უბრალოდ, ენ-დი-აის ვუწოდებთ. პირველმა გამოაქვეყნა ყოველწლიური ანგარიში „თავისუფლება მსოფლიოში“, ხოლო მეორემ საქართველოში ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის შედეგები გაგვაცნო. ორივე დოკუმენტი საკმაოდ საგულისხმო ინფორმაციას შეიცავს.**

# საოცნებო მეხუთე წელი: იმედგაცრუების პიკი

„ფრიდომ ჰაუსის“ ანგარიშის მთავარი დასკვნა შემდეგია: მსოფლიოში თავისუფლების ხარისხი მცირდება. რაც შეეხება საქართველოს, მას კვლავინდებურად „ნაწილობრივ თავისუფალ ქვეყანას“ უწოდებენ. „ფრიდომ ჰაუსმა“ ყურადღება ორ ფაქტზე გაამახვილა: „აფგან მუხთარლი თბილისში თითქოსდა ქართულად მოსაუბრე პირებმა გაიტაცეს, შემდეგ აზერბაიჯანის საზღვარზე გადაიყვანეს, რამაც გააჩინა ეჭვები გატაცებაში საქართველოს ხელისუფლების თანამონაწილეობაზე“. კიდევ ერთი კრიტიკული აბზაცი პოლიტიკურ სიტუაციას ეხება: „ახლახან „ქართულმა ოცნებამ“ საკონსტიტუციო ცვლილებები მიიღო, რაც მისი მფარველის, დახურულ კარს მიღმა მცხოვრები მილიარდერი ექსპრემიერის, ბიძინა ივანიშვილის, ფინანსურ მხარდაჭერასთან ერთად, დანაწევრებული ოპოზიციის შედეგიან ბრძოლას მომავალ არჩევნებში კიდევ უფრო სათუოს გახდის და პოტენციურად გაამყარებს მმართველი პარტიის კონტროლს მომდევნო წლებში“.

ის, რომ სამარცხვინო საკონსტიტუციო რეფორმა უკვე მოხვდა და კიდევ არაერთგზის მოხვდება სხვადასხვა ანგარიშში, ალბათ, გასაკვირი არაა, თუმცა, ალბათ, არსებობს კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც „ქართული ოცნების“ ძალაუფლებას ამყარებს. „ამერიკის ხმისთვის“ მიცემულ ინტერვიუში „ფრიდომ ჰაუსის“ ყოფილმა ხელმძღვანელმა (2010-2014) დევიდ კრამერმა შემდეგი რამ თქვა: „ჩემთვის გაუგებარია, რისი გაკეთება სურს „ქართულ ოცნებას“ ამ გაზრდილი ძალაუფლებით. **მთავარი პრობლემა ისაა, რომ საკუთარი ძალის გაზრდით მმართველი პარტია ოპოზიციისთვის ყოველგვარ შესაძლებლობას ზღუდავს, რომ მათ მომავალში არჩევნებით, მშვიდობიანი გზით ხელისუფლებაში დაბრუნება შეძლონ“. საკვანძო სიტყვა ამ რეპლიკაში „დაბრუნებაა“ – ის შეიძლება მხოლოდ ორ პარტიას: „ნაციონალურ მოძრაობასა“ და „ევროპულ საქართველოს“ ეხებოდეს. საზოგადოების დიდი ნაწილი მათ ლეგიტიმურ ოპოზიციურ ძალებად საერთოდ არ თვლის, თუმცა ეს ცალკე საუბრის თემაა, აქ კი მთავარია სხვა რამ. მანამ, სანამ იარსებებს ამ პარტიების ხელისუფლებაში დაბრუნების თუნდაც მინიმალური საფრთხე, ხოლო გარკვეული ძალები ვაშინგტონში მათ პრივილეგირებულ პარტნიორებად განიხილავენ, „ქართული ოცნების“ ამომრჩევლების დიდი უმრავლესობა, ძალიან მაღალი ალბათობით, ერთსა და იმავე არჩევანს გააკეთებს და არათუ საეჭვო საკონსტიტუციო რეფორმას დაუჭერს მხარს, არამედ აშკარად დიქტატორულ გადახრებსაც კი.**

მსგავსი განცხადებები ხელს უწყობს საქართველოში ანტიამერიკული განწყობის გაძლიერებას. კრამერს რომ ეთქვა: „მშვიდობიანი გზით ხელისუფლებაში მოსვლა შეძლონ“ — ეს სავსებით ბუნებრივი და სამართლიანი იქნებოდა და ყველა ოპოზიციურ პარტიაზე გავრცელდებოდა, მაგრამ მან „დაბრუნება“ ახსენა და ძველი რეჟიმის ოპონენტების რეაქცია ამ და სხვა მსგავს განცხადებებზე, ბუნებრივია, მკვეთრად ნეგატიური იქნება. **გაუგებარია, რა ლოგიკით ხელმძღვანელობდა კრამერი და რატომ აღიზიანებდა ამ ადამიანებს, რომელთაც, დეტალებში ჩაღრმავების გარეშე, შეიძლება „ფრიდომ ჰაუსი“ სააკაშვილის მოკავშირედ ჩათვალონ.**

**ზედმეტი დაახლოება სააკაშვილის ხელისუფლებასთან ბრალად ენ-დი-აი-საც წაუყენეს, მას შემდეგ, რაც 2012 წლის არჩევნების წინ მან გამოაქვეყნა რეალობას აშკარად აცდენილი რეიტინგები, რომლებიც „ნაცმოძრაობის“ ტრიუმფალურ გამარჯვებას წინასწარმეტყველებდა. ამის შემდეგ აპელირება ენ-დი-აი-ს რეიტინგების მიმართ პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა, ექსპერტების ნაწილი ამას ცუდ ტონად თვლის, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები კი ამ მონაცემებზე სერიოზულ კომენტარს აღარ აკეთებენ.** თუმცა, პარტიების რეიტინგების გარდა, არის სხვა მონაცემებიც, რომლებიც პოლიტიკას უშუალოდ არ ეხება. ის გაცილებით ახლოს დგას რეალობასთან, რასაც სხვა სოციოლოგიური გამოკითხვების შედეგები ადასტურებს. **დასანანია, რომ არც ერთი ქართული ან საერთაშორისო ორგანიზაცია არ ასაჯაროებს ასეთი მოცულობის ინფორმაციას უფასოდ; ზოგიერთ შემთხვევაში ალტერნატივა უბრალოდ არ არსებობს.**

ენ-დი-აი-ს ბოლო მონაცემები (2298 რესპონდენტი 29 ნოემბრიდან 19 დეკემბრამდე გამოკითხეს) რამდენიმე საგულისხმო მაჩვენებელს შეიცავს. მართალია, ნდობა მედიის მიმართ მთელ მსოფლიოში მცირდება, მაგრამ ამ გამოკითხვაში ასახული სურათი კატასტროფულია:

**გამოკითხულთა 60% ეთანხმება მოსაზრებას, რომ ქართული ტელეარხები ხშირად ავრცელებენ დეზინფორმაციას, 51% იმავეს ონლაინ-გამოცემებზე ამბობს, ხოლო 43% — ბეჭდურ მედიაზე. გამოკითხულთა 53% მიიჩნევს, რომ ქვეყანაში არსებობს რუსული პროპაგანდა, 45% საუბრობს ევროკავშირიდან, ხოლო 41% აშშ-დან მომავალ პროპაგანდაზე. საინტერესოა, რომ გამოკითხულთა აზრით, ქართული სატელევიზიო არხებით, უპირველესად, დასავლური პროპაგანდა ვრცელდება. რესპოდენტების 66% თვლის, რომ ამ გზით ვრცელდება აშშ-დან მომავალი პროპაგანდა, 66% — ევროკავშირიდან, 53% კი რუსეთიდან მომავალ პროპაგანდაზე მიუთითებს. რაც შეეხება ინტერნეტს, აქ გამოკითხულთა 31%, უპირველესად, ამერიკულ პროპაგანდას ხედავს, 31% — ევროპულს, 28% კი — რუსულს.**

საინტერესო სურათია პოლიტიკური პარტიების მიმართ: გამოკითხულთა 31% მიიჩნევს, რომ ისინი რუსულ პროპაგანდას ავრცელებენ, 26% — ამერიკულს, 23% კი — ევროპულს. მთლიანობაში ეს, ალბათ, კოშმარული შედეგია — **აშკარაა, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი თვლის, რომ სიცრუის და ტოტალური პროპაგანდის ატმოსფეროში ცხოვრობს.**

## საზოგადოების დიდი ნაწილი თვლის, რომ სიცრუის და ტოტალური პროპაგანდის ატმოსფეროში ცხოვრობს

**როდესაც რესპონდენტებს ჰკითხეს: „რომელ არხებს ენდობით პოლიტიკისა და მიმდინარე მოვლენების შესახებ სანდო ინფორმაციის მისაღებად?“, 46%-მა „იმედი“ დაასახელა, ამდენივემ — „რუსთავი 2“ და მხოლოდ 9%-მა საზოგადოებრივი მაუწყებელი. ეს, ალბათ, ცალკე კოშმარია, უფრო სწორად, საზოგადოებრივი კოშმარი.**

შეკითხვაზე — „რომელი ეროვნული საკითხებია თქვენთვის და თქვენი ოჯახისთვის მნიშვნელოვანი?“ — გამოკითხულთა 54%-მა სამუშაო ადგილები დასასახელა, 35%-მა — ფასების ზრდა და ინფლაცია, 30%-მა — სიღარიბე, 25%-მა — პენსიები, 23%-მა — ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურება, ამდენივემ — ტერიტორიული მთლიანობა, 20%-მა კი — ხელფასები (დანარჩენი პასუხები 20%-ს ქვემოთაა, მაგალითად, სამართლიანობის აღდგენა — 10%). არსებითი ცვლილება პრიორიტეტებში, წინა კვლევასთან შედარებით, არ მომხდარა, თუმცა ტერიტორიული მთლიანობის მაჩვენებელი 5%-ით შემცირდა და ის ტოპსამეულიდან ამოვარდა, სოციალურ-ეკონომიკური საკითხების პრიორიტეტულობა კი გაიზარდა. ვითარება ამ მხრივ მართლაც დამძიმდა და პრაქტიკულად გაუსაძლისი გახდა; ადამიანი, რომელიც თვითგადარჩენისთვის იბრძვის, ეროვნულ საქმეზე იშვიათად ფიქრობს.

გამოკითხულთა 39% მიიჩნევს, რომ საქართველო არასწორი მიმართულებით ვითარდება, 26% თვლის, რომ — სწორი მიმართულებით, ხოლო პასუხში „საქართველო საერთოდ არ იცვლება“, ალბათ, უფრო მეტი პესიმისტური ირონიაა, ვიდრე სტაბილურობის შეგრძნება. ეს მაჩვენებლები ძალიან საინტერესოდ იცვლება — **გრაფიკზე კარგად ჩანს ოპტიმიზმის შემცირება 2014 წლიდან, როდესაც ხელისუფლების შეცვლასთან დაკავშირებული დადებითი მოლოდინების პერიოდი, როგორც ჩანს, დასრულდა.** ამ მონაცემების თანახმად, **2012 წლის არჩევნების მომდევნო პერიოდში პესიმისტების ხვედრითი წილი შემცირდა, მაგრამ შემდეგ დაიწყო მისი ზრდა და საბოლოოდ ის უფრო დიდი გახდა, ვიდრე წინა ხელისუფლების პერიოდში იყო. ამას, ალბათ, შეიძლება იმედგაცრუების პიკი ვუწოდოთ.** მის არსებობას, ალბათ, ვერავინ უარყოფს, მიუხედავად იმისა, ენდობა თუ არა ენ-დი-აი-ს. პარადოქსულია, მაგრამ ამ ფონზე მთავრობის საქმიანობის შეფასება, ივნისთან შედარებით, ოდნავ გაუმჯობესდა და ეს, ალბათ, ადგილობრივი არჩევნების პერიოდში წარმოებული ინტენსიური პროპაგანდისტული კამპანიის შედეგია.

როდესაც რესპონდენტებს სთხოვეს, აერჩიათ პასუხი „საქართველო უნდა გაწევრდეს ევროკავშირში“ ან „საქართველო უნდა გაწევრდეს ევრაზიულ კავშირში“ (იქვე ნახსენები იყო ამ ორგანიზაციების დამაარსებელი ქვეყნებიც) — ევროკავშირში გაწევრებას გამოკითხულთა 60% მიემხრო, ხოლო ევრაზიულ კავშირში გაწევრებას — 29%. საინტერესოა, რომ წლის განმავლობაში პირველმა მაჩვენებელმა იკლო, ხოლო მეორე გაიზარდა. გამოკითხულთა 8% არც ერთ მოსაზრებას არ დაეთანხმა, 3%-მა განაცხადა, რომ არ იცის.



**«პირველი წელიწადი იქნება რთული. მეორე წელი იქნება საგრძნობლად უკეთესი. მესამე წელს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი უკეთესობას საკუთარ თავსა და საკუთარ ჯიბეზე იგრძნობს. მეოთხე წელიწადი იქნება ძალიან კარგი»**

განსაკუთრებული რეზონანსი საზოგადოებაში გამოიწვია გამოკითხვამ იმის თაობაზე, ვინ უფრო ძლიერია სამხედრო თვალსაზრისით — რუსეთი თუ აშშ. 41%-მა რუსეთი დაასახელა, 36%-მა — აშშ, 15%-მა განაცხადა, რომ ისინი თანაბარი ძალის არიან, 8%-მა კი თქვა, რომ არ იცის. ამ საკითხზე სოციალურ ქსელებში ხმაურიანი დებატები გაიმართა, თუმცა ძნელი სათქმელია, რამდენად მიზანშეწონილია მსგავსი კითხვების დასმა იმ ადამიანებისთვის, რომელთა დიდი ნაწილი სამხედრო საკითხებში არაკომპეტენტურია. სამხედრო ძლიერება მოსაზრებებითა და შეგრძნებებით არ იზომება და ამ გამოკითხვის მთავარი მიზანი, სავარაუდოდ, ზემოთ ნახსენები პროპაგანდის ეფექტურობის „გაზომვა“ იყო. ან რა უნდა თქვან ძალთა გლობალურ ბალანსზე ადამიანებმა, რომელთა 59% აღიარებს, რომ არ იცის, ვინ არის მისი მაჟორიტარი დეპუტატი (კიდევ 14%-მა სხვა გვარი დაასახელა)?

იყო სხვა კითხვები საგარეო პოლიტიკაზე, ადგილობრივ არჩევნებზე და ა.შ., მაგრამ ყურადღება, ალბათ, იმას უნდა მივაქციოთ, რომ გასული თვის შემოსავლებსა და ხარჯებზე საუბრისას გამოკითხულთა 50-მა პროცენტმა განაცხადა, რომ მათი ოჯახის შემოსავალი 500 ლარზე მცირე იყო. მათ შორის 1%-მა განაცხადა, რომ შემოსავალი საერთოდ არ მიუღია; 11%-მა თქვა, რომ შემოსავალი 180 ლარს არ აღემატებოდა; 17%-მა — 300 ლარს, 21%-მა კი — 500 ლარს. საუბარია არა ცალკეული პირების, არამედ ოჯახების(!) შემოსავალზე. ეს, ალბათ, მიუთითებს იმაზე, რომ **ხელისუფლების სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკას ერთხელ და სამუდამოდ, მოკლედ და მარტივად გენოციდი უნდა ვუწოდოთ.**

## 2012 წლის არჩევნების მომდევნო პერიოდში პესიმისტების ხვედრითი წილი შემცირდა, მაგრამ შემდეგ დაიწყო მისი ზრდა და საბოლოოდ ის უფრო დიდი გახდა, ვიდრე წინა ხელისუფლების პერიოდში იყო. ამას, ალბათ, შეიძლება იმედგაცრუების პიკი ვუწოდოთ

ხმა ბერისა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მიტროპოლიტ პეტრესა და მიტროპოლიტ დიმიტრის შორის ბოლო ხნის „უთანხმოებანი“ მოჩვენებითია და ერთ მიზანს ემსახურება. ამ მიზანს ემსახურებიან დიმიტრი შიოლაშვილის კადრებიც: მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსი მელქისედეკი (არკადი ხაჩიძე) და ბორჯომისა და ბაკურიანის ახალდადგინებული ეპისკოპოსი ლაზარე (დიმიტრი სამადბეგიშვილი).**

# საპატრიარქო კარის თამაშები

**ყოფილი დისიდენტი, საეკლესიო მწერალი მირონ (მერაბ) სულაქველიძე საპატრიარქოს წიაღში არსებული მაღალი იერარქიის სასულიერო პირების დაჯგუფებებსა და მათ დაპირისპირებაზე გვესაუბრება.**

**— წელიწადი სრულდება, რაც „ციანიდის საქმე“ აღიძრა და ამ „საუკუნის დანაშაულის“ არც მთავარი მოქმედი პირია ჯეროვნად მხილებული და არც მისი დამკვეთი. ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ პატრიარქმა მოსაყდრე დაასახელა, ეკლესიაში ვითარება მაინც ბუნდოვანია. ქუთაის-გაენათის ეპარქიის მიტროპოლიტმა კალისტრატემ თავის ეპარქიაში ღმრთისმსახურება არ დაანება პატრიარქის მოსაყდრეს. ფოთის მიტროპოლიტმა გრიგოლმა კი, ლამისაა, საკუთარი თავი წამოაყენოს პატრიარქობის ერთადერთ კანდიდატად...**

— **მეუფე შიო** არა მხოლოდ ჩვენი მამამთავრის მოსაყდრე, არამედ, დიდი ხანია, პატრიარქის ქორეპისკოპოსიცაა. ამ სტატუსის მიხედვით, მას, ისევე, როგორც საქართველოს პირველ იერარქს, უფლება აქვს, ქვეყნის ნებისმიერ ეპარქიაში აკურთხოს ტაძრის შენება და წაიყვანოს ღვთისმსახურება. აღნიშნული ექსცესები კი, საეკლესიო კანონით, განიხილება, როგორც დაუმორჩილებლობა ეკლესიისადმი. **მიტროპოლიტი პეტრე** არ ემორჩილება წმინდა სინოდის დადგენილებებს და ეკლესიას ეწინააღმდეგება. მართალია, ის სინოდის გადაწყვეტილებებს არად აგდებს და კვლავ აკეთებს საჯარო განცხადებებს შიგა საეკლესიო საკითხებზე, მაგრამ საეკლესიო კანონების მიმართ პირდაპირი დაუმორჩილებლობა ჯერ მასაც კი არ გამოუმჟღავნებია, და თითქმის დარწმუნებული ვარ, პატრიარქის უშუალო წარმომადგენლისადმი მსგავს თვითშემოქმედებას თავის თავზე ვერ დაიკისრებდა.

**— მაშ, რით შეიძლება ყოფილიყო განპირობებული პატრიარქის ლოცვა-კურთხევის ასე უხეშად იგნორირება? ხომ არ მოასწავებს ეს ქმედება განხეთქილების ორგანიზების მცდელობას დედაეკლესიაში?**

— მედიასაშუალებებით მოვითხოვდი „საუკუნის დანაშაულის“ მთავარი შემოქმედისა და ბათუმის ყოფილი სამხედრო ლაზარეთის ტერიტორიაზე მდებარე წმინდა ბარბარეს ეკლესიის გაპარტახებით ისტორიული კვალის წამშლელის, **მიხეილ სააკაშვილის** მარჯვენა ხელის, **მიტროპოლიტ დიმიტრი შიოლაშვილის** დაპატიმრებას. იმასაც ვამბობდი, რომ სხვა შემთხვევაში იგი, თავის დაჯგუფებასთან ერთად, კვლავ განაგრძობდა დესტრუქციულ ქმედებებს, როგორც ქვეყნის, ასევე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ. როგორც ხედავთ, მთავრობის არანაკლები თვითსჯულობის გამო, მართლდება მოსაზრება, რომელიც 2017 წლის ნოემბერში თქვენი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში გამოთქვი: **„ვაშინგტონში არამართლმადიდებლურ კონფერენციაზე ქართველი მღვდელმთავრების მიწვევის ერთ-ერთი მიზანი შეიძლება იყოს ის, რომ მომავალში წმინდა სინოდის სხდომაზე საპატრიარქო კანდიდატებად წამოყენებულნი იყვნენ ე.წ. ლიბერალური ფრთის წარმომადგენლები“** და, რომ „დემოგრაფიული კატასტროფის ზღვარზე მდგომი საქართველოსთვის ამ ღონისძიებაში მონაწილეობა უმართებულოა“...

**— რით არის გამოწვეული ქუთაის-გაენათის მიტროპოლიტის დაუმორჩილებლობა და უქმნის თუ არა ის საფრთხეს ეკლესიის მთლიანობას?**

— **მიტროპოლიტი კალისტრატე** და მე 1980-იან წლებში ბეთანიის მონასტრის მორჩილები ვიყავით და, გარკვეულწილად, მეგობრული ურთიერთდამოკიდებულებაც გვქონდა, მაგრამ, მიუკერძოებელნი უნდა ვიყოთ და ყველაზე მეტად ღმერთი და ეკლესია უნდა გვიყვარდეს, ამიტომ გეტყვით: მეუფე კალისტრატე, რომელიც იერარქთა არც ერთი დაჯგუფებისთვის დიდ ინტერესს არ წარმოადგენდა და ყველა მღვდელმთავრის მიერ იყო იგნორირებული, უცებ საინტერესო შეიქნა მიტროპოლიტ დიმიტრისთვის. ფოთისა და ხობის **მიტროპოლიტ გრიგოლსა** და მიტროპოლიტ დიმიტრის შორის დიდი ხნის წინათ ჩამოვარდა უთანხმოება, მაგრამ მიტროპოლიტი დიმიტრი ახლა მასთანაც ქმნის ალიანსს. **მიტროპოლიტ პეტრესა და მიტროპოლიტ დიმიტრის შორის ბოლო ხნის „უთანხმოებანი“ მოჩვენებითია და ერთ მიზანს ემსახურება. ამ მიზანს ემსახურებიან დიმიტრი შიოლაშვილის კადრებიც: მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსი მელქისედეკი (არკადი ხაჩიძე) და ბორჯომისა და ბაკურიანის ახალდადგინებული ეპისკოპოსი ლაზარე (დიმიტრი სამადბეგიშვილი).** საგულისხმოა, რომ ეს მღვდელმთავრებიც ბრძანდებოდნენ ვაშინგტონის ინტერრელიგიურ კონფერენციაზე (სამადბეგიშვილი კი დელეგაციის მიწვევამდე ცოტა ხნით ადრეც)... გამონახა რა საერთო ენა ძველ ოპონენტებთან, კრიმინალმა მიტროპოლიტმა დიმიტრი შიოლაშვილმა ჩამოაყალიბა მოდერნისტული მსოფლმხედველობის იერარქთა ბირთვი ჩვენს ეკლესიაში, თავისკენ მიიზიდა ოთხმოცი წლის მიტროპოლიტი კალისტრატეც და პირველივე შემთხვევაში წინააღმდეგობა გაუწია პატრიარქის სრულუფლებიან წარმომადგენელს საღმრთო მსახურებაში დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. **„ციანიდის საქმემდე“ გაცილებით ადრე მიტროპოლიტი დიმიტრი თავის „კრიშად“ ჩრდილოეთ ამერიკას განიხილავდა, ამიტომაც მოითხოვა მან 2009 წლიდან ამ ეპარქიის წინამძღოლობა, ხოლო, რადგან თავისი „არაოფიციალური პატრიარქობის გაოფიციალურების საქმე“ ნაცარში ჩაუვარდა, ახლა მხოლოდ სააკაშვილსა და ზოგიერთ დესტრუქციულ ძალასაა ჩაბღაუჭებული. მას, თურქეთის მიერ აჭარის ხელყოფის შემთხვევაშიც კი, „თავისი“ ეპარქიის იერარქიულ ტახტზე მყარად ჯდომის სურვილი ამოძრავებს.** ამიტომაც ვამბობდი, დატუსაღების გარეშე ეს სუბიექტი მავნებლობას თავს არ დაანებებს და მისი დაჯგუფების აქტივობა უნდა განეიტრალდეს-მეთქი...



მირონ (მერაბ) სულაქველიძე
დავით ალმაშენებლის საფლავთან

**«მოვითხოვ მიხეილ სააკაშვილის მარჯვენა ხელის, მიტროპოლიტ დიმიტრი შიოლაშვილის დაპატიმრებას»**

**დატუსაღების გარეშე ეს სუბიექტი მავნებლობას თავს არ დაანებებს**



**შექმნილ ვითარებაში დიმიტრი შიოლაშვილს ხელს აძლევს საქართველოდან აჭარის გამოყოფა «თავის» ეპარქიანად და კონსტანტინოპოლის მოდერნისტული საპატრიარქოსადმი დაქვემდებარება**



**— რით დასტურდება, რომ „ციანიდის საქმისა“ და სხვა არასასიკეთო გეგმების ინიციატორი მიტროპოლიტი დიმიტრია?**

— მე არც ტელეპათი ვარ და არც ნათელმხილველი, ყოველივე ლოგიკური მსჯელობითა და ფაქტებით აიხსნება. ზოგიერთი ინფორმაცია კი ეკლესიის ერთგული, აგრეთვე, უკრაინის მთლიანობის გულშემატკივრებისგან გვაქვს მიღებული.

არსებობს საფრთხე, რომ, პოლიტიკური და საბიუჯეტო ინტერესებიდან გამომდინარე, მოხდეს თურქეთისთვის აჭარის „ეტაპობრივი და მშვიდობიანი“ გადაბარება. გარკვეული პოლიტიკური წრეებისა და მიტროპოლიტ დიმიტრის ინტერესებიც ხომ შეიძლება, ასეთ შემთხვევაში ერთმანეთს ემთხვეოდეს — ეს სტაჟიანი და გავლენიანი მღვდელმთავარი პოლიტიკური კუთხით, შესაძლოა, ფრიად სასარგებლო აღმოჩნდეს ზოგიერთი პოლიტიკური წრისთვის და ამიტომ უფრთხილდებიან მას. **საქართველოშიც და ქვეყნის გარეთაც ზოგიერთი დარწმუნებულია, რომ შექმნილ ვითარებაში დიმიტრი შიოლაშვილს ხელს აძლევს საქართველოდან აჭარის გამოყოფა „თავის“ ეპარქიანად, კონსტანტინოპოლის მოდერნისტული საპატრიარქოსადმი დაქვემდებარება, გრიგორიანულ საეკლესიო სტილზე გადასვლა და შემდგომ მისი ექსპორტი ჩვენს ეკლესიაში. დიახ, ამ იერარქის ხელშეუხებლობა ნამდვილად არაერთი კუთხით უნდა იყოს მნიშვნელოვანი ზოგიერთი ანტიეროვნული პოლიტიკოსისთვის.** სწორედ ამიტომ აფარებენ მას ხელს „საუკუნის დანაშაულის“ საქმეში. არადა, როდესაც ასეთ თვალნათელ დანაშაულზე არ აგებინებენ პასუხს ამ იერარქს, მამხილებელი **ბერი მერკვირის** სენაკში გამოწვასა და ავტოავარიით **მიტროპოლიტი იობის** მწყობრიდან გამოყვანას ვინღა გამოიძიებს? მეუფე იობი ჯერ აჭარაში უშლიდა ხელს დიმიტრი შიოლაშვილს და მან იქიდან მის განტევებას მიაღწია. შემდეგ, საერთოდ, მისი, როგორც კონკურენტის, თავიდან მოშორებაც სურდა. საფუძვლიანი ეჭვი გვაქვს, რომ ამ და სხვა სამეტოქეო ბინძურ მოვლენებში ოფიციალური მილიონერის, დიმიტრი შიოლაშვილის, სოლიდური სახსრებიც იყო...

**— როგორ ფიქრობთ, შეიძლება რაღაც კავშირი იყოს მიტროპოლიტ დიმიტრის ინტერესებსა და ბორჯომ-ბაკურიანის მიტროპოლიტ სერაფიმესადმი წაყენებულ პრეტენზიას შორის?**

— **მიტროპოლიტი სერაფიმე (ჯოჯუა)** ჩვენი ეკლესიის ერთ-ერთი უპატიოსნესი იერარქი, პატრიარქთან დაახლოებული და აფხაზთათვისაც საიმედო ორთოდოქსი მღვდელმთავარია. მეუფე სერაფიმემ თავის ეპარქიას ხანმოკლე პერიოდში შესძინა მრავალი ეკლესია-მონასტერი და სულის ცხონების გზაზე დაყენებული ადამიანი. მისი მოღვაწეობის ამსახველია, აგრეთვე, ბაკურიანის ცენტრში აშენებული ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი. სწორედ მისი ეს დადებითი თვისებები და მოღვაწეობა არ აძლევდა მოსვენებას მოდერნისტთა წინამძღვარ დიმიტრი შიოლაშვილს და „ციანიდის საქმემდე“ ცოტა ხნით ადრე პატრიარქის მოსაყდრეობის ამ ერთ-ერთი კანდიდატის დისკრედიტაციაც, სრულიად შესაძლოა, მისი ძალისხმევით მოხდა. ნიშანდობლივია ისიც, რომ პარალელურად ერთ-ერთი ტელეარხის მუშაკები ცდილობდნენ, მიტროპოლიტი სერაფიმეს სულიერებისა და ადამიანთა სულიერი სიყვარულისთვის ცუდი კუდი გამოებათ. ისიც აღსანიშნავია, რომ ბორჯომელი პროვოკატორის მშობელმა თავისი კერძო იურიდიული დაწესებულება თბილისში გადაიტანა და საეჭვოდ გააფართოვა... ასე რომ, „ციანიდის საქმის“ წინმსწრებ ამ ფაქტზე შეიძლება ითქვას: ბორჯომის მოსახ- ▶

ხმა ბერისა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„გამოინახა რა საერთო ენა ძველ ოპონენტებთან, კრიმინალმა მიტროპოლიტმა დიმიტრი შიოლაშვილმა ჩამოაყალიბა მოდერნისტული მსოფლმხედველობის იერარქთა ბირთვი ჩვენს ეკლესიაში, თავისკენ მიიზიდა ოთხმოცი წლის მიტროპოლიტი კალისტრატეც და პირველივე შემთხვევაში წინააღმდეგობა გაუწია პატრიარქის სრულუფლებიან წარმომადგენელს საღმრთო მსახურებაში დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე“.**

# მიტროპოლიტ პეტრესა და მიტროპოლიტ დიმიტრის შორის ბოლო ხნის «უთანხმოებანი» მოჩვენებითია


მიტროპოლიტი პეტრე

◀ ლეობა დარწმუნებულია, რომ მეუფე სერაფიმეს არ აპატიეს ორთოდოქსობა, აფხაზეთთან მეგობრობის ხიდის გასადებად გადაგმული პრაქტიკული ნაბიჯები და მზარდი რეპუტაცია... „ციანიდის საქმის“ მთავარი გმირის სიტყვებს კი მისი ადვოკატი ერთ-ერთ ინტერვიუში ასაჯაროებს: **„ფარულ ჩანაწერში მამა გიორგი მეუფე სერაფიმეს გარშემო აგორებულ სკანდალზე საუბრობს და ამბობს, რომ მეუფეს ეს ყველაფერი მოუწყვეს!“**

**— მას შემდეგ რაც მეუფე სერაფიმე განერიდა ეპარქიულ მოღვაწეობას, ვინ ჩაანაცვლა ის?**

— ეს არის ვაშინგტონის ინტერრელიგიური კონფერენციის ერთ-ერთი მონაწილე, ზემოხსენებული მღვდელმთავარი ლაზარე სამადბეგიშვილი, რომელიც 2004 წლიდან მსახურობდა დასავლეთ ევროპაში. ეს სასულიერო პირი 1980-იანი წლებიდან მსახურობდა ქაშუეთის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში. ის 1997 წლის აპრილში მღვდელმთავარმა დიმიტრი შიოლაშვილმა აღკვეცა ბერად, ხოლო 2014 წლიდან გამწესდა გერმანიასა და ავსტრიაში მღვდელმთავრობისთვის. მისი მრწამსის უფრო ნათელსაყოფად რამდენიმე ფაქტს გაგიზიარებთ:

ბორჯომ-ბაკურიანის ეპარქიაში მე მკითხველთა გარკვეული აუდიტორია მყავს. წლეულს იქ ჩასვლისთანავე რამდენიმე ადამიანმა გულისტკივილით მითხრა: „ბაკურიანში ტაძარი მხოლოდ კვირაობით ილება, ხოლო მის წინ, ტაძრის ეზოში, მხოლოდ ატრაქციონები“ მუშაობსო. გაირკვა, რომ არც ეს ატრაქციონები შეესაბამებოდა „თავის დანიშნულებას“ — იქ წინა პლანზე ძვლებითა და თავის ქალის სიმბოლოთი „დამშვენებული“ მეკობრე, დრაკონები და ბავშვების გასართობად შეუსაბამო სხვა პერსონაჟები ფიგურირებდნენ. ამ ფაქტის „გასამართლებლად“ ტაძრის წინამძღვარს განუცხადებია: „ბუნებრივი აირით ტაძრის გასათბობად დიდი რაოდენობით გადასახადი ირიცხება და ეზო ამიტომ მივაქირავეთ ატრაქციონს“-ო. ბაკურიანელები კი სვამენ ელემენტარულ კითხვას: „თუკი ტაძარი დაკეტილია, როგორღა იწვება ბუნებრივი აირი?“ მართლაც, ბუნებრივი აირის გადასახადის დასაფარავად რატომ უნდა მიექირავებინათ ტაძრის ეზო ატრაქციონის მესვეურთათვის? საპატრიარქოს ბიუჯეტიდან ხომ თავისუფლად შეიძლებოდა ზამთრის სეზონზე ბაკურიანის ეკლესიისთვის ამ მცირე ხარჯის გაწევა? ვიფიქრე, ეპარქიის ახალ მმართველს რომ შევხვდე, რით ახსნის ამ ვითარებას-მეთქი. მეორე დღესვე მოვკარი თვალი მღვდელთან ერთად მიმავალ ეპისკოპოს ლაზარეს და საუბარი ტაძრის ეზოში გამართული ატრაქციონის საკითხით დავიწყე. მან პირველივე შეკითხვის დასრულებამდე მოკლედ მიპასუხა: „რა შენი საქმეა?!“ მე კი ვუთხარი, მხოლოდ ჩემი კი არა, მრევლის საქმეცაა-მეთქი და დავაპირე, ჩვენი დიალოგი მობილური ტელეფონით ჩამეწერა. არ ისურვა რა ჩემთან პოლემიკა, ეპისკოპოსმა პასუხის გასაცემად მოკლე გზა მოძებნა და 70 წლის კაცს ორივე ხელი ისე ძლიერად მკრა, რომ მოყინულ გზაზე კინაღამ დავეცი. როგორც ჩანს, მას სულაც არ აღელვებდა, ტრავმას თუ მივიღებდი. 1997 წლის აპრილში ეს სუბიექტიც დიმიტრი შიოლაშვილმა აღკვეცა ბერად და ისიც მოდერნისტთა მიმართ ჩამოყალიბებული დაუსჯელობის სინდრომით იყო გულმოცემული. მომხდარს რამდენიმე მოქალაქე შეესწრო. ერთ-ერთმა მათგანმა მაშინაც არ მოიცვალა ფეხი ადგილიდან, როცა მღვდელმთავრობის მოვალეობის შემსრულებელი პირი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. **სანამ იერარქიული მოვალეობის მქონე ეს მოხულიგნო პერსონა თვალს მიეფარებოდა,** მკაფიოდ განვუცხადე, რომ ამ ქმედების გამო ღმერთი მოჰკითხავდა. ეკლესიაში მღვდელი ქრისტეს მოციქულს უნდა განასახიერებდეს. მოციქულთა თავი და მასწავლებელი კი მაცხოვარია, ხოლო ეპისკოპოსი ქრისტეს უნდა განასახიერებდეს ეკლესიაში, რაც, უპირველესად, სამართლისა და საღმრთო სიმართლისადმი მსახურებას გულისხმობს. ამიტომაცაა თქმული ბიბლიაში: „სამართლისა და სიმართლის ქმნა მსხვერპლზე უფრო სასურველია უფლისათვის“, „ბოროტეულის მსხვერპლი სიბილწეა უფლის წინაშე... ბოროტეულთაგან შორსაა უფალი, მართალთა ლოცვას კი ისმენს“. ღმერთი განსჯის ქრისტეს უკეთურად „განმასახიერებელ“ ეპისკოპოსს.

**— ცნობილია, რომ საკვირაო ლექციებისთვის განკუთვნილი ბეთლემის ტაძრის აუდიტორია კლდეთაძვრის შედეგად უმალ დაიხურა, როცა ლექტორს დაშვებულ საღვთისმეტყველო შეცდომაზე მივუთითეთ, მან კი უგულებელყო მითითება. ამას მაშინ მსხვერპლი და სახლის ნგრევაც მოჰყვა.**

— ეს გახმაურებული ფაქტია. კლდეზე დაფუძნებული სახლი არაავარიული, საღი იყო. სამართლიანი შენიშვნის პასუხად წარმოთქმულ სიტყვებს — „თქვენ ლექციებს ვეღარ ჩაატარებთ აქ!“ — კლდის ძირის გამოცლა მოჰყვა. ასე რომ, საღვთო სიმართლით გამსჭვალულ სიტყვას ვერაფერი აღუდგება წინ... დავუბრუნდეთ ეპისკოპოს ლაზარეს.

იმხანად არ ვიცოდი მეუფე სერაფიმეს ხატწერით დამშვენებულ რეზიდენციაში ეპისკოპოსი ლაზარე თუ იქნებოდა. მამა **გაბრიელ სალოსის** სულიერმა შვილმა, მიტროპოლიტმა სერაფიმემ, სანამ პროვოკატორებთან ხალხის დაპირისპირების გამო ეპარქიას თავს განარიდებდა, თავის რეზიდენციაში წმინდანის მომვლელი **დედა პარაკევასა** და ნი შეხვედრისა და იერარქისადმი პატივისცემის ნიშნად ამ წიგნებს თქვენ გიბოძებთ-მეთქი. მან კატეგორიული უარი განაცხადა სულიერ ძღვენზე. სასულიერო ლიტერატურის მეორედ შეთავაზების შემდეგ კი პრინციპული ტონით წარმოთქვა: „როცა ჩემთან მოხვალ, მაშინ დავიტოვებ წიგნებს“. როგორც ვხედავთ, ერთი მხრივ, აშკარაა სასულიერო პირისთვის შეუფერებელი ამპარტავნება, ზოგიერთ მღვდელმთავარზე, რომლებსაც გადამრჩენად არა მაცხოვარი, არამედ თავიანთი კერპი ესახებათ. მაგალითად, როგორც „ამერიკის ხმის“ მიერ გავრცელებულ მასალაში მარგვეთისა და უბისის **ეპისკოპოსი მელქისედეკი (არკადი ხაჩიძე)** იმპერატიული ტონით ამბობს: **„ყველამ ერთად უნდა გავაკეთოთ ის საქმე, რომ ჩვენ გადავრჩეთ და გადავრჩეთ დასავლეთის მეშვეობით“...** ამ „მორწმუნეს“ არ ჩამორჩება დიმიტრი შიოლაშვილის კიდევ ერთი „სულიერი შვილი“, მისი სკანდალური ადგილმონაცვლე ჩრდილოეთ ამრიკაში — **ეპისკოპოსი საბა (ლაშა ინწკირველი),** რომელიც პროტესტს უცხადებს „ქართულ მარშს“, ფეხბურთელ **გურამ კაშიას** კრიტიკოს ქართველ საზოგადოებას და კვლავაც ლგბტ თემის წევრთა თუ თითოეული ადამიანის უფლებების „პატივისცემის“ ლოზუნგებით გამოდის და არა ბავშვთა, მართლმადიდებელთა თუ უმრავლესობის შებღალული უფლებების დაცვის მოწოდებით. **სრული მარაზმი და მკრეხელობაა, როცა დიმიტრი შიოლაშვილის ამერიკაში მყოფი ქვეშევრდომები და მიმდევრები წერილს აქვეყნებენ „საპატრიარქოს უწყებანში“ და მეუფე საბაზე წერენ: „მეუფე საბაზეა აღსრულებული მაცხოვრის სახარებისეული სიტყვები, რომლებითაც უფალი ამბობს, რომ სასუფეველი ცათა ყრმათათვისაა... დიახ, ასე წესიერად და სამართლიანად უყვარია სჯულის ყოველი მცნება მის ყოვლადუსამღვდელესობას“...** საგულისხმოა, რომ საპატრიარქოს გაზეთის რედკოლეგიის წევრია ხელშეუხებელი და „არაოფიციალური პატრიარქი“ დიმიტრი შიოლაშვილი, რომლის სახელთანაც ამდენი უმსგავსოება, კრიმინალი და უსჯულოება ასოცირდება... **თავის დროზე რომ გამოძიებულიყო ბერი მერკვირის მკვლელობა, მეუფე იობის მკვლელობის მცდელობა, ვანდალიზმი წმინდა ბარბარეს ეკლესიაში და დამნაშავე ციხეში ჩამჯდარიყო, „ციანიდის საქმე“ არ იქნებოდა, მეუფე სერაფიმეც ოპტიმალურ რეჟიმში იმოღვაწებდა ბორჯომ-ბაკურიანის ეპარქიაში და უნიკალური საკურორტო ზონის სტუმრებსაც ღირსეულად დავხვდებოდით.**


მიტროპოლიტი იობი

**«ბერი მერკვირის სენაკში გამოწვასა და ავტოავარიით მიტროპოლიტ იობის მწყობრიდან გამოყვანას ვინღა გამოიძიებს? მეუფე იობი ჯერ აჭარაში უშლიდა ხელს დიმიტრი შიოლაშვილს და მან იქიდან მის განტევებას მიაღწია. შემდეგ, საერთოდ, მისი, როგორც კონკურენტის, თავიდან მოშორებას სურდა»**

დედათა პატარა მონასტრის განთავსება აკურთხა. მეც იმედიანად მივედი დედა პარასკევასთან შესახვედრად და ჩემ მიერ გამოცემული წიგნებიც წავიღე მონასტრისთვის შესაწირავად, მაგრამ, როცა **დედა პარაკევას** ნაცვლად იქ ეპარქიის ახალი მმართველი შემომხვდა, გულუბრყვილოდ ვუთხარი: დედაოებისთვის დასატოვებლად წამოვიღე ახალი გამოცემები, მაგრამ ჩვე-

მეორე მხრივ კი, თავისუფლად მოაზროვნეობის ამოჩემება.

**— სამწუხაროდ, სასულიერო პირებსაც კი ზოგჯერ ერთმანეთში ერევათ რელიგიური აზროვნება და თავისუფალი აზროვნება...**

— სწორედ ასეა! აბა, სხვა რა უნდა ვიფიქროთ, ვაშინგტონში განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის (CDD-ს) შეკრებაზე სიტყვით გამოსულ

კიდევ ერთ საგანგაშო ფაქტზე უნდა გავამახვილო ყურადღება: გასული საუკუნის 40-იან წლებში ლისის ტბის აღმართთან რამდენიმე აზერბაიჯანული ოჯახი დასახლდა. მას შემდეგ სახლებით ისე მჭიდროდ დაიხუნძლა დასასვენებელი ადგილის მისასვლელები, რომ შორიდან ჯგროდ ახალამოსული სოკოების მთის ფერდობს მოგვაგონებს. ყოველივე ეს უპროექტოდ და უკანონოდ აშენებული სახლების კასკადია, რომელიც უფრო და უფრო მიიწევს ლისის ტბისკენ...

**— კი მაგრამ, არავინ აქცევს ყურადღებას ასეთ უკანონობას?**

— იქ მჭიდროდ დასახლებული სოფელი წარმოიქმნა და, ამბობენ, ყოველი მთავრობა ცდილობს აქ მცხოვრებთა გულის მონადირებას, არჩევნებში მათი ხმები რომ მოიპოვოსო... ისინი კი ჯერ ნაძვნარიან მიწას შემოსაზღვრავენ, შემდეგ იმ ადგილას ხანძარი „ჩნდება“, მერე კი — სახლები. ასე მიდის ამ მთის ფერდობის ათვისება მოსახლეობის „კომპაქტურად“ ჩასასახლებლად. ერთხელ ახლოს მცხოვრები მოსახლეობის წარმომადგენლებმა სამხრეთ-დასავლეთის ხევში, გზის პირთან, ბავშვთა გასართობ-დასასვენებელი მოედნის მოწყობა სცადეს, მაგრამ ამას ეთნიკური დაჯგუფების წარმომადგენელთა მძაფრი რეაქცია მოჰყვა — ფიზიკური დაპირისპირება და იარაღის გამოყენების მცდელობაც კი. **ეს ადგილი არის ვაჰაბიტების კომფორტული ფუძე თბილისში. ყოველ შემთხვევაში, იმის თქმა დაბეჯითებით შეიძლება, რომ აქ ძალიან ფართოდაა გავრცელებული ყურანის ალტერნატიული, ვაჰაბიტური ლიტერატურა.** ასე რომ, სინამდვილეს შეესაბამება ბოლოდროინდელი გამონათქვამები: „საქართველოს მთავრობა ყველასთვისაა, გარდა ქართველებისა“ და, რომ „კანონიცა და ფეხმოკიდებული უკანონობაც საქართველოს მომავლის საწინააღმდეგოდ მოქმედებს“...


მიტროპოლიტი სერაფიმე

**«მიტროპოლიტი სერაფიმე (ჯოჯუა) ჩვენი ეკლესიის ერთ-ერთი უპატიოსნესი იერარქი, პატრიარქთან დაახლოებული და აფხაზთათვისაც საიმედო ორთოდოქსი მღვდელმთავარია... სწორედ მისი ეს დადებითი თვისებები და მოღვაწეობა არ აძლევდა მოსვენებას მოდერნისტთა წინამძღვარ დიმიტრი შიოლაშვილს და «ციანიდის საქმემდე» ცოტა ხნით ადრე პატრიარქის მოსაყდრეობის ამ ერთ-ერთი კანდიდატის დისკრედიტაციაც, სრულიად შესაძლოა, მისი ძალისხმევით მოხდა»**

ესაუბრა
**გიორგი გელაშვილი**

საზოგადოებრივი აზრი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩვენთან ტერიტორიულად ახლოს მყოფი ძლიერი რუსეთი, რომელთანაც მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობა და სულიერ-კულტურული ნათესაობა გვაკავშირებს, ლოგიკურადაც და ბუნებრივადაც, უნდა გახდეს ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი, თუმცა ამ საკითხზე ამერიკელი სოციოლოგები ჯერჯერობით დუმან“.**

# საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი რუსეთს ამერიკაზე ძლიერ სახელმწიფოდ მიიჩნევს

**ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ ჩატარებული ბოლო სოციოლოგიური კვლევის თანახმად, საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი რუსეთს, სამხედრო ძალის თვალსაზრისით, ამერიკის შეერთებულ შტატებზე უფრო ძლიერ სახელმწიფოდ მიიჩნევს. შეკითხვაზე —რომელ ქვეყანას უფრო მეტი სამხედრო ძალა გააჩნია, რუსეთს თუ ამერიკას? — გამოკითხულთა 41% რუსეთს ასახელებს, 36% — აშშ-ს, ხოლო 15 პროცენტი ამბობს, რომ ეს ორი ქვეყანა თანაბარი ძალისაა. შეგახსენებთ, რომ იმავე ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ ადრე გამოქვეყნებული სოციოლოგიური კვლევის თანახმად, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ქვეყნის უსაფრთხოების მთავარ გარანტად სწორედ შეერთებულ შტატებს მიიჩნევდა, საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად კი ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციასა და მათ სამხედრო ძალებთან მჭიდრო პარტნიორობას ასახელებდა.**

**რაზე მეტყველებს NDI-ის მიერ გამოქვეყნებული ციფრები და რა განწყობებია დღეს რეალურად ქართველ საზოგადოებაში? — ამ საკითხებზე სასაუბროდ „საქართველო და მსოფლიო“ ექსპერტებს დაუკავშირდა.**



## „რუსეთი სამხედრო ძალის თვალსაზრისით მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანა რომ არის, ამას კვლევა არ სჭირდება“

**ვალერი ხაბურძანია, უშიშროების ყოფილი მინისტრი:**

— იმას, რომ რუსეთი სამხედრო ძალის თვალსაზრისით მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანაა, კვლევა არ სჭირდება. ეს, დიდი ხანია, თვითონ რუსეთმა დაამტკიცა, მაგრამ **ენ-დი-აის კვლევის მიზანი ამის წარმოჩენა არ არის, მათი მიზანი არის ის, რისთვისაც იდება ხოლმე მსგავსი კვლევები და შემდეგ ეს ჩვენი ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციები ერთ ხმაში გაჰყვირიან, რომ თურმე რუსული პროპაგანდა მძლავრობს საქართველოში, ანუ ეს არის რუსული პროპაგანდის თემის გაგრძელება.** საერთოდ, ვფიქრობ, რომ შეკითხვაა ძალიან სასაცილოდ დასმული: რუსეთი უფრო ძლიერია თუ ამერიკა? ეს დაახლოებით იმას ჰგავს, იკითხო: ერთ ორთქლმავალს უფრო მეტი ძალა აქვს თუ ორს?.. ეს ასე არ იზომება, ამის წარმოჩენა შეუძლია მხოლოდ უშუალო კონფლიქტს, თუმცა ლიბერალები, ალბათ, ატეყხენ ერთი ამბავს, რუსული პროპაგანდა საქართველოს უფსკრულისკენ მიაქანებსო...



## „ამერიკა კარგავს მსოფლიოს ერთპიროვნული ლიდერის ფუნქციას, რაც ნიშნავს, რომ ერთპოლუსიანი სამყაროს ეპოქა დასრულდა“

**ჰამლეტ ჭიპაშვილი, პოლიტოლოგი:**

— საქართველოს მოსახლეობა რუსეთის სამხედრო ძლიერებაში საბოლოოდ მაშინ დარწმუნდა, როდესაც ეს ქვეყანა აქტიურად ჩაერთო სირიის საკითხებში. მოგეხსენებათ, სირიაში „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ომი ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გაცილებით ადრე დაიწყო, ვიდრე რუსეთმა და ეს მოქმედებები ფართომასშტაბიანი იყო, ამ ანტიტერორისტულ კოალიციაში ამერიკამ დაახლოებით 70 ქვეყანა გააერთიანა და ყველა გაშმაგებით ებრძოდა „ისლამურ სახელმწიფოს“. მიუხედავად ამისა, „ისლამური სახელმწიფოს“ შეკავება და განადგურება ვერ მოხერხდა, პირიქით — სირიის ოფიციალური ხელისუფლება ძალიან დიდი საფრთხის წინაშე დადგა.

რა იყო ეს საფრთხე? — „ისლამურმა სახელმწიფომ“ მოახერხა სირიის ტერიტორიის დაახლოებით 80 პროცენტის დაკავება და, დიდი ალბათობით, მთელ ქვეყანაზეც დაამყარებდა კონტროლს. და ეს იმიტომ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, მიუხედავად დაპირებისა, რომ ტერორისტული ორგანიზაციებს გაანადგურებდა და რეგიონში წესრიგს დაამყარებდა, ვერ ან არ შეასრულა პირობა — ვერ უზრუნველყო მშვიდობა და ამით, ფაქტობრივად, ტერორისტებს კიდევ უფრო დიდი გასაქანი მისცა...

**— ფიქრობთ, რომ „თეთრი სახლის“ ინტერესებში რეალურად შედიოდა სირიაში წესრიგის დამყარება?**

— ცხადია, ეს იყო ორმაგი სტანდარტი. ოფიციალურად ვაშინგტონი და მისი მოკავშირეები ამბობენ, რომ ებრძვიან „ისლამურ სახელმწიფოს“, მაგრამ რეალურად ხელს უწყობენ ამ ორგანიზაციას **ბაშარ ასადის** ჩამოგდებაში. თუმცა რიგითმა მოქალაქეებმა, ამ შემთხვევაში საქართველოს მოსახლეობას ვგულისხმობ, ეს არ იციან. გარედან კი მხოლოდ ის ჩანს, რომ შეერთებულმა შტატებმა, თავის მოკავშირეებთან ერთად, ვერ უზრუნველყო სირიაში მშვიდობა. ამ დროს საომარ მოქმედებებში ჩაერთო რუსეთი, თანაც, არა მთელი რესურსით, არამედ მხოლოდ საჰაერო-კოსმოსური ძალებით და შეზღუდული რაოდენობის სამხედრო კონტინგენტით, რომელიც უზრუნველყოფდა ამ საჰაერო ძალების უსაფრთოხებას. შედეგად წელიწად-ნახევარში რუსეთმა მოახერხა „ისლამური სახელმწიფოს“ განადგურება და ბაშარ ასადის ხელისუფლებას მისცა სულის მოთქმის საშუალება. ახლა, რა თქმა უნდა, იქ გრძელდება პატარ-პატარა ტერორისტული გამოხდომები, მაგრამ მთავარი ტერორისტული ძალა, რომელიც ქმნიდა საფრთხეს არა მხოლოდ სირიისთვის, არამედ რეგიონისა და სრულიად მსოფლიოსთვის, წელშია გადატეხილი. ჩნდება შეკითხვა — რით მოახერხა ეს რუსეთმა? — ცხადია, იმ მძლავრი სარაკეტო-საჰაერო თავდასხმებით, რომლებსაც რეგულარულად ახორციელებდა კასპიის ზღვიდანაც კი. ეს ყველაფერი ისეთი შთამბეჭდავი იყო არა მხოლოდ საქართველოს მოსახლეობისთვის, არამედ ნებისმიერი ამერიკელისა და ევროპელისთვის, რომ **ყველა დარწმუნდა: რუსულ არმიას შეუძლია პასუხი გასცეს ნებისმიერ აგრესორს.** ვფიქრობ, სწორედ აქედან გამომდინარეა ის ციფრები, რომლებიც ენ-დი-აიმ გამოაქვეყნა, და ეს სავსებით ლოგიკურია.

**— რას მოიმოქმედებს შეერთებული შტატები, თუ დაინახავს, რომ საქართველოში გავლენას კარგავს?**

— შეერთებულ შტატებს უკვე აქვს რეაქცია იმაზე, რაც ხდება, ვგულისხმობ რუსეთის გაძლიერებას. ამას წინათ ამერიკის თავდაცვის მინისტრმა **ჯეიმს მეტისმა**, რომელსაც ხშირად უწოდებენ „ცოფიან ძაღლს“, წარმოადგინა თავდაცვის კონცეფცია, რომელშიც წერია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ძლიერებისთვის უმთავრეს საფრთხეს წარმოადგენს რუსეთი და ჩინეთი. ამ კონცეფციის თანახმად, ამერიკამ თავისი ძლიერების განსამტკიცებლად უნდა შექმნას ახალი სახეობის ბირთვული იარაღი. საუბარია ისეთ ბირთვულ იარაღზე, რომელსაც ექნება ნაკლებად დამანგრეველი ძალა და მისი გამოყენება ლოკალურად იქნება შესაძლებელი, ისე, რომ სხვა სახელმწიფოებს არ მიადგეთ ზიანი. ხვდებით, რაზეა საუბარი? ასეთი რამ არც ერთ დროში არც ერთ სახელმწიფოს არ უთქვამს. პირიქით, **ამერიკის პრეზიდენტები და სენატორები ყოველთვის იმ პოზიციაზე იყვნენ, რომ ბირთვული ომი უნდა გამორიცხულიყო. ახლა ამერიკა თვითონ გამოდის ამ ომის წამახალისებელი და, ვფიქრობ, ეს არის ძალიან საშიში არა მხოლოდ ერთი ან ორი სახელმწიფოსთვის, არამედ მსოფლიოსთვის.** ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ რუსეთი ძლიერდება და არა მხოლოდ რუსეთი, ასევე, ჩინეთიც. ამერიკა კარგავს მსოფლიოს ერთპიროვნული ლიდერის ფუნქციას, რაც ნიშნავს, რომ ერთპოლუსიანი სამყაროს ეპოქა დასრულდა.



## „არც ერთ საღად მოაზროვნე ადამიანს საქართველოში ამერიკა არ მიაჩნია უსაფრთხოების გარანტად“

**ვალერი კვარაცხელია, ჟურნალისტი, სოციოლოგი:**

— საერთოდ, ეს სოციოლოგიური გამოკითხვები ძალიან არასანდო და არასაიმედო რამ არის, იმიტომ, რომ მსგავს კვლევებს, როგორც წესი, პროპაგანდისტული ეფექტისთვის იყენებენ. ამ შემთხვევაში კი სოციოლოგები მართლები არიან. რადგან არ შეუძლიათ, ყველაფერი თავიდან ბოლომდე უკუღმა წარმოადგინონ, იძულებულნი არიან, თავიანთი სიცრუე დამაჯერებლობის ეფექტის მისაღწევად გარკვეულ სიმართლეს ამოაფარონ — როდესაც ადამიანი ეცნობა კვლევის შედეგებს, სიმართლისა და რეალობის ნასახიც თუ ვერ იპოვა, მის მიმართ ნდობა არ გაუჩნდება.

რას დაეყრდნენ ამ შემთხვევაში ის ქართველი რესპონდენტები, რომლებმაც განაცხადეს, რომ სამხედრო თვალსაზრისით რუსეთი უფრო ძლიერი სახელმწიფოა, ვიდრე აშშ? მსოფლიოში მიმდინარე პროცესებიდან მეტ-ნაკლებად ჩანს ამ ორი სახელმწიფოს ძალთა თანაფარდობა და რიგით მოქალაქეს სწორედ აქედან გამოაქვს გარკვეული დასკვნები. ავიღოთ თუნდაც ახლო აღმოსავლეთი, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ალბათ, დასკვნა გამოტანილია იქიდან, რომ **რუსეთმა სირიაში მინიმალურ დროში ჩაატარა ძალიან წარმატებული სამხედრო ოპერაცია. დაამარცხა ე.წ. ისლამური სახელმწიფო, რომლის უკან სწორედ ამერიკის შეერთებული შტატები დგას და რეგიონში წესრიგი დაამყარა.** ყველამ იცის, თუ ვისი შექმნილია ეს ტერორისტული ორგანიზაცია, ვინ დააფინანსა, ვინ შეაიარაღა და ვინ გააძლიერა — რა თქმა უნდა, ამერიკამ. რუსეთმა კი ხელის ერთი მოსმით შეძლო საერთაშორისო ტერორიზმის ამ საშინელი ბუდის განადგურება და ამოძირკვა. ამით ვაშინგტონს ხელიდან გამოაცალა მის ხელთ არსებული უმძლავრესი იარაღი ამ ტერორისტული ორგანიზაციის სახით. გარდა ამისა, არის კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც სერიოზულ გავლენას ახდენს საზოგადოებრივ აზრზე. **ამერიკის თავდაცვის ბიუჯეტი დაახლოებით ათჯერ აღემატება რუსეთისას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი სამხედრო არსენალი, ეფექტიანობის თვალსაზრისით, არც ერთ დონეზე არ გამოიყურება რუსეთისაზე უფრო მძლავრად — არც ტაქტიკურ შეიარაღებაში, არც ავიაციაში, არც წყალქვეშა გემებში და არც ბირთვულ შეიარაღებაში,** რის გამოც ჩნდება შეკითხვა: შეერთებულ შტატებს ამდენით მეტი ფინანსური რესურსი თუ აქვს, როგორაა რუსეთი მისი საპირწონე ძალა? საქმე ის არის, რომ ძლიერება მხოლოდ ფულში არ გამოიხატება, არის სხვა მრავალი ფაქტორი, რომლებიც განაპირობებს სახელმწიფოს ძლიერებას. რუსეთი მრავალმხრივ ძლიერი სახელმწიფოა, ამიტომაა, რომ, მიუხედავად იმ სანქციებისა, რომლებსაც მას დასავლეთმა დაუწესა, მყარად დგას ფეხზე და ძლიერდება. ამერიკელებმა, დიდი მცდელობის მიუხედავად, ვერ შეძლეს რუსეთის დაჩოქება. საზოგადოებას აქედანაც გამოაქვს დასკვნა, რომ რუსეთი უფრო მძლავრი სახედრო პოტენციალის მქონე სახელმწიფოა, ვიდრე შეერთებული შტატები.

საზოგადოების ამ დასკვნას, ალბათ, მოსდევს სხვა ქვეცნობიერი დასკვნაც, რომელიც გამოკითხვაში არ ჩანს, რომ **ჩვენთან ტერიტორიულად ახლოს მყოფი ძლიერი რუსეთი, რომელთანაც მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობა და სულიერ-კულტურული ნათესაობა გვაკავშირებს, ლოგიკურადაც და ბუნებრივადაც, უნდა გახდეს ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი, თუმცა ამ საკითხზე ამერიკელი სოციოლოგები ჯერჯერობით დუმან...**

**— თუ საზოგადოების უდიდესი ნაწილი ფიქრობს, რომ რუსეთი უფრო ძლიერია სამხედრო ძალის თვალსაზრისით, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატები, რანაირად შეიძლება მოსახლეობას ქვეყნის უსაფრთხოების მთავარ გარანტად ამერიკა მიაჩნდეს?**

— **არც ერთ საღად მოაზროვნე ადამიანს საქართველოში ამერიკა არ მიაჩნია უსაფრთხოების გარანტად,** მით უმეტეს, თუ საზოგადოების უდიდესი ნაწილი ფიქრობს, რომ ეს სახელმწიფო უფრო სუსტია იმ ქვეყანაზე, რომლისგანაც ვითომ უნდა დაგვიცვას. საზოგადოების ეს პოზიცია 2008 წლის კონკრეტული ფაქტითაა არგუმენტირებული. ხალხს ხომ ახსოვს, როგორ „დაგვიცვეს“ ამერიკელებმა ათი წლის წინათ? ამერიკელები, მართალია, სად როგორც დაჭირდებათ, ისეთ დასკვნებს გამოაქვეყნებენ: სჭირდებათ — გეტყვიან, რომ უდიდესი ნაწილი ნატოს მომხრეა, სჭირდებათ — გეტყვიან, რომ იკლო ნატოს მომხრეების რაოდენობამ, მაგრამ მათი სიცრუეც კი ხშირად სიმართლეს ღალადებს, ვინაიდან მათ მიერ გამოტანილ სოციოლოგიური დასკვნების ჭუჭრუტანებში თავისუფლად ატანს მზის სხივი.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**«იმას, რომ რუსეთი სამხედრო ძალის თვალსაზრისით მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანაა, კვლევა არ სჭირდება. ეს, დიდი ხანია, თვითონ რუსეთმა დაამტკიცა, მაგრამ ენ-დი-აი-ს კვლევის მიზანი ამის წარმოჩენა არ არის, მისი მიზანი არის ის, რისთვისაც იდება ხოლმე მსგავსი კვლევები და შემდეგ ეს ჩვენი ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციები ერთ ხმაში გაჰყვირიან, რომ თურმე რუსული პროპაგანდა მძლავრობს საქართველოში, ანუ ეს არის რუსული პროპაგანდის თემის გაგრძელება»**

„მინისტრი, შესაძლოა, კარგი იყოს, მაგრამ სამინისტროს ძირითად სამსახურებში რჩებიან და მუშაობას განაგრძობენ ადამიანები ისეთივე სულისკვეთებით, როგორითაც ათი-თხუთმეტი წლის წინათ იყვნენ განმსჭვალულნი, ანუ ადამიანები, რომელთა ინტერესებშიც განათლების სისტემის დანგრევა იყო. სიახლეები, ცხოვრებისეული გამოცდილებით მიღებული შედეგები განათლების სისტემაში არ ინერგება“.

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# განათლების მინისტრობიდან სტუდენტობამდე

**2017 წლის 14 ნოემბერს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავა ახალმა მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა შეცვალა. დიდი ხანია, ქართველი საზოგადოება განათლების მინისტრებისადმი სკეპტიკურად არის განწყობილი, მათგან ახალსა და კარგს არაფერს ელის. ყოფილი მინისტრები თითქოს მიზანმიმართულად ანგრევდნენ სისტემას, შემდეგ ტრაბახით გვამცნობდნენ, რომ რეფორმა წარმატებული იყო და სასწავლებლად უცხოეთში მიემგზავრებოდნენ.**



## გიორგი გოგოლაშვილი:

# ვინც განათლების სისტემა დაანგრია, უნდა დაისაჯოს

**ყოფილი მინისტრების შესახებ საუბარი შორს წაგვიყვანს, მაგრამ ნამდვილად ღირს გახსენება ალექსანდრე ჯეჯელავასი, რომელმაც თავი ქართული ხალხური ზღაპრების ძაგებითა და სკოლებში ვაშლების დარიგებით დაგვამახსოვრა. ამბობენ, ჯეჯელავა ბავშვების გონებისა და ჯანმრთელობის ვაშლებით გაუმჯობესების ინიციატივას შეეწირაო...**

**მიხეილ ჩხენკელის შესახებ ბევრი არაფერია ცნობილი, ვიცით მხოლოდ ის, რომ უცხოეთში მოღვაწეობდა, კარგი სპეციალისტია, საუკეთესო მათემატიკოსი.**

**ახალი წელი ახალმა მინისტრმა საინტერესო ინიციატივებით დაიწყო და საზოგადოების ყურადღებაც მიიპყრო. „მიმაჩნია, რომ რელიგიის ისტორია, როგორც არჩევითი საგანი, ყველა სკოლაში უნდა იყოს“, — განაცხადა მან და იქვე შეეხო მეორე საკითხსაც: „უნივერსიტეტების რაოდენობა შემცირდება. გვყავს ავტორიზაციის საბჭო, პროფესიონალი ექსპერტებით დაკომპლექტებული, და ეს იქნება ობიექტური შეფასების პროცესი, მაგრამ მთავარი არის ის, რომ სახელმწიფომ უნდა თქვას სიმართლე; უნდა ვუთხრათ ყველა აბიტურიენტს, მშობელს, საზოგადოებას, რომ სახელმწიფოს მიერ ავტორიზებული უნივერსიტეტი აუცილებლად უნდა იყოს ისეთი, სადაც წამყვანი მხარე არის განათლების ხარისხი“.**

**განათლების მინისტრის ამ ინიციატივას როგორ შეხვდება საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც სკოლებში „მე და საზოგადოების“ შეტანას ითხოვდა, ან რა მოხდება, თუ მართლა გაუქმდება ესოდენ მოჭარბებული უნივერსიტეტების უმრავლესობა? — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი გოგოლაშვილი გვესაუბრება.**

**— რელიგია, როგორც არჩევითი საგანი, ყველა სკოლაში უნდა ისწავლებოდესო, — განაცხადა განათლების ახალმა მინისტრმა...**

— განათლების მინისტრად მიხეილ ჩხენკელის დანიშვნა გასული წლის საუკეთესო მოვლენა იყო. ძლივს ვიხილეთ პროფესიონალი, საქმის მცოდნე, გამოცდილი და, რაც მთავარია, განათლების სისტემის ერთგული მუშაკი.

მისი ყველა განცხადება ყურადსაღებია, კარგად უნდა შევისწავლოთ, რას გულისხმობს, როდესაც ამბობს, რელიგიის სწავლება უნდა დაიწყოსო.

**არაერთხელ გვქონია დისკუსია, რა გავლენას ახდენდა რელიგიის სწავლება და სკოლებში რელიგიური კუთხეების არსებობა მოზარდებზე. შემდეგ, როდესაც ეს ყველაფერი მოიშალა სკოლებში, ვმსჯელობდით იმაზე, რა უარყოფითად იმოქმედა ამან ბავშვების აღზრდასა და ფსიქიკაზე. სამწუხაროდ, ამ საკითხზე კვლევა-ძიება არავის ჩაუტარებია. რწმენისა და ცოდნის ერთმანეთთან დაკავშირება აუცილებელია. როდესაც რწმენა დააშორეს ცოდნას, ამან მხოლოდ უარყოფითი შედეგი მოიტანა.**

მინისტრის ეს ინიციატივა აუცილებლად იქნება მსჯელობის საგანი, არავის უნდა მიეცეს პროვოკაციის საშუალება.

**— რას გულისხმობთ პროვიკაციაში?**

— მგონია, რომ სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის მქონენი წამოყოფენ თავს და იტყვიან, რომ ერთი რომელიმე რელიგიის სწავლება დისკრიმინაციაა. ამიტომ ეს პროცესი უმტკივნეულოდ უნდა

> **«გაუნათლებელი, ადვილად მოსატყუებელი, ცხვარივით უსიტყვოდ მორჩილი საზოგადოება — ეს არ არის ძლიერი ქვეყნის აშენების გარანტი»**

მოგვარდეს, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ ქვეყანაში ცხოვრობენ სხვადასხვა აღმსარებლობის ადამიანები და რელიგიის სწავლება მხოლოდ რჯულის კანონისა და ქრისტიანული რელიგიის საფუძვლების სწავლება არ უნდა იყოს, არამედ ისწავლებოდეს ზოგადად რელიგიის საფუძვლები გარკვეული აქცენტებით. ამ საგნის სპეციალისტი არ ვარ, მაგრამ ამგვარი საგნის სწავლების აუცილებლობას ნამდვილად ვხედავ. ვიმედოვნებ, მინისტრს, როდესაც ასეთ განცხადებას აკეთებს, ნაფიქრი აქვს და დაველოდოთ, რა ფორმით მოხდება ამ საგნის შეტანა სასკოლო პროგრამაში.

**— ბოლო რამდენიმე წელიწადია, ქვეყანას განათლების მინისტრებში, ასე ვთქვათ, არ უმართლებს, ზოგი მათგანის ფსიქიკური მდგომარეობაც კი საეჭვო იყო... ვერ გამჩნევთ დიდ ენთუზიაზმს, აქებთ ახალ მინისტრს, მაგრამ დიდად დარწმუნებული არ ხართ...**

— განათლების სისტემაში მოყვანა ისეთი ოდიოზური ფიგურებისა, როგორებიც გვყავდა, დამღუპველი აღმოჩნდა ამ სისტემისთვის. სათქმელადაც სირცხვილია, მაგრამ, რომ არ თქვა, არ შეიძლება... **სასჯელაღსრულების სამინისტროდან გადმოჰყავდათ მინისტრები განათლების სისტემაში და მათ არც ის საქმე იცოდნენ, საიდანაც მოდიოდნენ და განათლებისა ხომ არაფერი გაეგებოდათ. განათლების სისტემისადმი ასეთმა აგდებულმა დამოკიდებულებამ კატასტროფამდე მიგვიყვანა.**

განათლების სისტემის, მომავალი თაობების გულშემატკივარნი ბევრს ვსაუბრობდით ამ თემაზე, მაგრამ, სამწუხაროდ, არავინ ისმენდა, რადგან სფეროს არაპროფესიონალები განაგებდნენ. ჩემი სკეპტიკური განწყობაც ამის ბრალია. **მინისტრი, შესაძლოა, კარგი იყოს, მაგრამ სამინისტროს ძირითად სამსახურებში რჩებიან და მუშაობას განაგრძობენ ადამიანები ისეთივე სულისკვეთებით, როგორითაც ათი-თხუთმეტი წლის წინათ იყვნენ განმსჭვალულნი, ანუ ადამიანები, რომელთა ინტერესებშიც განათლების სისტემის დანგრევა იყო. სიახლეები, ცხოვრებისეული გამოცდილებით მიღებული შედეგები განათლების სისტემაში არ ინერგება.**

განათლება უფაქიზესი უზარმაზარი სფეროა და, სამწუხაროდ, ამ სისტემის სწორი და მიზანმიმართული აღორძინება არ ხდება. **გაუნათლებელი, ადვილად მოსატყუებელი, ცხვარივით უსიტყვოდ მორჩილი საზოგადოება არ არის ძლიერი ქვეყნის აშენების გარანტი.**

**— თითქმის ვიქეცით გაუნათლებელ, უსიტყვოდ მორჩილ საზოგადოებად. გაქვთ იმედი, რომ ვითარება გამოსწორდება და განათლების სისტემა დადგება სათანადო დონეზე?**

— გამოსწორებას თუ მოინდომებენ, რა თქმა უნდა, შესაძლებელია. მთავარია, ჰქონდეთ კეთილი ნება განათლების სისტემის სერიოზული რეფორმისა, უნდა გამოასწორონ დაშვებული შეცდომები, უნდა დაიწყონ ცვლილებები.

ათეული წლებია, ვსაუბრობთ სახელმძღვანელოებზე, **შესაცვლელია ყველა სახელმძღვანელო, აუცილებელია, განაცალკევონ ქართული ენა და ლიტერატურა, მაგრამ შედეგებს ვერ ვაღწევთ. ჯიუტად გაიძახიან თავისას და არ არსებობს ნება უკეთესის შექმნისა და უკეთესი სწავლებისა, რაც უბედურებაა.** გამოსწორება შეიძლება, თუ სპეციალისტებს მოუსმენენ. რაც დრო გადის, პროცესი რთულდება, ძნელდება. ათი წლის წინათ რომ დაწყებულიყო პრობლემის მოგვარება, ახლა ხომ დასრულებული იქნებოდა?

მომწონს მინისტრი, თუ ასე მსჯელობს და ასეთი ინიციატივები აქვს, მაგრამ მგონია, რომ ქვეყნის დასაღუპავად გაჩენილი არასამთავრობოები, ცალკეული პოლიტიკური თუ არაპოლიტიკური ფიგურები აყვირდებიან და ისევ ხელახლა დაიწყება მსჯელობა: შეიტანონ თუ არა სკოლებში რელიგიის ისტორია. მინისტრის ინიციატივა კი, შესაძლოა, ინიციატივად, სურვილად, ოცნებად დარჩეს და არაფერი შეიცვალოს.

**— მინისტრი, აგრეთვე, ამბობს, რომ ქვეყანაში ბევრი უნივერსიტეტია, მაგრამ ისინი განათლების მაღალ ხარისხს ვერ უზრუნველყოფენ...**

— ამ საკითხშიც მართალია მინისტრი. ძალიან ბევრი უნივერსიტეტი და სასწავლებელია, ქვეყანაში ამდენი სპეციალისტი არ გვყავს. თუკი ვინმე ნორმალური სპეციალისტია, ისეთ გადარბენაზეა სასწავლებლებში, რომ ვერ იცლის ხარისხიანი სწავლებისთვის. ღრმა და საფუძლიან სწავლას სიმშვიდე სჭირდება. ასე რომ, ქვეყანაში კადრების ნაკლებობაა და სჯობს, იყოს ერთი უნივერსიტეტი და სწავლის ხარისხი ავამაღლოთ. კიდევ გავიმეორებ: მომწონს მინისტრის ეს ინიციატივა, მაგრამ ამასაც მოჰყვება ვნებათაღელვა და, როგორ მოხერხდება ამ რეფორმის გატარება, წარმოდგენა არ მაქვს.

> **«ქვეყნის დასაღუპავად გაჩენილი არასამთავრობოები, ცალკეული პოლიტიკური თუ არაპოლიტიკური ფიგურები აყვირდებიან და ისევ ხელახლა დაიწყება მსჯელობა: შეიტანონ თუ არა სკოლებში რელიგიის ისტორია, მინისტრის ინიციატივა კი, შესაძლოა, ინიციატივად, სურვილად, ოცნებად დარჩეს და არაფერი შეიცვალოს»**

რამდენიმე ხნის წინათ ვსაუბრობდით წინა ხელისუფლების პერიოდში ჩატარებულ კონკურსებზე, ვთქვით, რომ იყო არასამართლიანი, პოლიტიზებული, რომ პროფესორები ხდებოდნენ დაუმსახურებლად და ამაზე ახალმა მინისტრმაც ისაუბრა, მაგრამ, როგორ მოახერხებს ამ საკითხის მოგვარებას, არ ვიცი, თუმცა ამ პრობლემის მოგვარებაც აუცილებელია.

**— ვთანხმდებით იმაზე, რომ განათლების სისტემა დაანგრიეს... როგორ ფიქრობთ, უნდა დადგეს თუ არა იმ ადამიანების პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებმაც გადაწყვიტეს, რომ სკოლებში, თანაც, დაწყებით კლასებში, ესწავლებინათ საგანი „მე და საზოგადოება“, და ამით მოსახლეობისა და სპეციალისტების უდიდესი ნაწილის აღშფოთება გამოიწვიეს?**

— ვინც განათლების სისტემა დაანგრია, უნდა დაისაჯოს, ეს სამართალდამცავი ორგანოების პრეროგატივაა, მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ ყველაფერს ხელისუფლებაც უწყობდა ხელს, ხელისუფლებაც უარყოფდა საზოგადოებისა და სპეციალისტების აზრს და, აქედან გამომდინარე, საეჭვოა, ვინმე დაისაჯოს.

ისე კი, ყველა დასასჯელია. უნდა დაისაჯონ ის მინისტრებიც, რომლებმაც დააქციეს სისტემა. წესით, საქმის გამფუჭებელი უნდა დაისაჯოს, მაგრამ ჩვენ, დიდი ხანია, პასუხისგების მექანიზმები არ გაგვაჩნია. იმის ნაცვლად, რომ მინისტრები მოხსნის შემდეგ დაესაჯათ, ვისმენდით, როგორი წარმატებული იყვნენ და როგორი მნიშვნელოვანი და აუცილებელი რეფორმები გაატარეს განათლების სისტემაში. ჩვენ ყოველთვის ვეკითხებოდით მათ არასწორად ჩატარებულ კონკურსებზე, სახელმძღვანელოების არასწორ გრიფირებაზე, მაგრამ გვპასუხობდნენ, რომ ყველაფერი სწორად გაკეთდა.

კარგი იქნება, თუ ახალი მინისტრი შეცვლის კადრებს. ჯერ ახალი მოსულია და ვერ მოასწრებდა, წლის ბოლო იყო, შემდეგ დასვენების დღეებმა მოუსწრო. მოკლედ, ვაცადოთ.

**— იმედოვნებთ, რომ მიხეილ ჩხენკელი უკეთეს განათლების სისტემას შექმნის?**

— იმის იმედი მაინც მაქვს, რომ, მინისტრობას როდესაც დაასრულებს, სასწავლებლად უცხოეთში არ წავა, ამას მაინც გადავრჩებით. სხვა მინისტრები ყველა გავუშვით სასწავლებლად და კვალიფიკაციის ასამაღლებლად საზღვარგარეთ მას შემდეგ, რაც სისტემა დაღუპეს. ესეც ხომ პარადოქსია — **განათლების მინისტრობიდან სტუდენტობამდე...**

ახალ მინისტრს თავს დაესხმებიან, მაგრამ, როგორც **იაკობ გოგებაშვილი** ამბობს: „ჩვენში საქმის კეთება ძნელია, მაგრამ უფრო ძნელია გაკეთებული საქმის დაცვა გამფუჭებლებისგან“.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

ჩეპლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სანამ საქართველოს ხელისუფლება გადაწყვეტილებას მიიღებს, სანამ პარლამენტის თავმჯდომარე თუ პრემიერმინისტრი იტყვის, რას აპირებს უკრაინის პრეზიდენტის შემოთავაზებაზე, ერთი ძველი ქართული ანდაზა გაიხსენონ: „გაახელეს მურია, შეაჭამეს მგლებსაო...“ წყლის ორი წვეთივით ჰგავს ეს მდგომარეობა იმას, რაც 2008 წლის აგვისტოს ომს უძლოდა წინ. მაშინაც ისმოდა რიხიანი რიტორიკა, ევროპელი თუ ამერიკელი პოლიტიკოსების ხმამაღალი განცხადებები, რომ ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას მხარს უჭერენ და ჩვენს ტერიტორიას ვერავინ შეეხება. შედეგად კი მივიღეთ ის, რომ რუსეთმა ზუსტად ისე გადაგვიარა, როგორც თვითონ აძლევდა ხელს, არც ამერიკის მორიდებია და არც ევროპის.**

# ბატონებო, ნუ გადააქცევთ საქართველოს მეორე სირიად!

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე უკრაინაში ოფიციალური ვიზიტით გაემგზავრა და პრეზიდენტ პეტრე პოროშენკოს შეხვდა. ეს შეხვედრა რიგითი შეხვედრებივით ჩაივლიდა, რომ არა ერთი საგულისხმო ფაქტი: უკრაინის პირველმა პირმა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ოფიციალურად შესთავაზა, რომ საქართველო უკრაინის პარტნიორი გახდეს და მონაწილეობა მიიღოს რუსეთისთვის დაწესებულ სანქციებში. ეს — მოკლედ, უფრო კონკრეტულად კი...**



„კარგი იქნება, თუ რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს საქართველოც შეუერთდება. ამით შეიძლება მეტი ყურადღება მივიპყროთ და ევროპას სტიმული მიეცეს, განაგრძოს სანქციები რუსეთის წინააღმდეგ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის საკითხიდან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია დავამატოთ საქართველოს კომპონენტი“, — განაცხადა **პოროშენკომ.**

ჩვენ ერთხელ უკვე ვცადეთ, რუსეთისთვის სანქციები დაგვეწესებინა და ამ მიზნით პარლამენტის ამჟამინდელმა ვიცესპიკერმა **ზვიად ძიძიგურმა** სამტრედიაში სარკინიგზო ხაზიც გადაკეტა. ამ ბლოკადის შედეგად, მილიარდობით ზარალი მიადგა საქართველოს, რუსეთმა კი მოგვიანებით შეიტყო, რომ თურმე რკინიგზა ყოფილა გადაკეტილი სამტრედიაში და მეგასახელმწიფომ დანაკლისი ვერც იგრძნო. ორიოდე წლის წინათ კი თქვა ძიძიგურმა: მე რას მერჩით, პრეზიდენტმა მიბრძანა და შევასრულე, თორემ მეც ვხვდებოდი, ამ აქციას ჩვენთვის კარგი შედეგის მოტანა რომ არ შეეძლოო. საინტერესოა, იტყვის კი ახლა ძიძიგური იმავეს და აუხსნის კობახიძეს, რომ რუსეთისთვის სანქციების დაწესებით ჩვენ ვიზარალებთ და არა რუსეთი?! ეყოფა საქართველოს ხელისუფლებას უნარი, რომ გაუძლოს ოპოზიციისა და არასამთავრობოების ზეწოლას იმის თაობაზე, რომ რუსეთი ჩვენი მტერია და მას ყველა მეთოდით უნდა ვებრძოლოთ?..

**ის, რომ არასამთავრობოები, ვითომ ექსპერტები, ვითომ პროფესორები და კიდევ ათასი ჯურის ვილაცები ატეხდნენ ყიჟინას, პოროშენკოს შემოთავაზებამ სულზე მოგვისწროო, კი ვიცოდით, მაგრამ, ასე მალე თუ ახმაურდებოდნენ, არ გვეგონა.**

„რუსეთმა ოკუპირებული სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ანექსიური პოლიტიკა გააქტიურა 2014-2015 წლების შემდეგ (ვგულისხმობ სტრატეგიულ შეთანხმებებს, რომელთა ფარგლებშიც მიმდინარეობს ამ ორი რეგიონის ბევრი სფეროს მოქცევა რუსულ სამართლებრივ ჩარჩოში). ბუნებრივია, ჩვენი სურვილია, რუსეთმა პასუხი აგოს იმაზე, რაც დღემდე ჩაიდინა და კარგი იქნებოდა, სანქციების რეჟიმი რომ დაწესებულიყო თავის დროზე. მეორე მხრივ, მიმდინარე ანექსიური პროცესი რუსეთის მხრიდან საერთაშორისო სამართლებრივი რეჟიმიდან გასვლას ნიშნავს. შესაბამისად, ამ ანექსიური პოლიტიკიდან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ სწორედ ამ მიზეზით რუსეთს დაუწესდეს სანქციები“, — განაცხადა საქართველოს რეფორმების ასოციაციის დირექტორმა (GRASS) **პაატა გაფრინდაშვილმა.**

გაფრინდაშვილისგან ამ განცხადების მოსმენა არ გაგვკვირვებია, მაგრამ საქართველოს ყოფილი ელჩი უკრაინაში, შემდეგ — რუსეთში, საქართველოს ფინანსთა მინისტრი **ვალერი ჩეჩელაშვილი** რატომ ფიქრობს, რომ რუსეთს სანქციები უნდა დავუწესოთ, ნამდვილად ვერ გეტყვით.

„ვფიქრობ, ეს ძალიან დროულია და, უკრაინას რომ არ შემოეთავაზებინა, ჩვენ უნდა დაგვეყენებინა ეს საკითხი მათთან ორმხრივ ფორმატში. ვინაიდან ეს შემოთავაზება არის, აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ. ყოველთვის მაწუხებდა ის გარემოება, რომ, როდესაც რუსეთის მიმართ სანქციების შერბილებაზე იყო საუბარი, მოიხსენიებოდა მხოლოდ აღმოსავლეთ უკრაინაში მიმდინარე მოვლენები და ყირიმის დეოკუპაცია. მიზანი უნდა იყოს, რომ ჩვენმა და უკრაინის ექსპერტებმა ერთობლივი მუშაობის შედეგად მიაღწიონ იმას, რომ, როდესაც რუსეთის მიმართ სანქციების შერბილების საკითხი დადგება, ეს მოხდეს არა მხოლოდ ყირიმის, არამედ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დეოკუპაციის კონტექსტში (აღმოსავლეთ უკრაინაში საომარი მოქმედებების შეწყვეტა თავისთავად). წარმოიდგინეთ ფანტასტიკური სიტუცია; რუსეთი დასთანხმდა ყირიმის დეოკუპაციას, შეწყვიტა საბრძოლო მოქმედებები აღმოსავლეთ უკრაინაში და, თუ ჩვენ არ ვართ ამ კონტექსტში განხილული, მოიხსნება ყველანაირი სანქცია რუსეთზე, იქნება ჩვეულებრივი თანამშრომლობა დასავლეთსა და რუსეთს შორის, ხოლო აფხაზეთი და სამაჩაბლო რჩება ოკუპირებულ ტერიტორიებად?! ეს აბსოლუტურად მიუღებელი სიტუაციაა. ამიტომ ჩვენს ინტერესებშია, ვიყოთ ამ პროცესის თანამონაწილე. არ ვიცი, ეს აქამდე რატომ არ ხდება. იმედი მაქვს, რომ არსებული დამოკიდებულება შეიცვლება და ჩვენ გამოვიყენებთ უკრაინის პრეზიდენტის შემოთავაზებას“, — განაცხადა **ჩეჩელაშვილმა.**

ახლა ვერ დავიწყებ იმის მტკიცებას, რომ გაფრინდაშვილი, ჩეჩელაშვილი და სხვები საერთაშორისო პრესას არ ეცნობიან, მაგრამ ამ ადამიანებმა აუცილებლად უნდა იცოდნენ (ვალდებულებიც არიან), რომ **ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ოფიციალურად დაიწყო რუსეთის მეზობელი ქვეყნების, კონკრეტულად კი ბელარუსის, უკრაინის, მოლდოვის, ფინეთისა და პოლონეთის სამხედრო მზადყოფნის შესწავლა. კონკრეტულად კი, ამერიკას აინტერესებს, ომის პირობებში, როგორ შეძლებენ ეს სახელმწიფოები მოსახლეობის უზრუნველყოფას პროდუქტებით, რა მდგომარეობაში აქვთ სამხედრო ტექნიკა, რა რაოდენობის სასმელი წყლის მარაგი აქვთ და ა.შ. და ეს ყველაფერი მოხდება ოფიციალურად და ფარულად. ანუ, აშშ დაუფარავად აცხადებს, რომ, რუსეთთან სამხედრო ესკალაციის შემთხვევაში, ამ ქვეყნის მეზობელი სახელმწიფოების იმედი აქვს. ჩაერევა თუ არა ბელარუსი ამ ყველაფერში, ნამდვილად ვერ გეტყვით, მაგრამ უკრაინა, პოლონეთი და მოლდოვა შესაწირი ზვარაკები რომ არიან, ადვილი მისახვედრია. ფინელებს დაწყობილ-აწყობილი სახელმწიფო აქვთ და მათ პოზიციასაც ვერ გეტყვით, მაგრამ ფაქტია, რომ ამერიკა რაღაცისთვის ემზადება და ამ რაღაცას ომი ჰქვია.**

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ვიზიტი უკრაინაში შემთხვევითი არ იყო. ორივე ქვეყანა აშშ-ის ვასალია და მნიშვნელოვანი ის კი არ არის, რას ფიქრობენ ამ ქვეყნების ხელისუფლებები, არამედ ის, რას ფიქრობს ძია სემი. ძია სემი კი საჩვენოდ კარგს რომ არაფერს ფიქრობს, ფაქტია. სხვათა შორის, ამ ყველაფერს საეჭვოდ აჰყვა ერთ-ერთი ქართული ტელეკომპანია, რომელმაც რუსეთსა და ამერიკას თვითმფრინავები, ტანკები, ტანკერები, ავიამზიდები, წყალქვეშა ნავები და ჯარისკაცები დაუთვალა, თანაც ისე, რომ ამერიკის უპირატესობა თვალში საცემი იყო და ისიც ითქვა, ომის პირობებში რუსეთს არაფრის იმედი არ უნდა ჰქონდესო**

ჩვენი ინფორმაციით, **საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ვიზიტი უკრაინაში შემთხვევითი არ იყო. ორივე ქვეყანა აშშ-ის ვასალია და მნიშვნელოვანი ის კი არ არის, რას ფიქრობენ ამ ქვეყნების ხელისუფლებები, არამედ ის, რას ფიქრობს ძია სემი. ძია სემი კი საჩვენოდ კარგს რომ არაფერს ფიქრობს, ფაქტია. სხვათა შორის, ამ ყველაფერს საეჭვოდ აჰყვა ერთ-ერთი ქართული ტელეკომპანია, რომელმაც რუსეთსა და ამერიკას თვითმფრინავები, ტანკები, ტანკერები, ავიამზიდები, წყალქვეშა ნავები და ჯარისკაცები დაუთვალა, თანაც ისე, რომ ამერიკის უპირატესობა თვალში საცემი იყო და ისიც ითქვა, ომის პირობებში რუსეთს არაფრის იმედი არ უნდა ჰქონდესო.**

ადრე ვთქვი, **ტრამპი** რუსეთთან ბრძოლას უკანასკნელ ქართველ ჯარისკაცამდე აპირებს-მეთქი და ახლა ქართველ ჯარისკაცებს პოლონელი, უკრაინელი, მოლდოველი, ფინელი და ბელარუსი ჯარისკაცებიც დაემატებიან. გამორიცხულია, სამხედრო მოქმედებების პირობებში, ამერიკამ ერთი ჯარისკაცი მაინც გამოიმეტოს; პირიქით, ჩვენ შეგვაგულიანებს, ნატოში ხომ გინდათ, ხომ ხართ ნატოს პარტნიორი ქვეყანა და აჰა, ბურთი და მოედანი, — იომეთო.

სხვათა შორის, ავადსახსენებელ 2008 წელს, როცა საქართველო რუსეთთან ომში ჩაება, თავდაცვის იმჟამინდელი მინისტრი **დავით კეზერაშვილი** ამბობდა: ამაზე ძლიერი შეიარაღება და ჯარი არასდროს გვეყოლებაო. მაშინ რაც მოხდა, ყველას კარგად ახსოვს და ისიც არ დაგვიწყებია, ამერიკულმა ავიამზიდმა თუ ტანკერმა სასმელი წყალი და პამპერსი რომ მოგვაშველა, არც ერთი ჯარისკაცი, არც ერთი საბრძლო ტექნიკა. ამერიკამ იმხანად ჩვენთვის თავი არ შეიწუხა და ახლა რატომ შეიწუხებს?!

და ეს ყველაფერი იმის ფონზე, რომ რუსეთში ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, ადგილობრივი მოსახლეობა საქართველოს, როგორც მტერს, აღარ უყურებს, ანუ მიდგომა შეიცვალა. თუ მანამდე მტრების სიაში, ამერიკის შემდეგ, მეორე ვიყავით, ახლა ათეულშიც ვერ მოვხვდით, რაც იმას ნიშნავს, რომ აქვს აზრი მოლაპარაკების დაწყებას. აზრი აქვს ერთ მაგიდასთან დასხდომას და არა მაგიდაზე მუშტის ბრახუნს. ამ ბრახუნმა რაც მოგვიტანა, ერთად ვიწვნიეთ ყველამ და აღარ გვინდა.

სანამ საქართველოს ხელისუფლება გადაწყვეტილებას მიიღებს, სანამ პარლამენტის თავმჯდომარე თუ პრემიერმინისტრი იტყვის, რას აპირებს უკრაინის პრეზიდენტის შემოთავაზებაზე, ერთი ძველი ქართული ანდაზა გაიხსენონ: „გაახელეს მურია, შეაჭამეს მგლებსაო...“ წყლის ორი წვეთივით ჰგავს ეს მდგომარეობა იმას, რაც 2008 წლის აგვისტოს ომს უძლოდა წინ. მაშინაც რიხიანი ისმოდა რიტორიკა, ევროპელი თუ ამერიკელი პოლიტიკოსების ხმამაღალი განცხადებები, რომ ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას მხარს უჭერენ და ჩვენს ტერიტორიას ვერავინ შეეხება. შედეგად კი მივიღეთ ის, რომ რუსეთმა ზუსტად ისე გადაგვიარა, როგორც თვითონ აძლევდა ხელს, არც ამერიკის მორიდებია და არც ევროპის. ბებერი კონტინენტის შუაგულიდან ევროპელ ლიდერთა შეშფოთება კი მოჩვენებითი იყო, რადგან ეს „შეშფოთებული“ ლიდერები დღემდე ბედნიერი სახეებით ხვდებიან რუსეთის პრეზიდენტს და ალიარებენ, რომ მისი გაბრაზება არ სურთ.

**ბატონებო, არ დაუჯეროთ პოროშენკოს, ნუ გადააქცევთ საქართველოს მეორე სირიად და, სანამ გადაწყვეტილებას მიიღებთ, გაიხსენეთ, რომ სირია...**

**ბესო ბარბაქაძე**

„პოროშენკო გამოთქვამდა მზადყოფნას, რომ სააკაშვილი გადმოეცათ საქართველოსთვის, მაგრამ ივანიშვილმა უარი განაცხადა და, ფაქტობრივად, თქვა, რომ ჩვენ არ გვჭირდება სააკაშვილი ქართულ ციხეშიო, ანუ გაცხადებული მოთხოვნები სააკაშვილის ექსტრადიციაზე მხოლოდ ფორმალობა იყო და რეალურად მათ უკან არანაირი ნება და მონდომება არ იდგა. ცალკე თემაა ის, რომ, თავის მხრივ, პოროშენკო და, საერთოდ, უკრაინის ხელისუფლება, მსგავსად „ქართული ოცნებისა“, უხერხემლოა და არ აქვს პრობლემების მოგვარების უნარი“.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გიორგი ახვლედიანი: პოროშენკოსთან შეხვედრისას ივანიშვილი სააკაშვილის ექსტრადიციის კატეგორიული წინააღმდეგი წავიდა

**პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ უკრაინაში მისი ვიზიტის ფარგლებში არც ერთ მაღალი დონის შეხვედრაზე ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის საქართველოში ექსტრადირებაზე საუბარი არ ყოფილა. მისი განმარტებით, ეს საკითხი სამართლებრივ ჭრილში უნდა გადაწყდეს და პოლიტიკური თვალსაზრისით საინტერესო არ არის. კობახიძის თქმით, უკრაინის პრემიერმინისტრთან ქვეყნებს შორის ორმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებასა და განმტკიცებაზე ისაუბრა, ასევე განიხილეს პარტნიორობის საკითხებიც, როგორც პოლიტიკური, ისე სხვა მიმართულებებით... შეგახსენებთ, რომ „ქართული ოცნება“, რომლის საკანონმდებლო ხელისუფლების პირველი პირი დღეს ამბობს, რომ სააკაშვილის საქართველოში ექსტრადირება საინტერესო თემა არ არის, თავის დროზე ქვეყნის სათავეში სწორედ სამართლიანობის აღდგენის დაპირებით მოვიდა. უკრაინა კი ის სახელმწიფოა, რომლისგანაც ქართული მართლმსაჯულება დღემდე ამაოდ ითხოვს უმძიმეს დანაშაულებში ბრალდებული წინა ხელისუფლების მაღალჩინოსნების გადმოცემას.**

**ადეკვატურია თუ არა პარლამენტის თავმჯდომარის განცხადება სააკაშვილის ექსტრადირებაზე, რატომ არის მისთვის ეს საკითხი უინტერესო და, საერთოდ, რა უშლის დღეს საქართველოს ხელისუფლებას ხელს, რომ ამ მიმართულებით უფრო აქტიურად იმუშაოს? — „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება პარტია დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ახვლედიანი.**





**— ბატონო გიორგი, პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე მიიჩნევს, რომ სააკაშვილის საქართველოში ექსტრადირების საკითხი პოლიტიკურად საინტერესო არ არის. რას ფიქრობთ ამ განცხადებაზე, ადეკვატურია კი ეს შეფასება იმ ხელისუფლების წარმომადგენლისგან, რომელიც თავის დროზე ქვეყნის სათავეში სწორედ სამართლიანობის აღდგენის დაპირებით მოვიდა?**

— დიდი სიბრძნე არ სჭირდება იმის განსაზღვრას, რა მნიშვნელოვანია დღეს სააკაშვილის საქართველოსთვის გადმოცემა და იქ მოთავსება, სადაც დიდი ხნის წინათ უნდა ჩამჯდარიყო, მაგრამ ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი, როგორც ჩანს, ამას ვერ ხვდება. **ეტყობა, არ აქვთ გაცნობიერებული, რა მოვლენა იყო „ნაციონალური მოძრაობა“, რა ბოროტებასთან გვქონდა საქმე წლების განამვლობაში და რა უბედურება დაატყდა თავს ქვეყანას ამ დანაშაულებრივი პარტიის მმართველობის შედეგად.** რაც შეეხება პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებას, ყველას გვესმის, რომ კობახიძეს დღეს უკრაინაში სხვა საქმე არ აქვს, გარდა იმ საკითხზე მსჯელობისა, რომელიც სააკაშვილის ექსტრადირებას ეხება. თუმცა დღეს ვხედავთ, რომ მას შემდეგ, რაც უკრაინამ შეიფარა ქართული მართლმსაჯულების მიერ ძებნილი სააკაშვილი, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა დაპაუზდა. თავის მხრივ სააკაშვილი უკვე სერიოზული თავისტკივილია როგორც უკრაინისთვის, ისე საქართველოსთვისაც და, სხვათა შორის, თბილისში პრეზიდენტ **პოროშენკოს** ვიზიტისას მთავარი განსახილველი საკითხი სწორედ ეს იყო. მეტიც, პოროშენკო გამოთქვამდა მზადყოფნას, რომ სააკაშვილი გადმოეცათ საქართველოსთვის, მაგრამ **ივანიშვილმა** უარი განაცხადა და, ფაქტობრივად, თქვა, რომ ჩვენ არ გვჭირდება სააკაშვილი ქართულ ციხეშიო, ანუ **გაცხადებული მოთხოვნები, სააკაშვილის ექსტრადიციაზე მხოლოდ ფორმალობა იყო და რეალურად მათ უკან არანაირი ნება და მონდომება არ იდგა.** ცალკე თემაა ის, რომ, თავის მხრივ, პოროშენკო და, საერთოდ, უკრაინის ხელისუფლება, მსგავსად „ქართული ოცნებისა“, უხერხემლოა და არ აქვს პრობლემების მოგვარების უნარი. არადა, კიდევ ვიმეორებ: კობახიძის ვიზიტის ფარგლებში მთავარი განსახილველი საკითხი უნდა ყოფილიყო, სად უნდა იყოს დღეს სააკაშვილი — გლდანის ციხეში თუ სხვაგან. მაგრამ, როგორც ჩანს, კობახიძეს ეს საკითხი არ აინტერესებს და მისთვის შესრულება იმ მთავარი დაპირებისა, რომლის გამოც ხალხმა „ოცნებას“ მხარი დაუჭირა, დღის წესრიგში არ დგას...

**— ირაკლი კობახიძემ განაცხადა, სააკაშვილის ექსტრადირება პოლიტიკური თვალსაზრისით არ არის აქტუალური და ეს საკითხი სამართლებრივ ჭრილში უნდა გადაწყდესო...**

— მერე სად, რაში ჩანს, რომ ვინმე დაინტერესებულია ამ საკითხის სამართლებრივ ჭრილში გადაწყვეტით? ქვეყანაში არის უამრავი დაზარალებული მოქალაქე, ბიზნესმენი, ქონებაწართმეული ადამიანი, შვილმკვდარი დედა და მამა... ხელისუფლების შეცვლიდან ექვსი წლის თავზე ვინმე იტყვის, რომ ამ ხალხმა სამართლიანობა იგრძნო?! არაერთხელ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ; **სანამ სააკაშვილს არ დაეკისრება ჩადენილი დანაშაულების შესაბამისი სამართლებრივი პასუხისმგებლობა, სამართლიანობაზე საუბარი ზედმეტია.** ჩვენ ვერ გადავაგორებთ ამ თემას იმაზე, რომ **გიგი უგულავა** წელიწად-ნახევარს იჯდა ციხეში, თუმცა მერე ისე გამოუშვეს, კაციშვილმა ვერ გაიგო, რა იყო მისი გათავისუფლების მიზეზი. არც სასამართლო ყოფილა, არც შეწყალება... უბრალოდ, გამოუშვეს. შემდეგ ითქვა, რომ თურმე ნაწილობრივ აღიარა დანაშაული. ციხე სავსეა ადამიანებით, რომლებმაც სრულად აღიარეს დანაშაული, მაგრამ არ გაუთავისუფლებიათ. ასე რომ, ესენი სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნას ვერავის დაუკმაყოფილებენ დანაშაულთან შედარებით საკმაოდ კომფორტული წელიწად-ნახევრიანი სასჯელით, რომელიც უგულავას მოახდევინეს; ვერც იმით, რომ **ვანო მერაბიშვილი** და **ბაჩო ახალაია** ციხეში არიან. **სისტემური დანაშაული შექმნა სააკაშვილმა და, პირველ რიგში, მან უნდა აგოს პასუხი...**

**— ამბობთ, რომ ბიძინა ივანიშვილს არ სურს, სააკაშვილი ქართული მართლმსაჯულების წინაშე წარდგეს?**

— რა თქმა უნდა. და დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ, როდესაც პოროშენკო იმყოფებოდა თბილისში, ის სწორედ ამ თემაზე სასაუბროდ შეხვდა ბიძინა ივანიშვილს. კიდევ ვიმეორებ: პოროშენკოსთან შეხვედრისას ივანიშვილი სააკაშვილის ექსტრადიციის კატეგორიული წინააღმდეგი წავიდა, იმიტომ, რომ მისთვის, როგორც ჩანს, სააკაშვილი საქართველოში ძალიან დიდი თავისსტკივილი იქნება, ისევე, როგორც პოროშენკოსთვისაა დღეს უკრაინაში.

**— და მაინც, რა პრობლემა შეიძლება შეუქმნას ივანიშვილს სააკაშვილის გასამართლებამ?**

— მაგალითად, არის ასეთი მექრთამე ადამიანი, **იაცეკ სარიუშ-ვოლსკი**, ევროპარლამენტარი და ევროპის სახალხო პარტიის ვიცეპრეზიდენტი, რომელსაც მიხეილ სააკაშვილი „ხელფასს“ უხდიდა. ახლა წარმოიდგინეთ, **სააკაშვილი რომ გაასამართლო, რას იზამს ეს კაცი, დადგება და მთელი დღე იჭყავლებს ევროპარლამენტში, რომ თურმე საქართველოში ყოფილი პრეზიდენტი პოლიტიკური დევნის მსხვერპლია, რომ ქვეყანაში დემოკრატია ჩამოიქცა... ეს, რა თქმა უნდა, არის პრობლემა, მაგრამ მთავარი უბედურება ამ ხელისუფლების უუნარობაა.** ვერ მოახერხეს ნორმალური გამოძიების, ნორმალური სასამართლო პროცესების ჩატარება, სადაც სააკაშვილს ბრალი წარედგინებოდა არა პიჯაკებისა და პალტოებისთვის, არამედ იმ რეალური დანაშაულებისთვის, რომლებიც მან თავის გარემოცვასთან ერთად ჩაიდინა. აი ეს არის ყველაზე დიდი პრობლემა და ივანიშვილმაც იცის, რომ, როდესაც ევროპარლამენტიდან წამოვა შეკითხვები, მათ პასუხის გასაცემი არაფერი ექნებათ...

**— გასაგებია, რომ ივანიშვილისთვის თავისტკივილია სააკაშვილის გასამართლება, მაგრამ რა უშლის ხელს ხელისუფლებას, გამოძიება ისე ჩაატაროს, რომ ჰქონდეს რეალური არგუმენტები და პასუხები თუნდაც „ნაცმოძრაობის“ მოსყიდული ევროპარლამენტარების შეკითხვებზე?**

— აი, ეს არის სწორედ ის თემა, რომელიც ავადსახსენებელ კოაბიტაციას უკავშირდება და რომლის წყალობითაც „ნაცრეჟიმს“ ვაპატიეთ ყველაფერი. მეტიც, ამ მახინჯი პოლიტიკის შედეგად „ნაცმოძრაობა“ გამოცხადდა მთავარ ოპოზიციურ ძალად, ხოლო სააკაშვილი, ფაქტობრივად, გავაპარეთ საქართველოდან. ხომ გახსოვთ, როდესაც ის უკვე აღარ იყო პრეზიდენტი, რამდენიმე თვე დაშლიგინობდა ქვეყანაში თავისი პატარა ცისფერი ელექტრომობილით, „მეოცნებე“ ხელისუფლებამ კი თითიც არ გაანძრია, რომ მას პასუხი ეგო. მხოლოდ მას შემდეგ, რაც სააკაშვილმა ჩემოდნები ჩაალაგა და ჩაჯდა თვითმფრინავში, დაიწყეს საქმის წარმოება. ეს არ მეტყველებს იმაზე, რომ იყო წინასწარი შეთანხმება სააკაშვილის ხელშეუხებლობაზე, სანამ ის საქართველოში რჩებოდა?!

**— ვთქვათ, სააკაშვილის ხელშეუხებლობით ხელისუფლება აუტკივარ თავს არ იტკივებს, მაგრამ ნაკლები თავისტკივილია საზოგადოების უკმაყოფილება, რომელიც სამართლიანობის აღუდგენლობითაა გამოწვეული?**

— საზოგადოების უკმაყოფილება თავისტკივილია იმ ძალისთვის, რომელსაც ხალხის აზრი და განწყობა აინტერესებს, მაგრამ როგორ აგვარებს ამ პრობლემას ხელისუფლება? — არჩევნების გაყალბებით. **2014 წელს „ქართულმა ოცნებამ“ ადგილობრივ არჩევნებში სერიოზული გაყალბებებით მიიღო ხმების 44 პროცენტი და ეს მაშინ, როცა 2012 წელს მილიონი ადამიანი გამოიყვანა ქუჩაში. სულ რაღაც, ოთხ წელიწადში თავიანთი უხერხემლობით მოახერხეს ის, რომ ტოტალური გაყალბებით ხმების 44 პროცენტზე მეტი ვერ მიიღეს.** იგივე მოხდა 2016-შიც, როდესაც ხელისუფლებამ დაინახა, რომ არანაირი მხარდაჭერა ხალხისგან არ ჰქონდა, ისევ გაყალბების, ბიულეტენების გადალაგებისა და, სადაც სჭირდებოდათ, გაბათილების მეშვეობით დააგროვა ხმების 48 პროცენტი. აი, ამ ხერხებითა და საშუალებებით აბალანსებს „ქართული ოცნება“ იმ უარყოფით განწყობას, რომელიც, მისი უნიათობის გამო, დღითიდღე იზრდება ჩვენს საზოგადოებაში. სხვა დანარჩენი მას არ აინტერესებს, ასე აბალანსებდა თავის დროზე სააკაშვილიც, მაგრამ, როდესაც მილიონი ადამიანი გამოვიდა ქუჩაში, ვერავითარმა საარჩევნო სისტემამ ვერ უშველა. ძალიან მალე ანალოგიურ მდგომარეობაში აღმოჩნდება ეს ხელისუფლებაც, იმიტომ, რომ, ფაქტობრივად, იგივე გზა აირჩია. განსხვავება არის მხოლოდ ის, რომ შეცდომების ეშინიათ პათოლოგიურად და ამ შიშით, რომ რამე საბედისწერო შეცდომა არ დაუშვან, არაფერს აკეთებენ. ქვეყანაში. პრაქტიკულად, ყველა პროცესი გააჩერეს — პოლიტიკურიც, ეკონომიკურიც, ინფრასტრუქტურულიც და აქანავებენ ახლა ამ გაჩერებულ ვაგონს, რათა შექმნან განწყობა, თითქოს მივდივართ...

ესაუბრა **ჯაბა ჭვანია**

## რა უნდოდა «ჩიჩილაკს» რადაში?!

**P.S. 18 იანვარს კიევში ვიზიტით მყოფი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე უკრაინის რადაში საპატიო სტუმრის სტატუსით იჯდა და პრეზიდენტ პოროშენკოს მიერ მომზადებულ დონბასის რეინტეგრაციის კანონპროექტს ტაშს უკრავდა. ეს კანონი უკრაინის უმაღლეს მთავარსარდალს უფლებას აძლევს, კონფლიქტის რეგიონში სუვერენიტეტის დასაცავად მშვიდობიანობის პერიოდშიც კი ძალა გამოიყენოს. ამისთვის მას არც საგანგებო და არც საომარი მდგომარეობის გამოცხადება ან მოსახლეობის გაფრთხილება და სახიფათო ზონიდან გაყვანა არ ევალება. შეგახსენებთ, რომ დაახლოებით მსგავსი საკანონმდებლო ცვლილებები უძღოდა წინ 2008 წლის აგვისტოს მოვლენებს, როცა, პრეზიდენტ სააკაშვილის ბრძანებით, მძინარე ქალაქი ცხინვალი არტილერიით დაიბომბა და მშვიდობიანი მოსახლეობა, როგორც ერთ, ისე მეორე მხარესაც დაუცველი აღმოჩნდა... ზოგიერთი ექსპერტის აზრით, ზემოაღნიშნული კანონი უკრაინას მხოლოდ საკანონმდებლო რეფორმის ფარგლებში არ მიუღია და რეალურად იგი ახლო მომავალში რუსეთთან შეიარაღებული კონფლიქტის გასაახლებლად ემზადება. დიდი ალბათობით, საქართველო, დასავლეთის კარნახით, ამ კონფლიქტში იქნება ჩათრეული, ხოლო კობახიძის ვიზიტი უკრაინაში, როგორც ჩანს, ამის სამზადისი იყო.**

უახლესი ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მაკიაველის სტილს ბრწყინვალედ ფლობდა ედუარდ შევარდნაძე. მისი მომხრეები, რა თქმა უნდა, უარყოფენ ნებისმიერ კონსპიროლოგიურ ვერსიას და საქართველოს კომპარტიის ყოფილი პირველი მდივნის აწ უკვე სამუზეუმო-კრიალა ფიგურას ცხვრის ტყავს გადააფარებენ, თითქოს ჩვენ არ ვიცით, რომ ამ პოსტზე ცამეტწლიანი ყოფნა მოითხოვდა სულ სხვა ცხოველის ბიოლოგიურ ჩვევებს.**

## პატივცემულო რედაქცია!

გთავაზობთ პატარა ნარკვევს ედუარდ შევარდნაძის პიროვნებასა და პოლიტიკურ მოღვაწეობაზე, რომელსაც 25 იანვარს 90 წელი შეუსრულდებოდა. და, მიუხედავად იმისა, რომ სრულიად ვეთანხმები ჰუმანისტურ დედაარსს ცნობილი გამონათქვამისა — „გარდაცვლილზე ან კარგს ამბობენ, ან არაფერს“, მოცემულ შემთხვევაში ისტორიული სამართლიანობა მოითხოვს საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე ედუარდ შევარდნაძის მრავალწლიანი ყოფნის შედეგების კრიტიკულად შეფასებას, მით უმეტეს, რომ ზემოაღნიშნული გამონათქვამი, რომელსაც მიაწერენ ძველბერძენ პოლიტიკოს ჰილონს, შეუმოკლებელ, ნახევრადმივიწყებულ ვერსიაში სხვაგვარად იკითხება — „გარდაცვლილებზე ან კარგს ამბობენ, ან არაფერს, სიმართლის გარდა“. სიმართლე კი, ცნობილია, რომ ყოველთვის არ არის სასიამოვნო...



# ედუარდ შევარდნაძე – 90

# ან კარგი, ან არაფერი, სიმართლის გარდა

**იმ სამოსთაგან, რომლებითაც ედუარდ შევარდნაძე ჩნდებოდა ხოლმე საზოგადოებაში, ყველაზე ნაკლებად უხდებოდა კამუფლიაჟის სამხედრო ფორმა. შს ყოჩალი მინისტრისთვის იდეალურად მორგებული მილიციელის მუნდირისა და ცივილური საპრეზიდენტო კოსტიუმის ათობით ვარიაციისგან განსხვავებით, ხალებიანი „ავლანკა“ ტომარასავით ადგა ტანზე სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს, რომელიც აშკარად არასასიამოვნო გარეგნობით გამოირჩეოდა აფხაზ ინსურგენტებთან (ხელისუფლებასთან დაპირისპირებულ მოქალაქეთა შეიარაღებული რაზმები — რედ.) სასტიკი შეხლა-შემოხლისას.**

მახსენდება 93 წლის ტელეკადრები: საველე ეკიპირებაში გამოწყობილი ედუარდ ამბროსის ძე მიწაზე წაქცეულ დათოვლილ ხეებსა და ტოტებს შორის იკვლევს გზას ჩამოვარდნის ადგილისკენ რუსეთის მოიერიშე გამანადგურებლისა, რომელიც აფხაზეთის დედაქალაქის ჩვენმა დამცველებმა ჩამოაგდეს ვითომ. ვითომ იმიტომ, რომ მოგვიანებით გამჟღავნებულმა სიმართლემ მტკივნეულად დაარტყა თავდაპირველ ცრუ ვერსიას და რიკოშეტით დაუბრუნდა მის მხარდამჭერს — საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალს.

თვითმფრინავი არავის ჩამოუგდია, მოულოდნელი აეროდინამიკური შეფერხების გამო ჩამოვარდა და წაიყოლა ისედაც მყიფე ავტორიტეტი ქართველი სამხედრო ჩინოსნებისა, რომლებსაც არ შერცხვათ, რიგითი ავიაკატასტროფა ჩვენი სახელოვანი მეზენიტეების წარმატებული გასროლის კამუფლაჟით შეემოსათ. ეჰ, ასე რომ გვეხერხებოდეს ომი! ჩვენ სხვაგვარად ვიბრძოდით. თავდაცვის მინისტრი არცთუ უანგაროდ აგდებდა საბრძოლო საფრენ აპარატებს, ძალაუფლებით აღჭურვილი დამნაშავე, მეთაური „მხედრიონელებისა“, მამობრივად უსვამდა თავზე ხელს სისხლის სამართლის დამნაშავეებს, ედუარდ შევარდნაძე კი ემზადებოდა ორივე თანამოაზრის გისოსებში გამოსამწყვდევად წარუმატებელი პრეზიდენტის, **ზვიად გამსახურდიას,** დამხობის შემდეგ. ამის განმსაზღვრელი პროლოგი იყო **იგორ გიორგაძისა** და **თენგიზ სიგუას** მიერ არაერთხელ თქმული ფრაზა: ედუარდ ამბროსის ძის განაჩენი.

**„ის ცოცხალი არ მჭირდება!“** — ეს ითქვა საქართველოს პირველ პრეზიდენტზე, მაგრამ როგორი ანგარიშმიუცემლად მძაფრიც უნდა ყოფილიყო ზვიად გამსახურდია თავის პოლიტიკურ ფრივოლურ გადაწყვეტილებებში, ის თავის ლოგინში უნდა მომკვდარიყო ახლობელ-ნათესავების თავშეკავებული ქვითინის თანხლებით და არა სხვის საწოლში, თანაც უცნობია, ვისი ხელით. მისი კილოგრამნახევრიანი სტეჩკინის პისტოლეტი, რომელსაც საკმაოდ ძლიერი უკუცემა აქვს, გასროლის შემდეგ რატომღაც ხელიდან არ გაუგდია. ტყვია კი პრეზიდენტის თავის ქალის მარჯვენა ნაწილში ისეთი უცნაური კუთხით შევიდა, რომ კითხვა — ვისი ხელიდან გავარდა ტყვია? — უკვე ოც წელიწადზე მეტია, უპასუხოდ რჩება.

ჩანს, პასუხი არც არავის სჭირდება, ზვიად გამსახურდიას პირდაპირი შთამომავლებისა და ამ სიკვდილთან ირიბად დაკავშირებული მაკიაველის სტილით ქვეყნის მართვის მომხრეთა გარდა. მაკიაველის სტილს კი ბრწყინვალედ ფლობდა ედუარდ შევარდნაძე. **მისი მომხრეები, რა თქმა უნდა, უარყოფენ ნებისმიერ კონსპიროლოგიურ ვერსიას და საქართველოს კომპარტიის ყოფილი პირველი მდივნის აწ უკვე სამუზეუმოკრიალა ფიგურას ცხვრის ტყავს გადააფარებენ, თითქოს ჩვენ არ ვიცით, რომ ამ პოსტზე ცამეტწლიანი ყოფნა მოითხოვდა სულ სხვა ცხოველის ბიოლოგიურ ჩვევებს.**

დიახ, ადამიანს, მგლის მტაცებლური თვისებების გარეშე, თანამდებობრივ ოლიმპზე არაფერი ესაქმება, თუმცა **ედუარდ შევარდნაძე ზოოპოლიტიკურ ფოლკლორისტიკაში ცნობილია ნიკით — „თეთრი მელა“, სხვათა შორის, აბსოლუტურად სამართლიანად. ერთი მხრივ — ეშმაკი და თეთრი-თეთრი ფაფუკი, მეორე მხრივ — ცხვირით ქარის მიმართულების გარკვევა, შემდეგ მიმართულების მკვეთრად შეცვლა, არაკეთილსინდისიერი საქმეების კვალის დაფარვა ერთდროულად ორთოდოქს კომუნისტსა და ლიბერალ-დემოკრატ ედუარდ შევარდნაძეს თავის ოთხფეხა Alter ego-ზე უკეთესად შეეძლო.** ავიღოთ აფხაზეთი. კომპარტიის პირველი მდივნობისას ის იქ ნაციონალური შეუწყნარებლობის ანტიქართულ კერებს აქრობდა, იყენებდა რა ლიდერობისთვის ბრძოლას აფხაზურ ელიტებს შორის — გუდაუთისა და ოჩამჩირის. მანვე, უკვე პატივცემულმა პენსიონერმა, დოკუმენტურ ფილმ „ნების არქონაში“ პირდაპირ კამერაში თქვა უხეში ტყუილი: **„კიტოვანის გვარდიელები აფხაზეთში ჯავშანტექნიკით კი არ შევიდნენ, არამედ ფეხით, წყნარი სვლით მსუბუქი ცეცხლსასროლი იარაღით ხელში“.** ვისზეა გათვლილი თეთრი ძაფით შავი ნაჭრის ასეთი უხეში კემსვა?! მით უმეტეს, რომ იქვე, ორიოდე კადრის შემდეგ, 92 წლის აგვისტოს საბედისწერო მოვლენების თვითმხილველი, მწერალი **გურამ ოდიშარია** გვაუწყებს მის მიერ დათვლილ 50 ჯავშანმანქანაზე, რომლებმაც ენგური გადაკვეთეს. მაშინ დაიწყო საქართველოს რღვევა. ეს პროცესი 2008 წლის აგვისტოში წარმატებით დაასრულა **მიშა სააკაშვილმა**, რომელსაც, შევარდნაძისგან განსხვავებით, ხალხისთვის ბოდიში არ მოუხდია. მალე მიხვდა, რომ აფხაზეთი სამუდამოდ არის დაკარგული და რატომ უნდა მოებოდიშებინა მომავალი თაობებისთვის?!

აფხაზეთიდან მოწყვეტილმა ერთმა თაობამ უკვე გადააბიჯა სრულწლოვანების ზღვარს და ნაკლებად აქვს იმის იმედი, რომ ეს მხარე ოდესმე შემობრუნდება სახით საქართველოსკენ. სამხრეთ ოსეთიც, გინდ სამაჩაბლო უწოდეთ მას, გინდ — ცხინვალის რეგიონი, სახის საწინააღმდეგო სხეულის ნაწილს გვიჩვენებს და მისი მზერა რუსეთის კეფაზეა მიპყრობილი.

მიშა სააკაშვილი შეეცადა, 180 გრადუსით შემოებრუნებინა სამაჩაბლო, მაგრამ თვითონ იღრძო კისერი. ედუარდ შევარდნაძის უბეში დაფრთიანებული ახალგაზრდა პრეზიდენტ-რეფორმატორის გუნდის ყველა მიღწევა გაფერმკრთალდა შევარდნაძისვე გულის გასახარად: აი მხოლოდ მე არ დამინაწევრებია საქართველო, მხოლოდ ჩემს სპეცრაზმელებს არ დაურბევიათ დემონსტრანტები ხელკეტებით, მხოლოდ ჩემი მმართველობის პერიოდში არ კვდებოდნენ ციხეებში ადამიანები... და აქ **ედუარდ ამბროსის ძემ კვლავ მოუბოდიშა ხალხს, უკვე იმისთვის, რომ ხელისუფლება გადასცა ვაშინგტონელი ბატონ-ამხანაგების მიერ ხელდასხმულ მოუქნელ ახალგაზრდას.** რა, ხელდასხმულმა ვერ გაამართლა თავისი დანიშვნა?! რა, იგივე ოკეანისგაღმელი ბატონები არ ითმენდნენ შევარდნაძის მიერ ჩვეულებრივი ადამიანური დაღლილობის და, ბოდიშს ვიხდი, მოხუცის ყველაფრისადმი გულგრილობის პირველი ნიშნების გამოვლენას? ჩრდილში გადასვლა ყოველთვის სჯობს კარიერული მზებუდობის პიკზე, როგორც ეს გააკეთა ედუარდ ამბროსის ძემ 1990 წელს. დეკემბერში სსრკის საგარეო საქმეთა მინისტრის ხმაურიანი გადადგომის მოტივი გაურკვეველია იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც კარგი პოლიტიკური ყურთასმენა არ აქვთ. „პერესტროიკა“ ჩაფლავდა, ნავთობი გაუფასურდა. საბჭოთა იმპერია მომაკვდავივით ცახცახებდა კონვულსიებში, ედუარდ შევარდნაძე კი შტატიანი მესაფლავეების მოწინავეთა რიგში ირიცხებოდა. **ეს ჩვენთან, საქართველოში, სვამენ ჭიქა ღვინით მესაფლავის სადღეგრძელოს, რუსეთში კი, მან კეთროვანიც რომ დამარხოს, ერთ საქებარ სიტყვასაც ვერ დაიმსახურებს. თვითონ მესაფლავეს, როგორც კეთროვანს, შორიდან უვლიან გარს და ზურგში ცუდ სიტყვებსაც კი ესვრიან. ეს იცოდა შევარდნაძემ და ცუდი სიტყვების თავიდან ასაცილებლად პირველი გადგა განზე, ოღონდ არა იმ მხარეს, რომელზეც უნდა დამდგარიყო.**

გერმანიის გამაერთიანებლისა და იმ დოკუმენტზე ხელმომწერს, რომლითაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თავისთვის შემოისაზღვრა ბერინგის ზღვის უზარმაზარი აკვატორია, თვით განგება ურჩევდა მსოფლიოს საერთაშორისო ორგანიზაციების უმაღლეს ორგანოებში დამკვიდრებას. ამბობდნენ, რომ ედუარდ ამბროსიევიჩს ხელი შეუშალა უცხო ენების უცოდინარობამ და ამიტომ წავიდა იმ ქვეყანაში, რომლის მთავარი სახელმწიფო ენა არის ქართული. სხვათა შორის, სწორედ საქართველოს კომპარტიის პირველი მდივნის ძალისხმევით ჩაფლავდა **ნიკიტა ხრუშჩოვის** წამოწყება, რომლის ბოდვითი არსი მან პრიმიტიულად ჩამოაყალიბა: „რაც უფრო ჩქარა დავილაპარაკებთ ჩვენ, ყველა, რუსულად, მით უფრო სწრაფად ავაშენებთ კომუნიზმს“.

ხრუშჩოვ-ბრეჟნევის ცენტრალურ აპარატში მოღვაწე პარტიელებმა კომუნიზმის მშენებლობა ნაციონალური რესპუბლიკების მცოცავი რუსიფიკაციით დაიწყეს, „დიადი და მძლავრი“ ენის მეშვეობით „არადიდისა“ და „არამძლავრი“ ენის განდევნით. აქა-იქ ეს წამოწყება წარმატებით დასრულდა, ოღონდ არა საქართველოში. ხალხმა კრემლში მოკალათებულთ უფლება არ მისცა, ქართული ენისთვის სახელმწიფოებრივი ფუნქცია წაერთმიათ და ედუარდ ამბროსის ძემ ისინი დაარწმუნა, კონსტიტუციურად დაემოწმებინათ მიღწეული სტატუსი. საერთოდ კი, რესპუბლიკის მთავარი კომუნისტი ყოველთვის როდი აღწევდა დასახულ მიზანს, როცა დარწმუნების ძალით მოქმედებდა. მას კომკავშირული სიჭაბუკის ბოლოს იმისთვის არ დაუმთავრებია ორწლიანი უმაღლესი პარტიული სკოლა, რომ არ დაუფლებოდა საქართველოს არაკანონმორჩილი მოსახლეობის გაუცნობიერებელ ფენაზე ძალადობრივი ზემოქმედების ძირითად მეთოდებს. სასარგებლოდ იმოქმედა, აგრეთვე, შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე მუშაობისას შეძენილმა ფასდაუდებელმა გამოცდილებამ, თუმცა შინაგანი სამყარო კორუფციაში ჩაფლულთა უზარმაზარი რაოდენობისა, რომლებიც ედუარდ შევარდნაძემ თავისი მრისხანე მმართველობის ▶

**ადამიანს, მგლის მტაცებლური თვისებების გარეშე, თანამდებობრივ ოლიმპზე არაფერი ესაქმება, თუმცა ედუარდ შევარდნაძე ზოოპოლიტიკურ ფოლკლორისტიკაში ცნობილია ნიკით — «თეთრი მელა», სხვათა შორის, აბსოლუტურად სამართლიანად. ერთი მხრივ — ეშმაკი და თეთრი-თეთრი ფაფუკი, მეორე მხრივ — ცხვირით ქარის მიმართულების გარკვევა, შემდეგ მიმართულების მკვეთრად შეცვლა, არაკეთილსინდისიერი საქმეების კვალის დაფარვა ერთდროულად ორთოდოქს კომუნისტსა და ლიბერალ-დემოკრატ ედუარდ შევარდნაძეს თავის ოთხფეხა ALTER EGO-ზე უკეთესად შეეძლო**

**„ლაზიშვილსა და მის გარემოცვას დახვრეტის მუხლი ჰქონდათ წაყენებული, მაგრამ მოსამართლემ 15-15 წელი მიუსაჯა. ვთვლი, რომ მოსამართლე სწორად მოიქცა... „ლაზიშვილის საქმე“ ფაბრიკის მთავარი ინჟინრის, მაცაბერიძის, დახმარებით გავხსენით. მან რატომღაც ჩათვალა, რომ მეუღლემ გასცა და ალაპარაკდა. არადა, ის ქალი არაფერ შუაში იყო“**

უახლესი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

პირველ წლებში გისოსებში გამოამწყვდია, უცვლელი დარჩა. დროთა განმავლობაში მმართველობა შემსუბუქდა და ყველაფრის განმსჭვალავი იდეოლოგია ფულის დაგროვებისა კვლავ აფარფატდა ქვეყნის თავზე. ეს კი ნამდვილად არ იყო შევარდნაძის ბრალი. საზოგადოებაში იზრდება ის, რასაც ნერგავს თვით საზოგადოება. **ფაქტობრივად, დოტაციაზე მცხოვრები რესპუბლიკა ნელ-ნელა მიეჩვია ნახევრადპარაზიტულ არსებობას.** წარმატებული კარიერის თითოეული ეტაპის გავლის შემდეგ ედუარდ შევარდნაძე რწმუნდებოდა, რომ ტოტალიტარულ სახელმწიფოში აუცილებელი იყო რადიკალური ცვლილებები და, სავარაუდოდ, გულწრფელად იმედოვნებდა, რომ კრემლის ორბიტაზე ტრიალით, სახელმწიფოს გარკვეულ სარგებელს მოუტანდა.

სარგებელი მან, რა თქმა უნდა, მოიტანა: ხელი შეუწყო სსრკ-ის უსწრაფესად დანგრევას, თუმცა საბჭოთა იმპერიის კრახის წინ შევარდნაძეს რატომღაც უარი არ უთქვამს, კვლავ ეხელმძღვანელა საგარეო ურთიერთობათა სამინისტროსთვის.

ნუთუ ასე ძალიან არ სურდა სმოლენსკის მოედნის მყუდრო კაბინეტის დატოვება? დანიშვნიდან ერთი თვის შემდეგ მაინც მოუწია კაბინეტთან გამოთხოვება. კიდევ სამი თვე დასჭირდა ბოლომდე დაუხარჯავი ძალების გამოყენების ახალი შესაძლებლობების წერტილის მოძებნას. 1992 წლის მარტში დაუღალავი მშრომელი შევარდნაძე ხელებდაკაპიწებული ჩავიდა მშობლიურ საქართველოში. რომ არ დაბრუნებულიყო, — როგორც თვითონ შევარდნაძე ამტკიცებდა, — ქვეყანა დაიღუპებოდა. თუმცა არის სხვა, არაშევარდნაძისეული თვალსაზრისი: ქვეყანა შევარდნაძის დაბრუნების გარეშეც გადარჩებოდა.

სამშობლოში ჩასვლის შემდეგ ედუარდ ამბროსის ძე, სიცილით, როგორც მხოლოდ მას სჩვეოდა, თავის არცთუ უცოდველ სამსახურებრივ წარსულს უნდა გამოთხოვებოდა. შეეცადა. გამოუვიდა, ნამდვილად, სასაცილოდ და ტრაგიკულად... ტრაგედიაზე უკვე ბევრი რამ ითქვა. დავასრულებ მაჟორულ-მხიარულ ნოტზე. ეს სცენა საკუთარი თვალით ვიხილე, რა თქმა უნდა, ტელეეკრანზე: წმინდა სამების ტაძრის მშენებლობა დასასრულს უახლოვდებოდა. პრეზიდენტი შევარდნაძე მრავალრიცხოვანი ამალით თითქოს ინსპექტირებისთვის საუკუნის მშენებლობაზე მივიდა. ნანახმა აშკარად აღაფრთოვანა, თავი მაღლა აწია, მზერა მიაპყრო უზარმაზარ სამებას და ტაში დაუკრა. გარემოცვას გაეღიმა. ედუარდ ამბროსის ძე ცოტა შეკრთა, შეწყვიტა ტაშის დაკვრა და არც ისე მარჯვედ გადაიწერა პირჯვარი. პრეზიდენტს წარსული უკან ექაჩებოდა; მომავალი ცდილობდა, მისთვის წინასწარმეტყველის ღირსეული ადგილი მოეძებნა მის მამულში. ახლა ის მისგან განუყოფელია.

**ვახტანგ ბუაჩიძე,**
**ჟურნალისტი, გაზეთ „არგუმენტი ი ფაქტი-თბილისი“-ს მიმომხილველი**

# ვინ და როგორ გახსნა «ლაზიშვილის საქმე»

**„საქართველო და მსოფლიო“ განაგრძობს საუბარს ძალოვანი სტრუქტურის მაღალჩინოსანთან, გენერალ-მაიორ ვახტანგ გვარამიასთან. ბატონი ვახტანგი ამჯერად 1970-იანი წლების გახმაურებულ საქმეზე საუბრობს. „ლაზიშვილების საქმე“ — ეს იყო ყველაზე სკანდალური პროცესი საქართველოს უახლეს ისტორიაში; პროცესი, რომელიც რამდენიმე წელიწადს გაგრძელდა და, საბჭოთა კავშირის მასშტაბით, 126 ადამიანს დაეკისრა პასუხისმგებლობა...**


ოთარ ლაზიშვილი

— პოსტსტალინური სოციალისტური სისტემისთვის დამახასიათებელი იყო სამეურნეო დანაშაულები, თუმცა **სტალინის** მმართველობის პერიოდში ასეთი დანაშაული გავრცელებული არ იყო. სამეურნეო დანაშაულზე რომ ვლაპარაკობ, ვგულისხმობ, საზოგადოებრივი და სახელმწიფო ქონების დატაცებას. სტალინის პერიოდში „საქმოსნებს“ არ ჰქონდათ მოქმედების არეალი, სამართალდამცავი ორგანოების მოქმედების პოლიტიკა გამორიცხავდა „საქმოსნების“ მასობრივ აქტივობას. სტალინის გარდაცვალების შემდეგ ხელისუფლების სათავეში **ნიკიტა ხრუშჩოვი** მოვიდა და დაიწყო ე.წ. დათბობის პერიოდი, ანუ მეტი თავისუფლება იგრძნეს „საქმოსნებმა“; მათ ნახეს, რომ ცხოვრება „უკეთესად“ შეიძლებოდა და დაიწყეს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცება.

მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობების საწარმოებში ხდებოდა ოფიციალური გეგმის შესასრულებლად გამოშვებული პროდუქციის პარალელურად აღურიცხავი პროდუქციის მასიური გამოშვება, რომლის რეალიზაციის შედეგად ამოღებული თანხები დამნაშავეთა ჯიბეში მიდიოდა. სამუშაო სრულდებოდა 50-70%-ით, დანარჩენს ჯიბეში იდებდნენ, მიდიოდა ე.წ. მარცხენა პროდუქციის გამოშვებაზე. მუშებს ეძლეოდათ ორი ხელფასი: ერთი — ბუღალტერიაში, თანაც მწირი; ხოლო მეორე ხელფასი ეძლეოდათ პირველ ხელფასზე ორ-სამჯერ მეტი. ამ დანაშაულში თითქმის მთლიანად იყო ჩათრეული მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობის სისტემები, ასევე, სხვა საწარმოებიც.

ნიკიტა ხრუშჩოვის მმართველობის პერიოდში დაიწყო სისტემის ლპობა, ორმოცი წლის შედეგ ამას რა შედეგი მოჰყვებოდა, იმხანად ყველასთვის წარმოუდგენელი იყო.

**სამეურნეო დანაშაულებს შლეიფივით მოჰყვებოდა მკვლელობები, ყაჩაღობები, ძარცვა... ამ ფონზე მრავალრიცხოვანი კლანების შექმნა სისტემისთვის დამახასიათებელ ქრონიკულ დაავადებად აღიქმებოდა და მოსახლეობის მზარდ უკმაყოფილებას იწვევდა, ოღონდ იმ მოსახლეობის, რომელსაც შემოსავალი არ ჰქონდა, „მეორე შემოსავლის“ მქონენი კი კმაყოფილი იყვნენ...**

აქედან გამომდინარე, საბჭოთა კავშირში მიმდინარეობდა მოსახლეობის მზარდი კრიმინალიზაცია. ვინც „მეორე შემოსავალს“ იღებდა, ავტომატურად კრიმინალი ხდებოდა; ხოლო, ვისაც არ ჰქონდა შემოსავალი, ის ძარცვავდა, ყაჩაღობდა და მდიდარს ართმევდა. **პროცესი შორს რომ იყო წასული, უფრო ნათლად დავინახეთ საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, როდესაც ყველა რესპუბლიკაში, მათ შორის, საქართველოშიც, კრიმინალებმა უმაღლეს პოლიტიკურ ხელისუფლებაში მოსვლის პრეტენზია გამოთქვეს. მხედველობაში მყავს „მხედრიონელები“. ასე მოხდა ყველგან, მაგრამ პროცესები ისე შორს არსად წასულა, როგორც საქართველოსა და ტაჯიკეთში.**

იმხანად, როდესაც მომძლავრდნენ „საქმოსნები“, სისტემა მეტ-ნაკლებად ყველაფერს აკეთებდა, აღმოეფხვრა ეს უმსგავსობა. საქართველოში 1960-იანი წლებიდან დაიწყო ბრძოლა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცების წინააღმდეგ.

ამისთვის აუცილებელი იყო, დადგენილიყო ის წყარო, რომლიდანაც მოდიოდა აღურიცხავი პროდუქცია და საქონელი. თანდათან უარესდებოდა პროდუქციის ხარისხი. პირობითად, თუ რომელიმე პროდუქტის გამოშვებას სჭირდებოდა ხუთმაგი ძაფი, ესენი ორ-სამს აკლებდნენ, ანუ 30-40%-ს იპარავდნენ. ფესვები ისე ჰქონდათ გადგმული, რომ სტანდარტის შემმუშავებელ ორგანოებშიც კი ახერხებდნენ მათთვის საჭირო პირობების შეტანას. ამის შედეგად, საწარმოს სიმძლავრეები ოფიციალურად იგეგმებოდა ნაკლები პროდუქციის გამოშვებაზე, ვიდრე ფაქტობრივად შეეძლო. პირობითად, თუ შეეძლო საწარმოს მილიონი ერთეული პროდუქციის გამოშვება, წერდნენ ნახევარ მილიონს. მოკლედ, სტანდარტი დარღვეული იყო იქაც, სადაც თეორიულად მუშავდებოდა საწარმოო პირობები.

საქართველოში ბევრი გახმაურებული დატაცება მოხდა. იმხანად შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო სამმართველოს უფროსი გამომძიებელი ვიყავი, ახალგაზრდა კაცი. ბევრი საქმე ჩემი გამოძიებულია ან ჩემი მონაწილეობით. ერთ-ერთი გახმაურებული საქმე სრულიად შემთხვევით მოხვდა ჩემთან — ე.წ. ცხაკაიას ხაოიანი ქსოვილების საქსოვი ფაბრიკის, ანუ ასიათასობით მანეთის დატაცების საქმე. მას შედეგ, რაც ირწმუნეს, რომ რაღაცის გაკეთება შემეძლო, თითქმის ყველა საქმე, 1966-დან 1972 წლის ჩათვლით, ჩემი გამოძიებულია ან გამოძიების პროცესში ვმონაწილეობდი.

1970 წლის 29 მარტს აღიძრა სისხლის სამართლის საქმე თბილისის სინთეზური ნაკეთობების ფაბრიკის თანამშრომლების მიმართ. ფაბრიკა უზარმაზარი იყო და უშვებდა მილიონობით მანეთის ღირებულების პროდუქციას. დირექტორი იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი პოლკოვნიკი, სასჯელაღსულების დაწესებულების ყოფილი უფროსი **შალვა იესეს ძე ჭეიშვილი,** მთავარი ინჟინერი — რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი **გიორგი ერასტის ძე მაცაბერიძე.** ჩვენი მიზანი არ იყო ჭეიშვილისა და მაცაბერიძის მხილება, ჩვენ გვინდოდა ერთი სკანდალური პიროვნების დაკავება, რომლის სახელთანაც იყო დაკავშირებული ყველა ის სამეურნეო დანაშაული, რომლებიც რესპუბლიკაში ხდებოდა. ის გახლდათ **ოთარ გიორგის ძე ლაზიშვილი,** ახალგაზრდა კაცი, რომელსაც არასრული უმაღლესი განათლება ჰქონდა. მძღოლი იყო, ადრე დაატარებდა ვინმე **შმუკლერს,** რომელიც ავტოკატასტროფაში დაიღუპა. ლაზიშვილმა არჩევულებრივი ორგანიზატორული ნიჭი გამოავლინა და სინთეზური ნაკეთობების ფაბრიკა თითქმის ხელში ჩაიგდო, მთლინად მისი არ იყო, მაგრამ მე-2, მე-5 და მე-6 საამქროები მისი პატრონაჟის ქვეშ იყო; სხვა საამქროებსაც მეტ-ნაკლებად აკონტროლებდა.

როგორც კი დაიწყო გამოძიება, ოთარ ლაზიშვილი გაიქცა. მისი დაპატიმრება 1970 წლის 3 ივლისს მოხერხდა მოსკოვში. ე.წ. ლაზიშვილების საქმეზე პასუხისმგებლობა 126 ადამიანს დაეკისრა. მათ ნაწილ-ნაწილ ასამართლებდნენ, მოსამართლე იყო **შალვა მახარაძე.** მახსოვს, ისეთი დარბაზი ვერ მოიძებნა, ყველა ერთად რომ გაესამართლებინათ.

ძიება რომ დავიწყეთ, გავოცდით, ისე დიდი იყო მათი მოქმედების არეალი. ეპიზოდებს მოგიყვებით:

მე-3 საამქრო ფეხსაცმელს უშვებდა და, როდესაც შემოწმება დავიწყეთ, აღმოვაჩინეთ დიდი ოდენობით ხელოვნური ტყავი, რომელიც, დოკუმენტების მიხედვით, მიღებული არ ჰქონდათ. ამ ტყავით აღურიცხავი პროდუქცია უნდა გამოეშვათ. დავსხედით და ყველა რულონი სათითაოდ დავათვალიერეთ. აღმოჩნდა, რომ ყველა რულონს მოგლეჯილი ჰქონდა ის ნაწილი, რომელზეც იარლიყი უნდა ყოფილიყო მიკრული, ანუ მას არ ეწერა გამომშვები ქარხანა, პარტიის ნომერი და გამოშვების თარიღი. ყველა რულონი რომ დავათვალიერეთ, რაღაცნაირად აღვადგინეთ ნაწერი და გაირკვა, რომ ეს ტყავი გამოშვებული იყო მოსკოვთან ახლოს მდებარე ქალაქ ნოვომასკოვსკაიას ხელოვნური ტყავის ქარხანაში.

საკავშირო სამინისტროს გავუგზავნეთ წერილი, რათა დაედგინა, სად და ვის გაეგზავნა ტყავის ეს პარტია. გაირკვა, რომ ეს პარტია გაგზავნილი იყო შუა აზიაში, ტაშკენტთან ახლოს მდებარე ქალაქ კოკანდის ტყავის ქარხანაში. მაშინვე გავფრინდი ტაშკენტში, იქაურმა შსს-მ გამომაყოლა ორი თანამშრომელი, მივედით ტყავის ქარხანაში, დავიწყეთ აღწერა. დირექტორს ვეკითხებით: ესა და ეს საქონელი მიიღეთ? გვაჩვენა საბუთები, რომ საქონელი მიღებული აქვს. სად წაიღეთ? — ვკითხეთ ჩვენ. მან აგვიხსნა, რომ უნდა გამოეშვათ ახალი პროდუქცია, მაგრამ ვერ აითვისეს და ეს საქონელი თურქმენეთში წაიღეს და რესპუბლიკათაშორის საბითუმო ვაჭრობაზე გაყიდეს.

ჯგუფის წევრები, რომლებიც მახლდნენ, იქ დავტოვე და მხოლოდ ერთი თანამშრომელი, ბარამიძე, გავიყოლე თურქმენეთში, 800 კილომეტრი გავიარეთ. ჩავედით ქალაქ სოვეტაბადში, მივედით საბითუმო ვაჭრობის ბაზარში. იქ გვითხრეს, რომ ასეთი საქონელი მართლაც მიიღეს და გაყიდეს თბილისში. იყიდა „საქკოოპრეკლამის“ ერთ-ერთმა საამქრომ.

ჩამოვედით თბილისში, მივედით აღნიშნულ საამქროში, გვითხრეს, რომ საქონელი მიიღეს, აგვიხსნეს, რომ ტყავი მუშებისთვის ხელთათმანების შესაკერად სჭირდებოდათ, ორთითიანი ხელთათმანები იყო და შიგნიდან აკრავდნენ ტყავს, რომ არ გაცვეთილიყო. გვითხრეს, რომ ხელთათმანები შეკერეს და შორეულ აღმოსავლეთში, ვლადივოსტოკთან ახლოს, ერთ-ერთ ქალაქში გაგზავნეს. სასწრაფოდ გავგზავნეთ შიფროგრამა მოსკოვში. საკავშირო სამინისტრომ დაავალა ვლადივოსტოკის შსს-ს სამმართველოს, მოეძებნათ ხელთათმანები. ძალოვანებმა საქონელი დააკავეს. ხელთათმანები მათ მართლაც ჰქონდათ მიღებული, ოღონდ შიგნით ტყავი გამოკრული არ იყო. ის ხელოვნური ტყავი მიიღო თბილისის სინთეზური ნაკეთობების ფაბრიკაში მოკალათებულმა დანაშაულებრივმა ჯგუფმა.

ამ საქმეზე საბჭოთა კავშირის მასშტაბით დააკავეს ადამიანები.

კიდევ მოგიყვებით ერთ ეპიზოდს: მე-5 საამქრო უშვებდა ტრიკოტაჟის ნაწარმს. „სპეკულანტები“ ყიდულობდნენ აქაურ ტრიკოტაჟს, უცხოურ იარლიყს აკრავდნენ და ყიდდნენ, როგორც უცხოური საქონელს, მაგრამ საქართველოში რეალიზაციის ბაზარი პატარა იყო, ამიტომ „სპეკულანტების“ ჯგუფი დაკავშირებული იყო დონეცკის სავაჭრო ქსელთან, სადაც უზარმაზარი სავაჭრო გაერთიანების უფროსი იყო ვინმე **აბრაამ სეფიაშვილი**, რომელსაც ბუღალტრად ჰყავდა **ლუშევსკაია.** ეს ორნი მასობრივად ასაღებდნენ მე-5 საამქროს პროდუქციას, ჰქონდათ ქსელი ლუგანსკში, ესენტუკში, სადაც ვინმე მანჟეგულაძე, ანუ მანჯგალაძე (გვარი რუსეთში დაუმახინჯებიათ) ხელმძღვანელობდა ვაჭრობას, საქმეში ასევე იყო ვინმე **ლობჟანიძე.** ლაზიშვილის ჯგუფს კავშირი ჰქონდათ ვოლგოგრადთან. დატაცებული თანხის ოდენობა მილიონებს აღემატებოდა. ბოლომდე ამ საქმეს, ალბათ, ეშმაკიც ვერ გახსნიდა, მაგრამ, რაც გავარკვიეთ, საკმარისზე მეტი აღმოჩნდა იმისთვის, რომ უამრავი დამნაშავე გამოგვევლინა.

**ლაზიშვილსა და მის გარემოცვას დახვრეტის მუხლი ჰქონდათ წაყენებული, მაგრამ მოსამართლემ 15-15 წელი მიუსაჯა. ვთვლი, რომ მოსამართლე სწორად მოიქცა... „ლაზიშვილის საქმე“ ფაბრიკის მთავარი ინჟინრის, მაცაბერიძის, დახმარებით გავხსენით. მან რატომღაც ჩათვალა, რომ მეუღლემ გასცა და ალაპარაკდა. არადა, ის ქალი არაფერ შუაში იყო.** შოკში იყო საწყალი კაცი და გამოგვიცხადა: რაც ქონება მაქვს, ყველაფერს ჩაგაბარებთო. მისი ქონებით დავინტერესდით, წყნეთის აგარაკზე წაგვიყვანა და მიწიდან უამრავი ოქროს ნივთი ამოვიღეთ. მაშინ მივხვდით, რა დიდ დანაშაულთან გვქონდა საქმე...

კიდევ ერთ დეტალს გავიხსენებ: ლაზიშვილის სახლის გასაჩხრეკად ვიყავით. წიგნები მიყვარს ძალიან და მის ბიბლიოთეკას მივადექი დასათვალიერებლად, როდესაც წიგნი გამოვიღე, მივხვდი, ის წიგნი არავის ჰქონდა გადაშლილი. შემდეგ ხელი სხვა წიგნს წავავლე და, რომ გადმოვიღე, იარაღი დავინახე, წიგნი სასწრაფოდ უკან დავდე და გამოვბრუნდი.

წლების შემდეგ, როდესაც ოთარ ლაზიშვილი ციხიდან გამოვიდა, პროკურატურაში რაღაც საქმეზე მოვიდა და ჩემი ნახვა ისურვა. შევხვდი. მკითხა: ჩემს სახლში გასაჩხრეკად რომ იყავი, რამე ნახეო? ვუპასუხე, — იარაღი ვნახე-მეთქი. რატომ დამალეო? ვუთხარი, — ისედაც წაქცეულს, ფეხს ვერ დაგაბიჯებდი-მეთქი...

**ჩაიწერა**
**ეკა ნასყიდაშვილმა**

ხალხის ხმა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ივანიშვილი მომწონდა, ვფიქრობდი: მდიდარია, არ გალორდება, ხალხისთვის მეტს გამოიმეტებს, იზრუნებს-მეთქი, მაგრამ პირიქით მოხდა ყველაფერი. აქ რომ ვზივარ, ხშირად მეკითხებიან: არ გცივა? სახლში რატომ არ მიდიხარ? მე კი ვეუბნები, – ჯერ ივანიშვილისთვის „ვენოკის“ ფული არ შემიგროვებია-მეთქი... ვხუმრობ, რა თქმა უნდა, სიკვდილს არავის ვუსურვებ, მაგრამ ამით ჩემს პროტესტს გამოვხატავ, მეტი რა დამრჩენია?“**

# «ივანიშვილისა და მისი მთავრობის დანახვა აღარ მინდა, მაგრამ ვინ მოახერხებს მათ მოშორებას?»

**ჩვენს ქვეყანაში ქუჩაში მოწყალების მთხოვნელი ადამიანი იშვიათობა არ არის და ვერც ვერავის გააკვირვებ იმით, რომ ერთ დროს შენი ყოფილი ლექტორი წვრილმანებით ვაჭრობს „მშრალ ხიდზე“ ან, სულაც, „დეზერტირების ბაზარში“ დახლთან პურს ყიდის, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, მართლა ძალიან გამიკვირდა, როდესაც ჩემს სახლთან ახლოს მდებარე სუპერმარკეტის კართან ქალბატონი მარი დავინახე. მარი დავითაშვილი ერთ დროს დიდებული ოჯახის პატრონი, საკმაოდ წარმატებული ქალი, დღეს თავისი უბნის სუპერმარკეტის კართან მოწყალებას ითხოვს და არც არავინ ამადლის რამდენიმე თეთრს. კვირაში რამდენიმე დღე გამოდის, ალბათ, მხოლოდ პურის ფულს შოულობს და, სადამდეც იკმარებს, შინ ზის... ვინ მოთვლის, რამდენი ასეთი მარი დავითაშვილია დღეს საქართველოში, რომელთა ყოველდღიური ყოფა ტყუპისცალივით ჰგავს ერთმანეთს. მათი ხმა ხალხის ხმაა, მათი ტკივილი — ხალხის ტკივილი...**

## «მოსპეს თაობები, დალუპეს ოჯახები, გაანდგურეს, თუკი რამ წმინდა გაგვაჩნდა, სამშობლო წაგვართვეს და თვითონ თქვლეფენ ჩვენი წინაპრების სისხლით მოტანილს»



— ჩემი ბედნიერი ცხოვრება საბჭოთა ეპოქაში დასრულდა, — **გულისტკივილით იგონებს ქალბატონი მარი.** — როგორც კი დაინგრა საბჭოთა კავშირი, უმუშევარი დავრჩი. ნელ-ნელა ოჯახიდან ყველაფრის გაყიდვა დავიწყე, თავი რაღაცით ხომ უნდა მერჩინა? ვაჭრობა არ მეხერხებოდა, რაც შევძელი, იყო ის, რომ ძველი და ძვირფასი ნივთები გავიტანე სახლიდან, გადამყიდველებს მიჰქონდათ და მე, ასე ვთქვათ, ნიორიდან ქერქი მხვდებოდა. შვილები მეზრდებოდა, მათ უამრავი რამ სჭირდებოდათ. როდესაც კარგ ცხოვრებას ხარ შეჩვეული, გიჭირს, რეალობას თვალი გაუსწორო. მეუღლის სიკვდილის შემდეგ კი ჩემი ცხოვრება სულ უკან-უკან წავიდა.

**საბჭოთა კავშირი რომ დაინგრა და ხელისუფლების სათავეში ზვიად გამსახურდია მოვიდა, ძალიან მიხაროდა. მჯეროდა, ყველაფერი კარგად იქნებოდა და იმ ნანატრ საქართველოში ვიცხოვრებდით, რომელზეც, ალბათ, ყველა ქართველი ოცნებობდა. არ დააცადეს იმ კეთილშობილ ადამიანს, ბოლომდე მიეყვანა თავისი საქმე და სახელმწიფოს მართვის სადავეები ხელში ჩაიგდო იმ ხროვამ, რომელმაც საქართველო თავდაყირა დააყენა. ინგრეოდა ქვეყანა და ინგრეოდა ჩემი ცხოვრებაც.**

**შევარდნაძე** არ მიყვარდა, არ ვენდობოდი, ვიცოდი, არ გაამართლებდა ხალხის მოლოდინს, ასეც მოხდა. არც **სააკაშვილი** მომწონდა, გული მიგრძნობდა, რომ შევარდნაძის უბეში გამოზრდილი პატარა ბიჭი დაგვღუპავდა...

**— ეს მთავრობა თუ მოგწონთ? იმედი თუ გაქვთ, რომ თქვენს ცხოვრებაში რაიმე შეიცვლება...**

— რომ გითხრათ, მომწონს-მეთქი, ალბათ, გიჟად ჩამთვლით, ქუჩაში მოწყალებას ვითხოვ და შეიძლება ეს მთავრობა მომწონდეს?

არადა, **ივანიშვილი** მომწონდა, ვფიქრობდი: მდიდარია, არ გალორდება, ხალხისთვის მეტს გამოიმეტებს, იზრუნებს-მეთქი, მაგრამ პირიქით მოხდა ყველაფერი. აქ რომ ვზივარ, ხშირად მეკითხებიან: არ გცივა? სახლში რატომ არ მიდიხარ? მე კი ვეუბნები, — ჯერ ივანიშვილისთვის „ვენოკის“ ფული არ შემიგროვებია-მეთქი... ვხუმრობ, რა თქმა უნდა, სიკვდილს არავის ვუსურვებ, მაგრამ ამით ჩემს პროტესტს გამოვხატავ, მეტი რა დამრჩენია, მე მაგას ან ვინმეს, საერთოდ, როგორ მოვერევი?!

**— თქვენი შვილები სად არიან?**

— ორი შვილი მყავს. ჩემმა ერთმა შვილმა საქმე წამოიწყო, სახლი ბანკში ჩავდეთ და ფული გამოიტანა. საქმე კარგად არ წაუვიდა, ბანკის ვალის გადახდა ვერ შევძელით და ჩვენი ბინა აუქციონზე გაიყიდა. მას შემდეგ გადაიკარგა ჩემი შვილი, არ ვიცი, სად არის. მე კი ერთ პატარა ქალაქურ ეზოში ვცხოვრობ, სარდაფში. **იმიტომ ვარ ივანიშვილზე გაბრაზებული, ხელისუფლებაში რომ მოდიოდა, დაგვპირდა, ბანკის პროცენტებს დავაკლებ, თავს არიან გასულებიო, მაგრამ არაფერი გააკეთა.**

პენსია არაფერში მყოფნის, რადგან ქირაც უნდა ვიხადო, წამალიც ვიყიდო და საჭმელიც, ამიტომ გამოვედი ქუჩაში. ყოველთვის სხვას ვერ სთხოვ საჭმელს, სხვისი შემოგზავნილი სადილის იმედად ვერ დარჩები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გარშემო ყველას უჭირს, იმ განსხვავებით, რომ ისინი ქუჩაში არ დგანან და არ მათხოვრობენ.

**აღარაფერი მახარებს, დღესასწაულები აღარ მიყვარს, ახალ წელს ყველა ემზადება, მე კი, მესამე წელიწადია, ვწვები და ვიძინებ... ვიცი, ახალს არაფერს მომიტანს. ახლა დღეებს ვითვლი, მინდა ჩემი ტანჯვა-წამება დასრულდეს.**

სიკვდილს ველოდები, მაგრამ სიმართლე გითხრათ, თუ დღეს ვინმე გამოჩნდება ისეთი, რომ ამ ქვეყნის გადარჩენას შეძლებს, მის გვერდით დავდგები...

**— გეგულებათ ისეთი ადამიანი, რომლის გვერდითაც დადგებით?**

**— ამჟამინდელ პოლიტიკოსებს არ ვენდობი, არც არავინ მეგულება ისეთი, ვინც მოვა და ამ ჯოჯოხეთიდან გვიხსნის.**

ერთ საიდუმლოს გაგიმხელთ, ვერიდებოდი ამაზე ლაპარაკს, მაგრამ ახლა ყველაფერი სულერთია ჩემთვის და ამიტომაც გეტყვით: ძალიან მომწონდა **იგორ გიორგაძე.** თუ გახსოვთ, ერთი პერიოდი ქუჩაში გამოსვლები იყო, მიშას „ჭინჭრების რევოლუციას“ მოვუწყობთო, რომ ამბობდნენ, ის მიტინგები იგორ გიორგაძის ინიციატივით იმართებოდა. მინდოდა, ვინმეს შევარდნაძის გამოზრდილი სააკაშვილი გაეგდო, მაგრამ ვერ მოხერხდა. ახლა ივანიშვილისა და მისი მთავრობის დანახვა აღარ მინდა, მაგრამ ვინ მოახერხებს მათ მოშორებას?!

ზოგიერთი პოლიტიკოსი ხალხს აბრალებს იმას, რაც გვჭირს, მაგრამ ხალხმა რა ჰქნას, ყველას თავისი გასჭირვებია?! ქუჩაში ვზივარ და უდიდეს სოლიდარობას ვგრძნობ, ვიცი, თვითონ კაპიკებს ითვლიან, მაგრამ ჩემთვის მაინც იმეტებენ ხურდას.

ყველას უჭირს, შვილო, არსებობისთვის იბრძვიან. ჩემს სამეზობლოში ყველა ოჯახის ცხოვრებას ვაკვირდები, შვილებისთვის კომფორტის შექმნა უჭირთ, კერძს ძლივს ამზადებენ, არის ერთი ოჯახი, ხორციანი საჭმელი ენატრებათ. შრომობენ, განა არ შრომობენ, მაგრამ საკმარისი არ არის.

შვილების დარდითაც აღარ ვარ ქალი, შვილიშვილი არ მინახავს, რამდენი ხანია. არა, ამას ყოფა არ ჰქვია. ხანდახან ვიტყვი — მაინც არაფრად მიღირს ჩემი ცხოვრება და მოდი, რამე სასწაულს ჩავიდენ, ყველას ვამხელ, ვინც ეს ხალხი ჯოჯოხეთისთვის გაწირა და თავს სახალხოდ დავიწვავ-მეთქი, მაგრამ ვერ ვბედავ... სიცოცხლე მაინც ტკბილია, თუნდაც ისეთი, როგორიც მაქვს...

**— თქვენი აზრით, ვინ უქცია ჯოჯოხეთად ცხოვრება ხალხს?**

— მკვდრებზე აღარ ვილაპარაკებ, ცოცხლებს დავასახელებ: **ძმები ბერძენიშვილები,** „ნაციონალური მოძრაობის“ ყველა წევრი, მათი სახელი ლეგიონია, მხედრიონელი **გია ვოლსკი** და მთავრობის თითქმის ყველა წევრი. ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. **მოსპეს თაობები, დალუპეს ოჯახები, გაანდგურეს, თუკი რამ წმინდა გაგვაჩნდა, სამშობლო წაგვართვეს და თვითონ თქვლეფენ ჩვენი წინაპრების სისხლით მოტანილს.**

აი, ეს მქონდა შვილო, სათქმელი. თუ დაწერთ ჩემს სატკივარს, ღმერთი გაგახარებთ, თუ არა, არც ეგ მეწყინება. დარდი მკლავს ახალგაზრდების, ჩემი შვილებისა და შვილიშვილის, თორემ ჩემი საქმე რომ წასულია და ჩემნაირების ადგილი ამ ქვეყანაზე აღარ არის, დიდი ხანია, ვიცი...

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**«საბჭოთა კავშირი რომ დაინგრა და ხელისუფლების სათავეში ზვიად გამსახურდია მოვიდა, ძალიან მიხაროდა. მჯეროდა, ყველაფერი კარგად იქნებოდა და იმ ნანატრ საქართველოში ვიცხოვრებდით, რომელზეც, ალბათ, ყველა ქართველი ოცნებობდა. არ დააცადეს იმ კეთილშობილ ადამიანს, ბოლომდე მიეყვანა თავისი საქმე და სახელმწიფოს მართვის სადავეები ხელში ჩაიგდო იმ ხროვამ, რომელმაც საქართველო თავდაყირა დააყენა. ინგრეოდა ქვეყანა და ინგრეოდა ჩემი ცხოვრებაც»**

მსოფლიო

## აშშ-ში გადაწყვიტეს, შეინარჩუნონ პატიმრების წამების პრაქტიკა

**აშშ-ის ხელისუფლება არ აპირებს, უარი თქვას გუანტანამოს სამხედრო ციხეში ტერორიზმში ეჭვმიტანილთა მოთავსების პრაქტიკაზე. როგორც რია-ნოვოსტი იუწყება, ამის თაობაზე ამერიკის გენერალური პროკურორის პირველმა მოადგილემ ედ კელაჰანმა განაცხადა.**

„ჩემთვის ცნობილი არ არის, რომ რაიმე უნდა შეიცვალოს გუანტანამოს ციხის გამოყენების პოლიტიკაში“, — უთხრა კელაჰანმა ჟურნალისტებს თეთრ სახლში გამართულ ბრიფინგზე და დასძინა, რომ აშშ კვლავაც განაგრძობს ტერორისტების დაჭერას „ყველგან, სადაც შესაძლებელია“.

2017 წლის დეკემბერში გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა **ნილს მელცერმა** განაცხადა, რომ გუანტანამოს ციხეში პატიმრების წამება გრძელდება, ხოლო ძალადობის ადრინდელ შემთხვევებს არავინ იძიებს.

2009 წლის 21 იანვარს აშშ-ის პრეზიდენტმა **ბარაკ ობამამ** ხელი მოაწერა განკარგულებას გუანტანამოს ციხის დახურვის თაობაზე, მაგრამ მისი გადაწყვეტილება არ შეუსრულებიათ.



ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოს გამთლიანებასა და აღორძინებას ადევს ევროატლანტიკური ბოქლომი, რომელსაც გულმოდგინედ იცავენ უცხოეთის მარიონეტი ბლენძები, იმავე უცხოელთა მიქსევით, ქართველი ხალხის ინტერესების საზიანოდ რომ უღრენენ რუსეთს, როგორც ლუკმის მიგდებით გათამამებული გოშია — ლომს.**

# იხარე მტერო, იკვნესე ერო!



**საქართველოს ხელისუფლებას სახელად ევროატლატიკურ ინტერესებზე ქართული ეროვნული სიწმინდეების გადაცვლის კოოპერატივი უფრო მოუხდებოდა... ისე იცლება ჭეშმარიტი ქართველებისგან საქართველო, რომ ამ ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში მხოლოდ ჯაგარაშლილი სატანის მსახურნი შემორჩებიან და თამამად იყივლებენ: ნატო ნატოშიაო!**

**მეტი ნატო საქართველოში, მეტი საქართველო ნატოში! — ეს ლოზუნგი ქართველთა უბედურებად შერაცხილი უცხოეთის ლაქია სკამოსანი ვირთხებისაა, თავგამოდებით რომ ასრულებენ ჯანი ბუკიკიოების მსგავსთა შემარცხვენელ რეკომენდაციებს, რათა ევრო-ამერიკელი ძაღლიშვილების ხროვას აწკავწკავებულ გოშიებად შემორჩნენ და, პატიოსნების, ზნეობრივი სიწმინდის ნაცვლად, სქესობრივად აღვირახსნილ მანიაკებთან ერთად, გარყვნილების წუმპეში იფართხალონ.**

ევრო-ამერიკამ ყველაზე დიდი სიბილწე დემოკრატიის დროშად აქცია და ქვეყნებში მუქარით, ძალადობითა და მოსყიდვით შეიტანა. ახლა დასავლეთში ყველაზე საპატიოდ აღვირახსნილობა ითვლება და მამაკაც-მინისტრებს გათხოვებას დიდი პატივით ულოცავენ ქვეყნის თავკაცები. აი ევროპული გზა. ვისაც ევროპისკენ მიმავალი ამგვარი ბუკეტებით მორთული გზა ხიბლავს, მის ჯიშ-ჯილაგს სატანამ, დამსახურებისამებრ, მოახმაროს ლესბოსელობისა და მამათმავლობის სიმყრალე. ქართველი ხალხის წინაპართა მიერ შექმნილ ეროვნულ ფასეულობებს შეეშვან, თორემ სატანის მსახურებისთვის მხოლოდ ჯოჯოხეთს მიიღებენ ჯილდოდ.

ამერიკა, რომელსაც, სულ რაღაც, 242-წლიანი სახელმწიფოებრივი ისტორია აქვს, დღეს დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დამცველის სახელით კარნახობს მსოფლიოს თავის ხუშტურებს და ჰომოსექსუალური ქორწინების ეს მედროშე ამ სიბინძურისკენ მიათრევს ყველას. დღევანდელ ამერიკაში იმ ევროპელი ავანტიურისტების შთამომავლები ცხოვრობენ, ზანგ მონებზე ძაღლებით რომ ნადირობდნენ, საკუთარ სამშობლოში მცხოვრები ინდიელები რომ გაჟუჟეს და მათი ბავშვებისთვის ახდილი სკალპებით ამაყობდნენ, დღეს კი დიდსა და პატარას აშფოთებენ ძალის გამოყენების საფრთხობელათი. ევროპამ კი დაივიწყა, რა უბედურებად დაუჯდა ჯვაროსნული ლაშქრობები ქრისტიანობას; დაივიწყა, რუსეთთან ჭიდილი საბედისწეროდ რომ ექცა ნაპოლეონს. კაცობრიობის ყველაზე დიდი ჭირი, ფაშიზმიც ევროპაში გამოჩეკეს, დააფრთიანეს, და ისევ რუსეთს მიუსიეს. ევროპას და, საერთოდ, კაცობრიობას ფაშიზმისგან ნაგემი საშინელი სიმწარე მაინც უნდა გამოდგომოდა გაკვეთილად, მაგრამ — არა. საბჭოთა კავშირი, რომლის წინააღმდეგაც შექმნეს სამხედრო ბლოკი ნატო, წლებია, აღარ არის. ნატოც უნდა დაშლილიყო, მაგრამ აგრესიის ძველებურმა სენმა ისევ იმძლავრა. რუსეთის ერთგული მეგობარი, სერბეთი, დაუნდობლად გაწეწეს. თვით რუსეთმაც ისეთი რბევა და ნგრევა განიცადა, თითქოს კიდევ ერთი ომი გადაიტანა. ნატომ დაივიწყა ადრე დადებული ყველა შეთანხმება, უმადურობაშეპყრობილი ზოგიერთი ყოფილი სოციალისტური რესპუბლიკა შეიერთა და რუსეთს ისე შემოერტყა გარს, როგორც მომაკვდავ ლომს აფთრების ხროვა. არადა, მომაკვდავი ლომიც ლომია. რუსეთმა გამოჯანმთელება დაიწყო და მსოფლიოს დაანახვა თავისი ძალა. ნატო კი კაცობრიობის საფრთხობელად განაგრძობს არსებობას და მისგანვე გამწარებულ ქვეყნებს ბირთვული ომის ჯოჯოხეთისკენ ექაჩება.

თუ დღეს სიმართლის ხმამაღლა თქმას ევრო-ამერიკული ბოქლომი ადევს, ხვალ ისტორია პირუთვნელად იტყვის, რა საშინელი სისასტიკით მოუსპეს ლიბიელებს ბედნიერი ცხოვრება და სისხლიანი ქაოსი მოახვიეს თავს. ერაყის განადგურება ყალბი საბაბის მოშველიებით ადამის მოდგმას სირცხვილად შერჩება. **იმაზე მეტი რა ჩაიდინა სადამ ჰუსეინმა, რაც ამერიკის უვიცმა პრეზიდენტმა ბუშმა (უმცროსმა), ავსტრიასა და ავსტრალიას ერთმანეთისგან რომ ვერ არჩევდა და ბრაზილია რამხელა სახელმწიფო იყო, წარმოდგენა არ ჰქონდა? დიდი ცოდნა-განათლებით ვერ დაიკვეხნიდა პრეზიდენტი ობამაც, რომელმაც არ იცოდა, ამერიკაში რამდენი შტატია, ხოლო ოსვენციმი თავისი ბაბუის მიერ გათავისუფლებული ეგონა.** როცა ახლო აღმოსავლეთში დაძაბულობისა და სისხლის ღვრის შეწყვეტის პერსპექტივა გაჩნდა, ამერიკის ახალმა პრეზიდენტმა **ტრამპმაც** არ დააყოვნა და მინელებული ცეცხლის ასაგიზგიზებლად ისრაელის დედაქალაქად იერუსალიმის გამოცხადება მოითხოვა.

იქნებ ვინმემ ახსნას, ამერიკის შემდეგ საქართველოს სიდიდით მეორე სამხედრო კონტინგენტის ავღანეთში ყოფნას რა ჰქვია? ამაზე მეტი რაღა ვქნათ, ისედაც გადაშენების გზაზე მდგარმა ერმა, ყველანი ხომ არ გადავზარგდებით ავღანეთში? იმდენი მაინც ხომ უნდა დავრჩეთ აქ, რომ ავღანეთში ნატოს ინტერესებს შეწირული ქართველი ვაჟკაცების ცხედრები მიწას მივაბაროთ?

## აი მეტი საქართველო ნატოში!

ცოტამ თუ იცის, რას ნიშნავს საქართველოს საჯარო დაწესებულებებში ცისფერი დროშების ფრიალი. ალბათ, ზედმეტი არ იქნებოდა, ოფიციალურად განემარტათ, რომ ცისფერი დროშა ევროკავშირს ეკუთვნის და ჩვენ ევროპელად გადაქცევის სიცხეს ამ დროშების ფრიალით ვიგრილებთ. რაც შეეხება ხუთჯვრიან დროშას, რომლის წინააღმდეგ ბრძოლას სულმნათი **გურამ შარაძის** სიცოცხლე შეეწირა, ჯვაროსანი ტამპლიერების ორდენის სიმბოლოა. მავანი იკითხავს: საქართველოსი რაღაა? საქართველოსი ევრო-ამერიკულ ხუშტურებზე როკვაა. **ეგეც მეტი ნატო საქართველოში!** რომელიც ასე იშიფრება: იხარე მტერო, იკვნესე ერო!

**საქართველოს ხელისუფლებას სახელად ევროატლატიკურ ინტერესებზე ქართული ეროვნული სიწმინდეების გადაცვლის კოოპერატივი უფრო მოუხდებოდა. ჰოდა, რა გასაკვირია, ეს კოოპერატივი ასე ენერგიულად რომ ურიგებს უცხოელებს საქართველოს მოქალაქეობას? უამრავი ქართველი კი აუტანელი ყოფისგან თავის დასაღწევად უცხოეთში გარბის.** ისე იცლება ჭეშმარიტი ქართველებისგან საქართველო, რომ ამ ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში მხოლოდ ჯაგარაშლილი სატანის მსახურნი შემორჩებიან და თამამად იყივლებენ: ნატო ნატოშიაო! გარყვნილთა პარპაშს, ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებასა და მათ სამარცხვინო აღლუმებს აღარავინ შეუშლის ხელს.

**როცა შენი ხალხის ინტერესები მედუქნესავით დახლზე გაქვს შემოდებული და ევრო-ამერიკელთა ინტერესებზე ცვლი, ხალხს კი არა, ხალხის უბედურებას ემსახურები, ამ ფუნქციონერთა სამარცხვინო თავყრილობა კი კოოპერატივია, რომელმაც ხალხის საფრთხობელად აქცია სახალხო დამცველის თანამდებობა, ყველა უკუღმართის, უზნეოსა და ურწმუნოს ტრიბუნა რომ იყო, და მას, ვინც ამ პოსტზე უზნეო ტრადიციის გამგრძელებლი შეარჩია, უცხოეთის კოოპერატივის მედუქნის გარდა, სხვა რომელი წოდება დაამშვენებდა?!**

კადრების შერჩევისას შეიძლება შეგეშალოს, მაგალითად, შეცდომა იქნა დაშვებული საქართველოს პრეზიდენტად **მარგველაშვილის** არჩევისას — როგორც ტრიბუნას ჩაიგდებს ხელში, რუსეთის აუგის ქარბუქს აყენებს, ამ ქვეყნის ხელმძღვანელობასთან პირისპირ საუბარს კი შეშინებული სახედარივით გაურბის, რადგან ამის უფლებას არ აძლევს ევროატლანტიკური ლაქუცი. ერის ბედნიერებისთვის მოღვაწე ადამიანი ინკუბატორის წიწილებივით ერთმანეთის მსგავსი მაღალჩინოსნებისგან პატრიოტის თვისებებით განსხვავდება. უცხოეთის ლაქიები კი ხალხის ერთგულის სახელს ნიღბად იყენებენ ქვეყნისა და ერის ღალატის დასაფარავად. ასე გამოიყენა ამერიკამ **სააკაშვილი** და ახლა უკრაინისთვის თავდადებული პატრიოტის იარლიყით, იმავე უკრაინელთა საუბედუროდ, ამერიკის ინტერესებისთვის აყეფებენ. ისე, თუ დასჭირდათ, სააკაშვილს სვაზილენდის ან ლესოტოსთვის თავდადებულ პატრიოტად გამოიყვანენ და ააყეფებენ.

„ქართული ოცნება“ ისეთ ბედნიერ ცხოვრებას გვპირდებოდა, აფხაზეთიდან და ცხინვალიდან ყელის გამოწევით შეგვეხვეწებოდნენ: ერთად ვიყოთო. მაგრამ ბედნიერ ცხოვრებას ვიღა ჩივის, როცა სქესობრივად გარყვნილთა და ბილწთა მოგერიება გაგვხდომია თავში საცემად. **სახელისუფლო პოსტებზე მოკალათებული ბედნიერები კი ისე ბრდღვნიან ბიუჯეტს პრემიებითა და სახელფასო დანამატებით, რომ კორუფცია აღარაფერში სჭირდებათ. ბიუჯეტს თავიანთი სურვილის მიხედვით აძრობენ ტყავს, ხოლო შიმშილის ყბაში აფართხალებულ პენსიონერებს პენსიაზე ათ ლარს უმატებენ და ასი ლარით უძვირებენ არსებობას.** აბა რა, დროულად უნდა მოიშორონ ღვაწლმოსილი პენსიონერები, თორემ ხედავენ, რომ ახალგაზრდების ევრო-ამერიკულად გარყვნაში გვარიანად უშლიან ხელს.

სქესობრივი გაუკუღმართების სიბილწემ კათოლიკური ეკლესიის ერთ ნაწილში შეაღწია. ახლა მართლმადიდებლობას უტევენ, რომელსაც მძლავრ ბურჯად უდგას რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია. საქართველოს სიამაყე, კათოლიკოს-პატრიარქი კი უძლებს ეშმაკის მოციქული მღვდელმთავრების შეტევებს. **როცა პატრიარქმა თავისი მოსაყდრე შეარჩია, გარყვნილების ექსპორტიორები შეშფოთდნენ და ვაშინგტონში სასწრაფოდ გამოიძახეს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში მოძღვრებად ჩანერგილი აგენტურა.** საქართველოში დაბრუნებულებმა კი ამერიკის ქება-დიდების ისეთი ქარბუქი დაატრიალეს, ეკლესიის მსახურნი კი არა, რომელიღაც უცხოური არასამთავრობოს წევრები გეგონებოდათ. ფაშიზმის ზეობის ხანაში სატანის თესლი **დუჩე მუსოლინი** წმინდა პეტრეს ტაძარში მთავარანგელოზის სახით დახატეს.

ეპისკოპოსი **ლუდვიგ მიულერი** ქადაგებდა, განგებამ ქრისტე ამაღლა ცათა შინა, **ჰიტლერი** კი თავის წარმომადგენლად დატოვაო. ჰიტლერის დედა მეორე ღვთისმშობლად გამოაცხადეს. ჩვენთანაც **საერთაშორისო ტაკიმასხარა სააკაშვილის სურათზე ლოცულობდა ქრისტეს ძვლისმკვნეტელი ზოგიერთი „მოძღვარი“.**

ფაშიზმს, დამსახურებისამებრ, დაატყდა ღვთის რისხვა, მაგრამ პედერასტობა, ლესბოსელობა და სხვა უამრავი სიბილწე დაეპატრონა დემოკრატიის ნიღბიან დასავლეთს. თვითონ როგორც უნდათ, ისე იჭყუმპალაონ ამ სიბინძურეში, სანამ უფალს სულ არ შემოაღრღნიან მოთმინებას და მის მიერ ახალი სოდომ-გომორათი დაჯილდოვდებიან. ჯერჯერობით კი ამ გარყვნილების ძალით დაკანონების მუქარით აშფოთებენ უამრავ ქვეყანას. ქართველი ხალხი კი თანდათან იძირება ევრო-ამერიკული რეკომენდაციებით გაჟღენთილ სოციალურ სიდუხჭირეში. **„ქართული ოცნების“ მიერ დაპირებული აყვავებული ცხოვრების მოლოდინი ცრუ გაწამაწიაში ჩაიფერფლა.** ვიტყვით, „ქართული ოცნებას“ და ვგულისხმობთ ბიძინა ივანიშვილს. ვიტყვით ბიძინას და გვახსენდება დაპირებების კორიანტელი. ბიძინა კი მშვიდად ზის თავის მილიარდებზე კრუხივით. ბიუჯეტის ვირთხები მაინც მოგვაშოროს. ევროპელთა მიერ შემოტენილმა კოაბიტაციამ ყველაფერი მათ სასურველ კალაპოტში ჩააყენა. „ნაციონალური მოძრაობა“, ჩადენილი საზარელი ცოდვებისთვის აკრძალვას რომ იმსახურებდა, ახლა უფრო აქტიურად განაგრძობს ლეშისმჭამელი სვავის ბარტყების დაფრთიანებას. „ქართული ოცნების“ ევროატლანტიკური ლტოლვა უფრო და უფრო ემსგავსება ნაციონალების ჭირვეულობას. ნაცებისა და ქოცების ურთიერთობა კი ერთ გობში ჩასხმული სალაფავისთვის ორი ნაგაზის ძიძგილაობას წააგავს.

ნათქვამია, ცოდვა ქვაზე წერია, მადლი — ქვიშაზეო. ის მადლი, რომელიც რუსეთს ქართველი ხალხის გადარჩენაში მიუძღვის, დავივიწყეთ და, სატანის მაგიის ტყვეობაში მყოფნი, რუსეთთან მეგობრობას მის მტრობად გვაჩეჩებენ. ასე ექაჩებიან ქვეყანას დაღუპვისკენ ევრო-ამერიკული კოოპერატივების მედუქნეები.

**საქართველოს გამთლიანებასა და აღორძინებას ადევს ევროატლანტიკური ბოქლომი, რომელსაც გულმოდგინედ იცავენ უცხოეთის მარიონეტი ბლენძები, იმავე უცხოელთა მიქსევით, ქართველი ხალხის ინტერესების საზიანოდ რომ უღრენენ რუსეთს, როგორც ლუკმის მიგდებით გათამამებული გოშია — ლომს.** რუსეთთან ასეთი ხელოვნური გაუცხოების მიუხედავად, ეს ქვეყანა უარს არ ამბობს საქართველოს მიმართ კეთილგანწყობილი ურთიერთობის შენარჩუნებაზე და მოთმინებით ელოდება უცხოეთის კოოპერატივის გარდაქმნას ქართველი ერის ინტერესების დამცველ ხელისუფლებად, რათა საქართველოს გამთლიანებასა და აღორძინებაში ძველებურად შეიტანოს თავისი წვლილი.

**გივი სომხიშვილი**,
მწერალი

უახლესი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ნადირაძის ხელმძღვანელობით შეიქმნა, ასევე, რაკეტები მყარ საწვავზე ისეთი სისტემებისთვის, როგორიცაა: „ვოსხოდი“, „სოიუზი“, „კოსმოსი“, „სოიუზ-აპოლონი“, „პროგრესი“. 1985 წლის იანვარში ნადირაძემ ძირითადად დაამთავრა მოძრავი გრუნტული სარაკეტო კომპლექსის — „ტოპოლის“ გამოცდა.**


ლევან დოლიძე

# ვინ ქმნიდა საბჭოთა კავშირის სარაკეტო ბირთვულ ფარს

**საქართველოს დამსახურებულმა ჟურნალისტმა ლევან დოლიძემ, 60-წლიანი ჟურნალისტური მოღვაწეობის განმავლობაში, შეაგროვა და შექმნა უნიკალური და მეტად საინტერესო ფოტოარქივი საბჭოთა ისტორიის საიდუმლო ფაქტებსა და მხარეებზე. ქვეყნის დამსახურებული ჟურნალისტი, ისტორიკოსი, პუბლიცისტი და მწერალი, ლევან დოლიძე ავტორია ფუნდამენტური ენციკლოპედიური ნაშრომისა „გენერლები საქართველოდან“. მის კალამს ეკუთვნის, აგრეთვე, 9 წიგნი, ბუკლეტი და 5000-ზე მეტი პუბლიცისტური წერილი, რომლებიც სხვადასხვა პერიოდში იბეჭდებოდა როგორც საქართველოსა და საბჭოთა კავშირში, ასევე ევროპის მრავალ ქვეყანაში. საქართველოს გენერალიტეტის მემატიანე საქართველოს ჟურნალისტთა კავშირისა და დავით აღმაშენებლის პრემიების ლაურეატი და ღირსების ორდენის კავალერიცაა.**

**— მოგესალმებით, ბატონო ლევან! თქვენი ფოტოარქივი საკმაოდ დიდ ისტორიას ინახავს. მაინც რა წვლილი შეიტანეს ქართველებმა ყოფილი საბჭოთა კავშირის ძლიერებასა და ბირთვული სარაკეტო ფარის შექმნაში?**

— გასაოცარია, რომ ასეთი მცირე ტერიტორიის მქონე ქვეყანამ და „ერთი ფინჩხა“ ერმა მსოფლიოს მისცა ისეთი მასშტაბის პიროვნებები, როგორებიც იყვნენ **იოსებ სტალინი**, რომელმაც დაამარცხა შინაური მტრებიც და ჰიტლერული გერმანიაც, სათავეში ედგა იმ დროისთვის მსოფლიოში ყველაზე მრავალრიცხოვან არმიას; შემდეგ **ლავრენტი ბერია** — სტრატეგიული დაზვრევის ხელმძღვანელი 15 წლის განმავლობაში. ბერიამ, რომელიც თითქმის დანგრეული სახალხო მეურნეობის პირობებში ხელმძღვანელობდა საბჭოთა ატომური ბომბის შექმნას, შეძლო და მსოფლიოს თავიდან აიცილა ბირთვული ომი, რომელსაც არაერთხელ გეგმავდა აშშ და ინგლისი. ნიშანდობლივია, რომ 1949 წლის 29 აგვისტოს პირველი ატომური ბომბის ასაფეთქებელ ღილაკს ერთდროულად დააჭირეს ხელი საბჭოთა კავშირის მარშალმა ლავრენტი ბერიამ, მისმა ვაჟმა **სერგომ** და დიდმა მეცნიერმა სარაკეტო ტექნიკაში, თბილისელმა **კირილე შჩოლკინმა** (1911-1968 წწ.).

1953 წლის პირველ ნახევარში, პრაქტიკულად, მზად იყო წყალბადის ბომბი. ახალგაზრდა მეცნიერი **ოლეგ ლავრენტიევი,** რომელიც ლავრენტი ბერიას აღმოჩენა იყო, საბჭოთა ისტორიაში შევიდა, როგორც „რუსული თერმობირთვული იარაღის მამა“. მან სტალინის სიკვდილისა და ბერიას მკვლელობის შემდეგ, აგვისტოში პირველმა გამოსცადა წყალბადის ბომბი. ამით შეიქმნა მრავალწლიანი პარიტეტი საბჭოთა კავშირსა და ამერიკას შორის. თქვენს კითხვას ამომწურავი პასუხი რომ გავცე, ასე დავამთავრებ: პატარა საქართველოს შვილებმა მე-20 საუკუნეში შეძლეს, მოეპოვებინათ საბჭოთა იმპერიის ყველა ჩინი და წოდება — რიგითი ჯარისკაცით დაწყებული გენერალისიმუსამდე. მართლაც საოცრება არ არის ეს?!

**— ბატონო ლევან, თქვენ ასევე გაქვთ დიდი მასალა მომდევნო წლებში მოღვაწე გამოჩენილ ქართველ მეცნიერებსა და კონსტრუქტორებზეც...**

— საბჭოთა კავშირში ჩვენი ქვეყნის მეცნიერთა კაჰორტამ საოცარ შედეგებს მიაღწია. პირველ რიგში, ვისაუბრებ ყველაზე გასაიდუმლოებულ პიროვნებაზე, თბილისელ **ალექსანდრე ნადირაძეზე** — მსოფლიოში ყველაზე მრისხანე, საკონტინენტათშორისო ბალისტიკური რაკეტების შემქმნელზე. საგულისხმოა, რომ ერთი ქართველი ქმნიდა ამ რაკეტებს, ხოლო მეორე — საბჭოთა კავშირის გმირი გენერალ-ლეიტენანტი **გალაქტიონ ალფაიძე** იმ პერიოდში ყველაზე გასაიდუმლოებულ სარაკეტო პოლიგონზე ცდიდა ნადირაძის რაკეტებს.

მთავრობის დავალებით, გალაქტიონ ალფაიძემ მომავალი პოლიგონის ტერიტორია არხანგელსკის მახლობლად მოძებნა და მისი აშენებისა და აღჭურვის შემდეგ დაინიშნა პირველ ხელმძღვანელად. იქ მისი მოღვაწეობის 13 წლის განმავლობაში სადგურზე არ მომხდარა არც ერთი ავარია; მესამე ქართველი კი, საბჭოთა კავშირში პირველი საინჟინრო ჯარების მარშალი და თავდაცვის მინისტრის მოადგილე **არჩილ გელოვანი**, ნადირაძის მიერ გაკეთებული და ალფაიძის მიერ გამოცდილი რაკეტებისთვის საშახტო დანადგარებს ქმნიდა. ამ სამი პიროვნების პრაქტიკული საქმიანობა სახელმწიფო ზესაიდუმლოებას წარმოადგენდა.

**ვახტანგ ვაჩნაძე** სერგეი კოროლიოვის მარჯვენა ხელი იყო და წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება „ენერგიას“, რომელშიც სსრკ-ის კოსმოსური პროგრამა მზადდებოდა და ხორციელდებოდა. საბჭოთა კავშირის


იოსებ სტალინი

## პატარა საქართველოს შვილებმა XX საუკუნეში შეძლეს, მოეპოვებინათ საბჭოთა იმპერიის ყველა ჩინი და წოდება — რიგითი ჯარისკაცით დაწყებული გენერალისიმუსამდე


ლავრენტი ბერია

კოსმოსურ და სამხედრო ძლიერებას ზურგს უმაგრებდა უდიდესი მეცნიერი, ნოვოსიბირსკის თბოფიზიკის ინსტიტუტის დამაარსებელი და პირველი ხელმძღვანელი, აკადემიკოსი **სამსონ ქუთათელაძე.**

სამსონ ქუთათელაძე მსოფლიო დონის მეცნიერი, თბოფიზიკოსი იყო. მან ჯერ კიდევ გასული საუკუნის 30-იან წლებში გამოიჩინა თავი: 25 წლისამ დაწერა მსოფლიოში პირველი მონოგრაფია. სამამულო ომში იყო მოქმედ არმიაში. სოციალისტური შრომის გმირი, სსრკ-ის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი (1952 წ.), სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1979 წ.). იყო ნოვოსიბირსკის თბოფიზიკის ინსტიტუტის შემქმნელი და 1964 წლიდან სიკვდილამდე, 22 წლის განმავლობაში, მისი დირექტორი.

საიდუმლოებით იყო მოცული საბჭოთა იარაღის ერთ-ერთი შემქმნელის, გენერალ-მაიორ **ვიქტორ სულაქველიძის** საქმიანობაც, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის სარაკეტო-საარტილერიო კოსმოსური სისტემების შექმნასა და კონსტრუირებაში. საინჟინრო-ტექნიკური სამსახურის გენერალ-მაიორი, გამოჩენილი სამხედრო მეცნიერი, მრავალი საბრძოლო იარაღისა და სამხედრო ტექნიკის შემქმნელი წარმოშობით ვანიდან იყო, გახლდათ მოსკოვის საარტილერიო აკადემიის კათედრის გამგე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რსფსრ-ის მეცნიერებათა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე. მისი თხოვნით დაკრძალულია მშობლიურ ვანში.

ხარაგაულელი ინჟინერი, გენერალ-მაიორი, სამხედრო სამრეწველო კომპლექსის სამშენებლო სამმართველოს უფროსი **ოთარ კიკნაძე** ხელმძღვანელობდა საიდუმლო სამხედრო ობიექტებისა და რაკეტოდრომების მშენებლობას (1956-1980). იყო რსფსრის დამსახურებელი მშენებელი (1976 წ.), სსრკ-ის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1978 წ.). ცხოვრობდა და დაკრძალულია მოსკოვში.

კიდევ ერთი საინტერესო პიროვნება, რომელიც ჩემს ენციკლოპედიაში მოხვდა, რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი, წითელი არმიის დივიზიის მეთაური და ცნობილი მეცნიერ-არტილერისტი **ვიაჩესლავ მიქელაძეა**, ის ლენინგრადის საარტილერიო აკადემიის უფროსი მასწავლებელიც გახლდათ 1921-1941 წლებში. მან, როგორც სამხედრო მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა (1934) უდიდესი წვლილი შეიტანა საბჭოთა არტილერიის განვითარებაში.

ქალაქ რამენსკოეში საიდუმლო თანამდებობაზე დღესაც მოღვაწეობს ქართველი მეცნიერი **გივი ჯანჯღავა.**

**— ალბათ, ბევრს პირველად ესმის ამ ადამიანების სახელები და გვარები. საინტერესო იქნება მათ შესახებ უფრო დეტალურად მოგვითხროთ. დავიწყოთ ალექსანდრე ნადირაძით.**

— ალექსანდრე ნადირაძე ნიჭიერი, გამორჩეული ინტელექტუალური პოტენციალის პიროვნება იყო, მასზე არავინ არაფერი იცოდა. იყო მსოფლიო მნიშვნელობის ადამიანი სარაკეტო-ტექნიკურ დარგში, განთქმული სარაკეტო კომპლექს „ტოპოლის“, 21-ე საუკუნის სამხედრო-ტექნიკური საოცრების, შემქმნელი. სარაკეტო სისტემებისა და საავიაციო შეიარაღების კონსტრუქტორის, ორგზის სოციალისტური შრომის გმირის, ლენინისა და სახელმწიფო პრემიების ლაურეატის, რსფსრ-ის დამსახურებული გამომგონებლის, ლენინის ოთხი ორდენის, ოქტომბის რევოლუციის ორდენისა და სხვა მრავალი ჯილდოს კავალრის, თბილისის საპატიო მოქალაქის, აკადემიკოსის, ინჟინერისა და გენერალ-პოლკოვნკის სახელი ათწლეულების განმავლობაში მკაცრად გასაიდუმლოებული იყო, რომლის ამოცნობასაც უშედეგოდ ცდილობდნენ სხვა ქვეყნების საუკეთესო სადაზვერვო სამსახურები.

ალექსანდრე ნადირაძე 1914 წლის 20 აგვისტოს ქ. გორში, მასწავლებლის ოჯახში დაიბადა. საკონსტრუქტორო მოღვაწეობა დაიწყო 1932 წელს თბილისში, ავიასამოდელო ლაბორატორიაში. სწორედ იმ პერიოდს უკავშირდება მისი პირველი გამოგონებაც საფრენოსნო აპარატების დარგში. ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ (1936 წ.) სწავლა განაგრძო მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის თვითმფრინავთმშენებლობის ფაკულტეტზე, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1940 წელს.

1941 წელს ის ინიშნება ნ. პ. გორბუნოვის სახელობის N22 ქარხნის მთავარ კონსტურქტორად — პირველ ხელმძღვანელ თანამდებობაზე. 1958 წლიდან უნიჭიერესი ქართველი სპეციალისტი, პირველი მართული ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტა „ტემპ“-ის შემქმნელი საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსია. 1961 წელს კი ინიშნება სსრკ-ის თავდაცვითი მრეწველობის სამინისტროს მოსკოვის თბოტექნიკის მთავარ დირექტორად. 60-იანი წლების დასაწყისიდან, ნადირაძის ხელმძღვანელობით, ინსტიტუტში წარმატებით გადაიჭრა საინჟინრო, საკონსტრუქტორო, ტექნიკურ-ექსპერიმენტული ხასიათის უამრავი პრობლემა, შეიქმნა სხვადასხვა დანიშნულების ბალისტიკური რაკეტა მყარ საწვავზე — „ტემპი“.

**— უფრო დეტალურად რას გვეტყვით ნადირაძის პროფესიულ საქმიანობასა და მის სარაკეტო ტექნიკაზე?**

— ნადირაძის მიერ შექმნილი სარაკეტო ტექნიკის მაღალ საბრძოლო თვისებებზე მეტყველებს ის, რომ საკონტროლო გამოცდების ჩაბარების, სასწავლო-საბრძოლო გაშვების, სადემონსტრაციო სროლების 30-წლიანი პრაქტიკის განმავლობა- ▶

უახლესი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# კონფიდენციალური წყაროებიდან ჩემთვის ცნობილი შეიქნა, ჟენევაში განიარაღების საკითხებზე ხანგრძლივი მოლაპარაკებებისას ამერიკის მხარეს არაერთხელ მოუთხოვია: „მოაშორეთ ნადირაძის რაკეტები!“

ში ყველა გაშვება წარმატებული იყო. ნადირაძის ხელმძღვანელობით შეიქმნა, ასევე, რაკეტები მყარ საწვავზე ისეთი სისტემებისთვის, როგორიცაა: „ვოსხოდი“, „სოიუზი“, „კოსმოსი“, „სოიუზ-აპოლონი“, „პროგრესი“.

1985 წლის იანვარში ნადირაძემ ძირითადად დაამთავრა მოძრავი გრუნტული სარაკეტო კომპლექსის — „ტოპოლის“ გამოცდა. ძალიან ცოტამ იცის, რომ 21-ე საუკუნის მრისხანე იარაღი შექმნილია ქართველი კაცის ნიჭითა და შრომით.

**— როგორც ჩვენთვის არის ცნობილი, თქვენ პირადად მოახერხეთ მისი გაცნობა; მეტიც, მისი საქართველოში მოწვევა. როგორ შეძელით ეს ყველაფერი მაშინ, როცა ალექსანდრე ნადირაძის სახელი და მისია ასე გასაიდუმლოებული იყო?**

— 60 წელია, ჟურნალისტიკაში ვარ და თითქმის მთელი ეს პერიოდი ვსწავლობდი და ვეძებდი ქართველი გენერლების ბიოგრაფიებს, ცხოვრების გზას და ვხვდებოდი მათ. მქონდა მიმოწერა. საბჭოთა კავშირისა და მის შემდგომ პერიოდში გამოვეცი ოთხი წიგნი, რომლებიც საბოლოოდ შეიკრა, როგორც ენციკლოპედია, სახელწოდებით „გენერლები საქართველოდან“. მასში თავმოყრილია ყველა ქართველი გენერლისა და ადმირალის ბიოგრაფია, დაწყებული პეტრე პირველით. ჯამში, მათი რაოდენობა 1200 ადამიანს შეადგენს.

ჩემთვის დიდი პატივი იყო, როცა პარტიის ქალაქკომში პირველი მდივნის თანაშემწე ვიყავი და საქართველოს ხელმძღვანელობის დავალებით სპეცრეისით მივფრინავდი ხოლმე მოსკოვში, რათა 1979 წლიდან დაარსებული „თბილისობის“ დღესასწაულზე ჩამომეყვანა გამოჩენილი ქართველები, რომლებიც სხვადასხვა სფეროში მოსკოვსა და სხვა ქალაქებში მოღვაწეობდნენ. წილად მხვდა ბედნიერება, პირადად გავცნობოდი არა მხოლოდ ჩვენი ხელოვნების სფეროს გამოჩენილ წარმომადგენლებს, არამედ ზესაიდუმლო სფეროში მომუშავე პიროვნებებსაც.

ერთ-ერთ „თბილისობაზე“ ჩემმა მეგობარმა **პავლე ასლანიდიმ** გამაცნო თბილისის საპატიო სტუმარი, ასევე გასაიდუმლოებული მეცნიერი **ვიქტორ სოკოლსკი**. ეს ის სოკოლსკია, რომელმაც მუშთაიდში 1935 წელს, პირველად მსოფლიოში, საბავშვო რკინიგზა გაიყვანა. ვიქტორ სოკოლსკი საბჭოთა კავშირში სარაკეტო და კოსმოსური ტექნიკის საწვავის ერთ-ერთ ლიდერ სპეციალისტად ითვლებოდა. იყო ზესაიდუმლო პიროვნება. ოჯახიც კი არ შეუქმნია, რაც მან საიდუმლოდ გამანდო პირად საუბარში. პავლე ასლანიდი ამ რკინიგზის უფროსი იყო. სოკოლსკის დავუმეგობრდი და რამდენიმე „თბილისობაზე“ ჩამოვიყვანე. მას რამდენჯერმე წამოსცდა ნადირაძის გვარი: ეს ქართველი აკადემიკოსი, თითქმის ნახევარ საკავშირო აკადემიას გადასწონისო.

1982 წელს დავალებით ვიმყოფებოდი მოსკოვში და „თბილისობისთვის“ ჩვენს სახელოვან თანამემამულეებს ვიწვევდი. გავბედე და მაშინდელი ჩვენი მუდმივი წარმომადგენლის — **თეიმურაზ ხაჩიძის** კაბინეტიდან ალექსანდრე ნადირაძეს სპეცტელეფონ „ვეჩეთი“ დავურეკე და დღესასწაულზე ჩამობრძანება ვთხოვე. მან თავაზიანად გადამიხადა მადლობა და მითხრა, რომ მისი სამუშაოს სპეციფიკა არ აძლევდა სამსახურის დატოვების საშუალებას. ჩემი ცდა უშედეგოდ დასრულდა მომდევნო წელსაც, ხოლო 1984 წელს ის პირადად გავიცანი და თბილისში ჩამოყვანაც შევძელი. მანამ კი, კონფიდენციალური წყაროებიდან ჩემთვის ცნობილი შეიქნა, რომ ჟენევაში განიარაღების საკითხებზე ხანგრძლივი მოლაპარაკებებისას ამერიკის მხარეს არაერთხელ მოუთხოვია: „მოაშორეთ ნადირაძის რაკეტები!“

ასე შევიტყვე, რომ ჩვენი გასაიდუმლოებული თანამემამულე „მრისხანე რაკეტების“ შემქმნელი იყო. „თბილისობის“ დროსაც ერთი წუთით არ გვშორდებოდნენ სახელმწიფო უშიშროების თანამშრომლები.

თბილისში გამომგზავრებისას მოსკოვის აეროპორტში მასთან ერთად ხუთი შავი „ვოლგა“ შემოგრიალდა. იკითხეს ლევან დოლიძე. ორმა ჩეკისტმა განზე გამიყვანა და გამაფრთხილა: ვიცით, როგორი სტუმართმოყვარე ერი ხართ, მაგრამ ძალიან გთხოვთ, სასმელს ნუ დააძალებთ და ყოველთვის მასთან იყავითო.

მართლაც, როდესაც ალექსანდრე ნადირაძეს „თბილისობის“ დღესასწაულზე საპატიო მოქალაქის წოდება მიანიჭეს (რამაც სასწაულად ააღელვა), საზეიმო ვახშამი ვიწრო წრისთვის იქვე, აბანოთუბანში გაიმართა. ცხადია, მე მის გვერდით ვიყავი. მარცხენა მხრიდან კი უშიშროების შეფის — **ალექსი ინაურის** მოადგილე, გენერალი **ნოდარ მაისურაძე** დაუჯდა. ნადირაძე ისეთი აღტაცებული იყო თბილი შეხვედრით, რომ ძალიან ბედნიერი ჩანდა და თითქოს ცოტა ხნით დაავიწყდა კიდეც თავისი მრისხანე რაკეტები. ისე გაიტაცა სხვა გარემომ, რომ რამდენიმე შეთავაზებული სასმისიც შესვა.

**— საქართველოსთან ხანგრძლივი განშორების შემდეგ, ეს იყო ალექსანდრე ნადირაძე პირველი ვიზიტი სამშობლოში. როგორი იყო მისი განწყობა აქ ყოფნისას?**

— მისი ვიზიტი მხოლოდ ხუთ დღეს გაგრძელდა. დიახ, მშობლების დაკრძალვის შემდეგ ის თბილისში პირველად ჩამოვიდა. მაშინვე კუკიაზე ასვლა მთხოვა. ხანგრძლივი ძებნის შემდეგ მისი მშობლების საფლავებს მივაგენით და ბავშვივით აქვითინდა. გორშიც წავიყვანეთ. ფეხდაფეხ მოიარა საყვარელი ადგილები და ბავშვობა გაიხსენა. მისმა მეგობრებმა აღნიშნეს, ასეთი გახარებული და ბედნიერი კარგა ხანია არ გვინახავსო.

აი ამ ხუთი დღის მანძილზე დავყვებოდი მას. ვგრძნობდი, რამხელა სიყვარულს ატარებდა გორის, თბილისისა და მთელი საქართველოს მიმართ. ამაყობდა **სტალინის** თანაქალაქელობით. იხსენებდა ბავშვობას, ქუჩებს, უბნებს, თუ როგორ დაძვრებოდა თამარის ციხესიმაგრეზე. ამ დროს მას სახე ბავშვურად ულიმოდა.

ოდნავ მოგვიანებით **პავლე გილაშვილმა**, რომლის თანაშემწეც გახლდით მაშინ, როცა ის პარტიის ქალაქკომის პირველი მდივანი იყო, და შემდეგ, როცა საქართველოს სსრ-ს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ მუშაობდა, საინტერესო ამბები მომითხრო ალექსანდრე ნადირაძისა და მისი ოჯახის შესახებ, რომელიც მე სიტყვასიტყვით ჩავიწერე:

„მე „შურიკაზე“, ასე ვეძახდით მას ბავშვობაში, ექვსი წლით უფროსი ვიყავი, ამიტომ ის სულ პატარა მახსოვს. ჩვენ ერთ სახლში ვცხოვრობდით. იმ ქუჩას მაშინ ელიზაბეტის ქუჩა ერქვა (შემდგომ — კლარა ცეტკინის ქუჩა, №146). „შურიკა“ გულდახურული ბიჭი იყო, განსხვავებით თავისი უფროსი ძმისგან — გიორგისგან, რომელიც ძალიან გულღია, მეგობრული და უაღრესად თბილი იყო. გიორგი სამამულო ომში 1942 წელს დაიღუპა ქერჩთან.

ერთი დედას ჰგავდა, ხოლო მეორე — მამას. მამა — დავითი არაჩვეულებრივი, კაცი გახლდათ, მუდამ მზად იყო სხვის დასახმარებლად. ხომ გახსოვთ მაშინდელი თბილისი? ძველად თბილისში ადამიანები ქალაქურ ეზოებში ერთ ოჯახად ცხოვრობდნენ და დავითიც სამეზობლოს თავკაცი იყო.

მაშინ ყველას გვიჭირდა. ჩვენ სამი ძმა ვიყავით და მამა ადრე დავკარგეთ. ძია დავითი თითქოს გრძნობდა, როგორ გვაკლდა მამის სითბო, და არასოდეს ჩაივლიდა ჩვენი ოთახის კართან ისე, რომ თბილი ღიმილი არ ეჩუქებინა, რაც ჩვენთვის ძალიან ბევრს ნიშნავდა.

„შურიკას“ ძალიან უყვარდა თავისი მშობლები და ამაყობდა მათით. დედა — **ნატალია გიორგის ასული პერევერზევა**, თავის დროზე გადასახლებული იყო. ბრალად ედებოდა რევოლუციონერობა. ბაქოში ყოფნისას გაიცნო „შურიკას“ მამა — დავითი, რომელიც ხატვას ასწავლიდა და დამთავრებული ჰქონდა მოსკოვის სურიკოვის სასწავლებელი. წლების შემდეგ ისინი საცხოვრებლად გორში, დავითის მშობლიურ ქალაქში, გადავიდნენ, სადაც დაიბადა მსოფლიოში ყველაზე მრისხანე რაკეტების შემქმნელი. ჯერ კიდევ 10 წლის იყო „შურიკა“, როცა ავიამოდულის შექმნისთვის პირველი ჯილდო მიიღო“.



გალაქტიონ ალფაიძე



არჩილ გელოვანი



ვიქტორ სულაქველიძე



ოთარ კიკნაძე



სამსონ ქუთათელაძე



გივი ჟანჟღავა



ალექსანდრე ნადირაძე



ვიაჩესლავ მიქელაძე



სერგო ბერია

* * *

**ბატონ ლევანს კედლებზე 4000-ზე მეტი სურათი აქვს გამოფენილი, აქედან რამდენიმე ალექსანდრე ნადირაძისაა. მან ერთ-ერთ ფოტოზე მიმითითა და მკითხა, ხედავ თუ არა რაიმე უცნაურსო? როცა უცნაური ვერაფერი შევნიშნე, მითხრა:**

— მოგვიანებით, უშიშროების მეგობარი წარმომადგენლისგან შევიტყვე, ამ ფოტოზე არც ერთი მოქალაქე არ არის გამოსახული. ნადირაძის ირგვლივ 27-კაციანი დაცვა ტრიალებდა, რომელსაც, თავის მხრივ, 5-6-კაციანი ჯგუფი ხელმძღვანელობდა. ორივე მათგანს კი მეთვალყურეობდა **ევგენი პრიმაკოვის** უახლოესი მეგობარი, რომელიც ჩვენ არ მოგვცილებია და რომელიც, ვერც წარმოვიდგენდი, რომ ამ მისიას ასრულებდა.

თბილისში ყოფნისას ალექსანდრე ნადირაძე 66 წლისა იყო. რამდენიმე წლის შემდეგ (1987 წლის 3 ოქტომბერს) ის უეცრად, გულის შეტევით გარდაიცვალა. დაკრძალულია მოსკოვში, ნოვოდევიჩის სასაფლაოზე, სადაც დადგმულია მისი ძეგლიც. ალექსანდრე ნადირაძის ხსოვნის უკვდავსაყოფად, კოსმონავტიკის ფედერაციისა და მოსკოვის თბოტექნიკის ინსტიტუტის მიერ დაწესებულია აკადემიკოს ა. ნადირაძის სახელობის მედალი.

იმ პერიოდში (50-80-იანი წლები) საბჭოთა კავშირში ორი ყველაზე გასაიდუმლოებული საკონსტრუქტორო ბიურო იყო: ერთი სერგეი კოროლიოვის, რომლის შესახებაც დღეს მსოფლიომ იცის, და მეორე ალექსანდრე ნადირაძის. მიუხედავად იმისა, რომ მისი გარდაცვალებიდან უკვე 30 წელზე მეტი გავიდა, ერთეულებს აქვთ მასზე ინფორმაცია, იმდენად დიდ საიდუმლოს წარმოადგენდა მისი საქმიანობა. პრაქტიკულად, ბუმბერაზი კაცის ბიოგრაფია და პირადი ცხოვრება შეიწირა და შთანთქა საბჭოთა სამხედრო მანქანამ, რომელსაც ის ემსახურებოდა მთელი სულითა და გულით.

**შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საბჭოთა კავშირში ქართველები მსოფლიოში საუკეთესო რაკეტებს ქმნიდნენ.**

ესაუბრა **ქრისტინე კვანტალიანი**

ბესტსელერი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სახელმწიფო მოსამსახურენი პარალიზებული არიან იმ შემთხვევაში, როცა არ იციან, როგორ უნდა აღუდგნენ წინ შეუიარაღებელ ბრბოს (ხალხს). ისეთი მეორეხარისხოვანი საკითხიც კი, როგორიც არის ოპოზიციასთან ურთიერთობის ფორმა, მათთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სახელმწიფო ამოცანების გადაწყვეტა. ხალხის მასა ალყაში მოაქცევს სამთავრობო შენობას, მთავრობა კი დარწმუნებულია, რომ ბრბოს წინააღმდეგ დაუშვებელია ძალადობრივი ქმედება, რადგან ეს არადემოკრატიულია. სახელმწიფო საკუთარი ნებით უარს ამბობს არა მხოლოდ ძალადობის გამოყენების ლეგიტიმურ უფლებაზე, არამედ თავის მოვალეობაზეც, გამოიყენოს ძალადობა ელემენტარული წესრიგისა და უსაფრთხოების შესანარჩუნებლად.**

# ნარინჯისფერი ნაღმი

**ახალი მსოფლწესრიგის დოქტრინიდან გამომდინარე იშლება ეროვნული სახელმწიფოებრიობა, რომელსაც მარიონეტული მთავრობები ჩაენაცვლება. ამისთვის გამოყენებული პოლიტტექნოლოგიები „ფერადი“ რევოლუციების სახელით არის ცნობილი.**
**წიგნში, რომლის ადაპტირებულ თარგმანს დღეიდან გთავაზობთ „საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველებს, განხილულია ამ ტიპის რევოლუციების ფილოსოფიური და კულტურული წანამძღვრები, მათი სოციალური ბაზა და ტექნიკური ხერხები, დაფინანსებისა და ორგანიზების საშუალებები, მოკლედ მიმოხილულია „ფერადი რევოლუციების“ წარმოქმნისა და განვითარების დოქტრინის ისტორია და პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებრიობის უსუსრობის მიზეზები. მკითხველი უთუოდ დაინტერესდება ამ ნაშრომით, რადგან იგი ნათელს ჰფენს „ვარდების“ რევოლუციის სახელით საქართველოში განხორციელებული სახელმწიფო გადატრიალების იმ სიღრმისეულ საკითხებს, რომელთა შესახებ ჩვენთან დუმილს ამჯობინებენ.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1 (425)

ყველა რევოლუცია და, საერთოდ, ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული ყველა მცდელობა, მათ ძალადობრივ ფაზაშიც კი, გამოიყენებდა არაძალადობრივი ზემოქმედების მეთოდებსაც. „ხავერდოვანი რევოლუციების“ მოწყობის შესახებ **ჯინ შარპის** პოპულარული სახელმძღვანელო ღაღადებს: „არაძალადობრივი წინააღმდეგობის შემთხვევები ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაახლოებით 494 წლიდან არის ცნობილი, როცა პლებეებმა უარი თქვეს თავიანთი პატრონების — პატრიციებისთვის მხარდაჭერაზე. არაძალადობრივ ბრძოლას გამოიყენებდნენ სხვადასხვა ეპოქაში არა მხოლოდ ევროპის, არამედ აზიისა და აფრიკის, ორივე ამერიკის, ავსტრალიისა და წყნარი ოკეანის კუნძულების ხალხები“. საფრანგეთში ქალების ცნობილ გალაშქრებას ვერსალის წინააღმდეგ, რომელსაც სათავეში ედგა მეძავი **ტერუან დე მერიკური**, მოჰყვა ფრანგული მონარქიის ფაქტობრივი დაცემა იურიდიული ფორმის გაუქმებამდე სამი წლით ადრე. ამ გამოცდილებას შეისწავლიდნენ, მეთოდების არსენალი მუდმივად მდიდრდებოდა.

ჯინ შარპი წერს: „ისევე, როგორც შეიარაღებული ძალების შემთხვევაში, პოლიტიკური დაუმორჩილებლობა შეიძლება სხვადასხვა მიზნისთვის იყოს გამოყენებული მოწინააღმდეგეებზე ისეთი ზემოქმედებით დაწყებული, რომლის შედეგად შეიძლება შეიქმნას კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების შესაძლებლობა, საძულველი რეჟიმის მოსპობით დამთავრებული... არაძალადობრივი ბრძოლა გაცილებით რთული და მრავალფეროვანია, ვიდრე ძალადობა. ძალადობის ნაცვლად ბრძოლა ფსიქოლოგიური, სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური იარაღით მიმდინარეობს, რომელსაც მოსახლეობა და საზოგადოებრივი ინსტიტუტები ხელისუფლების წინააღმდეგ წარმართავენ... ნებისმიერ მთავრობას მართვა შეუძლია იმდენად, რამდენადაც შეძლებს საჭირო და აუცილებელი ძალის წყაროების შევსებას მოსახლეობასთან და აღნიშნულ ინსტიტუტებთან თანამშრომლობის მეშვეობით. ძალადობისგან განსხვავებით, პოლიტიკურ დაუმორჩილებლობას აქვს ძალაუფლების ამგვარი წყაროების გადაფარვის უნიკალური თვისება“.

**დაუმორჩილებლობის მეთოდების ყველაზე მასშტაბურ ფაქტად XX საუკუნეში ითვლება პარტია ინდოეთის ნაციონალური კონგრესის მიერ კოლონიური დამოკიდებულებისგან ინდოეთის გათავისუფლებისთვის არაძალადობრივი მეთოდის გამოყენება.** უამრავი „მცირე საქმითა და სიტყვით“ პარტიამ მოსახლეობაში მოიპოვა მტკიცე კულტურული ჰეგემონია. კოლონიური ადმინისტრაცია და პროინგლისური ელიტა უძლური აღმოჩნდა, წინააღმდეგობა გაეწია — ხელიდან გამოეცალა არსებული წესრიგის დასაცავად მასებთან თანხმობის მიღწევის მინიმუმიც კი.

**ოპოზიციის მოქმედების არაძალადობრივი ხასიათი (განსაკუთრებით, თუ ამას „წესიერი“ საზოგადოება იძმს) ხელისუფლებას უჩლუნგებს საფრთხის აღქმის უნარს რევოლუციებისა და ამბოხების პირველ ეტაპზე. ხელისუფლება აღარ რეაგირებს ისეთ სიგნალებზე, რომლებსაც ნორმალურ ვითარებაში მოჰყვებოდა გადამწყვეტი მოქმედება ხელისუფლების მხრიდან.** მაგალითად, თუ ოპოზიცია ფინანსდება უცხოეთის სახელმწიფოების მიერ არსებული ხელისუფლების დამხობის მოსამზადებლად და განსახორციელებლად, მის მიერ ისეთი ჩვეულებრივი „ძალისმიერი“ ღონისძიების მოწყობა, როგორიც ბარიკადების აგებაა, მმართველი ძალის მიერ ფინანსური ნაკადების გადაკეტვა არავის გააკვირვებდა. არადა, ყველა „ხავერდოვანი“ რევოლუციის დროს უცხოეთიდან ოპოზიციის დაფინანსება აბსოლუტურად დაუფარავად ხდება და ხელისუფლებას რცხვენია, შეეწინააღმდეგოს ამ „ჩვეულებრივ“ ფაქტს.

**„ხავერდოვანი რევოლუციების“ ტექნოლოგია, ჩვეულებრივ, სათავისოდ იყენებს მოუწყობლობას იმ თანამედროვე სახელმწიფოებისა, რომლებიც აღიარებენ სიტყვისა და შეკრების თავისუფლებას. ასეთ სახელმწიფოებში მასებისა და, განსაკუთრებით, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა შეგნებაში ჩანერგილია ძალადობის გამოყენების იდეა მათ მიმართ, ვინც არ განახორციელებს ძალადობრივ აგრესიას მაშინაც კი, როცა ფორმალურად არღვევს სამართლდაცვის არსებულ წესებს.**



სერგეი ყარა-მურზა




## მოწინააღმდეგის არაძალადობრივი მოქმედების მეთოდი არა მხოლოდ ასუსტებს სახელმწიფო აპარატს, არამედ ხელს უწყობს საზოგადოებრიობის გახლეჩვას

ყველა ასეთ ქვეყანაში განახორციელეს „პერესტროიკა“ (გარდაქმნა) — უარი თქვეს „ტოტალიტარიზმის“ ცოდვაზე პოლიტიკურ სფეროში და „გასახელმწიფოებრიობის“ ცოდვაზე ეკონომიკის სფეროში. ამ დროს ხდება რევოლუციები „ხევერდოვანი“ სერიიდან. მეორე ეტაპზე იქ, სადაც საჭიროდ მიიჩნევენ, განხორციელდება „პოსტტოტალტარული“ ხელისუფლების შეცვლა ისეთი სახელისუფლო გუნდით, რომელიც სპეციალურად გამოზარდეს ელიტურ წრეში — როგორც ეს **კუჩმას** ჩანაცვლებისას მოხდა **იუშჩენკოთი.** ხელისუფლების ჩანაცვლების ეს მეორე წრე ორგანიზებულია „ნარინჯისფერი რევოლუციის“ სქემის მიხედვით. აქტიურდება პროგრამა-ვირუსი, რომელიც პირველ წრეში იყო ჩადებული.

კიევის „ნარინჯისფერი რევოლუციის“ მკვლევარი **რ. შაიხუტდინოვი** წერს: „უკრაინის სიტუაციამ გვიჩვენა, რომ დასავლეთის მიერ 1990-იან წლებში უკრაინისთვის (რუსეთისთვის) თავსმოხვეული ძალაუფლების ლეგიტიმიზაციის სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც კონსტიტუციით იყო განმტკიცებული, ფაქტობრივად, ხაფანგი აღმოჩნდა.

დასავლეთის სტრატეგია ორსვლიან ღონისძიებად შეიძლება წარმოვიდგინოთ:

**პირველი სვლა:** ხელისუფლებას უნდა მივცეთ ახალი, მოდური, „დემოკრატიული“ სათამაშო — არჩევნები; ვასწავლოთ, როგორ მოვეპყრათ, გამოვზარდოთ პოლიტტექნოლოგებისა და პოლიტკონსულტანტების ფენა, ავამოქმედოთ იგი, როგორც ხელისუფლების შეცვლის ან მისი არსებობის გაგრძელების ჩვეულებრივი სამუშაო იარაღი;

**მეორე სვლა:** გავაანალიზოთ ამ ხელსაწყოს გამოყენების შედეგები და შევქმნათ საწინააღმდეგო მოქმედების სცენარი, რომელიც დაფუძნებული იქნება საარჩევნო დემოკრატიის მექანიზმზე — „ბიოძალაუფლებასა“ და „ინტერპრეტაციების ძალაუფლებაზე“.

გასაგებია, რომ „ხავერდოვანი“ და „ნარინჯისფერი“ რევოლუციების მიმართ მოწყვლადია **შელახული სუვერენიტეტის** მქონე სახელმწიფოები, რომლებიც აიძულეს, თავიანთი საქმიანობა შეუხამონ იმას, თუ **„რას იტყვიან ვაშინგტონში“.** რეალურად დამოუკიდებელი სახელმწიფოები კი ამგვარ ტექნოლოგიებს არ მიიღებენ. მაგალითად, „ნარინჯისფერი“ რევოლუცია შეუძლებელია მოხდეს აშშ-ში, რადგან იქ პოლიცია დაუყოვნებლივ დაშლის უკანონო მიტინგებსა და მსვლელობებს, მიუხედავად იმისა, როგორ იქცევიან მათი მონაწილეები და რა რეაქცია აქვს „მსოფლიოს საზოგადოებრიობას“.

თუ სახელმწიფოს შეუძლია, წინ აღუდგეს „არაძალადობრიობას“ (როგორც ბელარუსში), სპექტაკლი დახურულად ცხადდება.

**1995 წელს, კუბისთვის მძიმე პერიოდში, აშშ შეეცადა, მოეწყო ამ ქვეყანაში „სახალხო მღელვარება“ და გაგზავნა თავისი თვითმფრინავები ჰავანაში პროკლამაციების მოსაბნევად. ყველა თვითმფრინავი, რომელთა პილოტები არ დაემორჩილნენ ბრძანებას, დაშვებულიყვნენ, რადგან დაარღვიეს სახელმწიფოს საზღვრები, კუბის ავიაგამანადგურებლებმა ჩამოაგდეს. ხოლო როდესაც მაიამიში თავი მოუყარეს იახტებისა და კატარღების ფლოტილიას, რათა „გვირგვინები მოეტანათ“ ზღვაში, კუბამ გააფრთხილა, ვინც ჯერ არს, რომ მთელ ამ ფლოტილიას ჩაძირავს. ეს ყველაფერი განხორციელდა საერთაშორისო სამართლის ჩარჩოებში და მადლენ ოლბრაიტი (აშშ-ის იმჟამინდელი სახელმწიფო მდივანი) იძულებული შეიქნა, უკან დაეხია.** ეს შესაძლებლობა ბელარუსსაც და კუბასაც ჰქონდა იმიტომ, რომ ამ ქვეყნების ხელისუფლებების სათავეში მდგომნი მოქმედებდნენ (და მოქმედებენ) თავიანთი ხალხების წინაშე აღებული ვალდებულებების და არა ფარული ხელშეკრულებების განსახორციელებლად, რომლებიც ითვალისწინებს გლობალურ ელიტაში მათ შერწყმას.

**სახელმწიფო მოსამსახურენი პარალიზებული არიან იმ შემთხვევაში, როცა არ იციან, როგორ უნდა აღუდგნენ წინ შეუიარაღებელ ბრბოს (ხალხს). ისეთი მეორეხარისხოვანი საკითხიც კი, როგორიც არის ოპოზიციასთან ურთიერთობის ფორმა, მათთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სახელმწიფო ამოცანების გადაწყვეტა.**

**ხალხის მასა ალყაში მოაქცევს სამთავრობო შენობას, მთავრობა კი დარწმუნებულია, რომ ბრბოს წინააღმდეგ დაუშვებელია ძალადობრივი ქმედება, რადგან ეს არადემოკრატიულია. სახელმწიფო საკუთარი ნებით უარს ამბობს არა მხოლოდ ძალადობის გამოყენების ლეგიტიმურ უფლებაზე, არამედ თავის მოვალეობაზეც, გამოიყენოს ძალადობა ელემენტარული წესრიგისა და უსაფრთხოების შესანარჩუნებლად.**

საქმე რაციონალურობის სრულ დაკარგვამდე მიდის. ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში მყოფმა **მ. ფრადკოვმა** ბიშკეკში (ყირგიზეთი) მიმდინარე მოვლენების შესახებ განაცხადა: „რუსეთი გამოდის კონფლიქტის მოგვარების ძალადობრივი ვარიანტის წინააღმდეგ... კონფლიქტი უნდა გადაწყდეს სამართლებრივ სივრცეში დარჩენით, კონსტიტუციისა და მოქმედი კანონმდებლობის დაურღვევლად“.

პოლიტიკოსების ნათქვამი, რა თქმა უნდა, სიტყვასიტყვით არ უნდა გავიგოთ, მაგრამ, როგორ შეუძლია ხელისუფლებას, „დარჩეს სამართლებრივ სივრცეში“ და არ გამოიყენოს ძალა მაშინ, როცა ბრბო არბევს სამთავრობო შენობასა და მაღაზიებს?! ეს ხომ აბსურდია! **განა „კონსტიტუცია და მოქმედი კანონმდებლობა“ არ ავალდებულებს ხელისუფლებას, წინ აღუდგეს პრეზიდენტისა და მთავრობის დამხობას?! ან რა უფლებით არ უნდა ჩაერიოს პოლიცია რბევისა და ქურდობის აღსაკვეთად?! ფრადკოვმა სახელმწიფო სამართლის კუთხით სრული უაზრობა განაცხადა.**

იმ ქვეყნებშიც კი, რომლებშიც სამოქალაქო უფლებებისა და დემოკრატიის დაცვა არ ულიარებიათ უმაღლეს ღირებულებებად, ხელისუფლების წინააღმდეგ არაძალადობრივი ქმედების განსახორციელებლად შესაძლებელია მისი ძალოვანი სტრუქტურების პარალიზება. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ფილიპინებში 1986 წელს ოპოზიციის მიერ მოწყობილი ანტისახელისუფლო გამოსვლები, როცა ყაზარმებიდან დემონსტნანტების დასარბევად გამოსულ ჯარის ნაწილებს წინ ხვდებოდნენ სადღესასწაულოდ გამოსული ქალები და ყვავილებს ფერხთით უყრიდნენ.

**მოწინააღმდეგის არაძალადობრივი მოქმედების მეთოდი არა მხოლოდ ასუსტებს სახელმწიფო აპარატს, არამედ ხელს უწყობს საზოგადოებრიობის გახლეჩვას. თუ ხელისუფლება ძალადობით უპასუხებს, საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილი მოწინააღმდეგის თანაგრძნობით იმსჭვალება.**

მაგალითად შეიძლება დავასახელოთ **ინტიფადა** — არაძალადობრივი რევოლუციის ახალი ტიპი, XX საუკუნის დასასრულის პროექტი. იგი დაამუშავეს ევროპელმა და არაბმა მეცნიერებმა — ფსიქოლოგებმა, სოციოლოგებმა და კულტუროლოგებმა. ამ ჯგუფის მიერ შედგენილი პროგრამა თანამედროვე საზოგადოებამცოდნეობის მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს.

ინტიფადას რაობის შესახებ ჩვენი მკითხველები მომდევნო ნომერში წაიკითხავენ.

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

ეს უნდა ვიცოდეთ

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კალიფორნიის ხელისუფლებამ მოიწონა მე-8 კლასის სახელმძღვანელოები, რომლებიც ჯერატის მიერ იყო შედგენილი. მათში ნათქვამია, რომ ლეგენდარული მრბოლელი ჩარლი პარკჰერსტი „იყო ქალი, რომელიც კაცად იყო იდენტიფიცირებული“.**



## ეკლესიის მსახური ბიჭებს აუპატიურებდა და...

**და სამახსოვროდ თმას აჭრიდა თავისი კოლექციისთვის.**

50 წლის მამაკაცმა ადგილობრივ გაზეთში წაიკითხა, რომ ყოფილმა საეკლესიო მუსიკოსმა **ჯონ ჰენდერსონმა** აღიარა მის მიერ ჩადენილი ათი დანაშაული, რომლებიც ათი-თოთხმეტი წლის ბიჭების გაუპატიურებაში გამოიხატა, და გადაწყვიტა, ხმა ამოეღო. მსხვერპლმა, რომლის სახელი არ მჟღავნდება, განაცხადა, რომ, როცა იგი ათი წლისა იყო, ბრალდებულმა დაათვალიერებინა პორნოგრაფიული ჟურნალი და სთხოვა შარვლის ჩახდა, — იუწყება Metro.

დაზარალებულის თქმით, ჯონმა იგი ცალკე მდგარ შენობაში შეიტყუა და აღასრულა თავისი ბინძური ფანტაზია. შემდეგ შეაჭრა თმა და სამახსოვროდ წაიღო. ასევე მოექცა იგი ორ სხვა ბიჭსაც.

დაზარალებულის თქმით, ამ საზიზღარი აქტის შემდეგ მან თავი ბინძურ ადამიანად იგრძნო, შეზიზღდა საკუთარი სხეული, რის გამოც დღემდე ფსიქიკური აშლილობით იტანჯება.

სხვა დაზარალებულები ყვებიან, რომ ჰენდერსონი იცვამდა ტანზე შემოტმასნილ შორტებს საცვლის გარეშე. ბავშვებს სათამაშოებს აჩუქებდა ხოლმე და სექსუალური კავშირისთვის იყოლიებდა. ერთ-ერთი მსხვერპლი აცხადებდა, რომ ამის შემდეგ იგი ნარკოტიკებს მიეძალა, მიატოვა სკოლა და მთელი ცხოვრების განმავლობაში იღებდა დეპრესანტებს.

ჰენდერსონის ადვოკატის განცხადებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფს ფსიქიკური პრობლემები მამის გარდაცვალების შემდეგ დაეწყო (მამა იორკის ტაძარში ორღანისტი და გუნდის ლოტბარი იყო). იგი განერიდა გარესამყაროს მას შემდეგ, რაც ოჯახი დაკარგა. მომდევნო 13 წლის განმავლობაში არავითარი დანაშაული არ ჩაუდენია.

ჰენდერსონს 8 წლით პატიმრობა მიუსაჯეს.

# უზნეობა დემოკრატიის სახელით

## ჰომოსექსუალიზმი — ერთ-ერთი საგანი აშშ-ის სკოლებში

**კალიფორნია აშშ-ის პირველი შტატია, რომელშიც დაწყებით სკოლებში გამოიყენებენ ლგბტ-თა პროპაგანდის სახელმძღვანელოებს. მშობლებისგან უარის თქმა გამორიცხულია, რადგან არჩევანი მათ ნაცვლად ხელისუფლებამ გააკეთა.**



მიღებული კანონი მოითხოვს „სამართლიანად, ზუსტად, ინკლუზიურად და პატივისცემით“ მოეპყრან ჰომოსექსუალ, ბისექსუალ, ტრანსგენდერ და ლესბოსელ ამერიკელებს.

გამართლებაც მოძებნეს: „ჩვენ არ ვცდილობთ, ვაიძულოთ ვინმე, გახდეს გეი; არ ვამბობთ, რომ არის ასეთი დღის წესრიგი; არ ვამბობთ, რომ ეს ადამიანები სხვებზე უკეთესები არიან; ჩვენ ვამბობთ — ეს არის ამერიკელების ჯგუფი, რომლებიც ცრურწმენებს აწყდებიან“, — განაცხადა გამომცემელმა **მარკ ჯარეტმა**, რომლის ისტორიის სახელმძღვანელოებში ლაპარაკია ისეთი ისტორიული პიროვნებების სექსუალურ გადახრებზე, როგორებიც იყვნენ **ჯეინ ადამსი, ემილი დიკინსონი, ნათანიელ ჰოტორნი,** პრეზიდენტი **ჯეიმს ბიუკენენი.**

„ვფიქრობ, ჩვენ უნდა ვთქვათ, — განაგრძობს ჯარეტი, — რომ ბიუკენენი არასოდეს დაქორწინებულა. ჰყავდა ძალიან კარგი მეგობარი, რომელიც მასთან ცხოვრობდა. შესაძლებელია, იგი გეი იყო, მაგრამ იმ დროს გეიდ ყოფნა ცუდ ტონად ითვლებოდა“.

კალიფორნიის ხელისუფლებამ მოიწონა მე-8 კლასის სახელმძღვანელოები, რომლებიც ჯერატის მიერ იყო შედგენილი. მათში ნათქვამია, რომ ლეგენდარული მრბოლელი **ჩარლი პარკჰერსტი** „იყო ქალი, რომელიც კაცად იყო იდენტიფიცირებული“, რომ **ჯორჯ ვაშინგტონის** შტაბის უფროსი, ბარონი **ფონ შტიუბენი**, „შესაძლოა, იყო გეი“, და რომ პოეტი **უოლტ უიტმენი** „ისწრაფვოდა ახალგაზრდა კაცებისკენ... მაგრამ საჯაროდ უარყოფდა თავის სექსუალურ მიდრეკილებას“.

კრიტიკოსები მიიჩნევენ, რომ ამგვარი ცნობების უმეტესობა სპეკულაციაა, მაგრამ კალიფორნიაში უარი უთხრეს სხვა გამომცემლებს, რომლებმაც თავიანთ სახელმძღვანელოებში არ ახსენეს ისტორიული პიროვნებების სექსუალური გადახრები.

აღნიშნავენ, რომ სახელმწიფომ აიძულა გამომცემელი, დაემატებინა ინფორმაცია ლესბოსელობის შესახებ NASA-ს ასტრონავტ **სალი რაიდზე** საუბრისას. TR (rtuthrevolt.org) წერს, რომ დემოკრატიული პარტია ოდესღაც იყო „არჩევის“ პარტია: „ცხადია, რომ სახელმწიფომ მშობლებზე უკეთ იცის, რა უნდა ისწავლონ მათმა შვილებმა“, — ასკვნის გამოცემა.




## ორმა სექტანტმა ერთმანეთის 7 და 8 წლის გოგონები ცოლად შეირთეს

**ეს ორი მამაკაცი გაერთიანებული იყო მეორედ მოსვლის კულტის სექტაში. 34 წლის სემიუელ შაფერს და 33 წლის ჯონ ქოლტჰარპს გატაცების ბრალდება წაუყენეს. ჯონს, აგრეთვე, ბრალად ედება არასრულწლოვანი ბიჭის გაუპატიურება, — იუწყება People.**

ორივე მამაკაცი „ბროლის მახვილის რაინდების“ სექტის წევრები არიან. ეს სექტა მორმონების ეკლესიის განშტოებაა. მრავალცოლიანობა აქ დასაშვებად არის მიჩნეული. სამუელი იყო „წინასწარმეტყველი“ მანამდე, სანამ ჯონს არ გადასცა თავისი უფლებამოსილება. პოლიციამ გამოძიება დაიწყო მას შემდეგ, რაც ჯონის ყოფილმა ცოლმა ოთხი შვილის გატაცების შესახებ განაცხადა.

ჯონი თავის ბინაში დააპატიმრეს, მაგრამ ბავშვები იქ ვერ იპოვეს. შემდეგ პოლიციამ ჩხრეკა ჩაატარა დასახლებაში ლუნდის მახლდობლად, სადაც სექტანტები სატვირთო კონტეინერებში ცხოვრობდნენ. იქ მხოლოდ ორი ბიჭი იპოვეს, გოგონები არსად ჩანდნენ.

დაკავების შემდეგ სამუელმა განაცხადა, რომ გოგონები წყლიან კასრებში გადამალა, სადაც ისინი ყინვიან ამინდში დღე-ღამის განმავლობაში იმყოფებოდნენ. დანარჩენები გაუწყლოებისა და ლეთარგიის სიმპტომებით აღმოაჩინეს ტრაილერში. გოგონები სასწრაფოდ გადაიყვანეს ქალაქის საავადმყოფოში, სადაც გადაუდებელი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს.

## აშშ-ში გამოსცეს წიგნი სანტა-კლაუსის გეიქორწინების შესახებ




**„სანტას ქმარი. ჭეშმარიტი ისტორია მისტერ და მისტერ კლაუსების შესახებ“, — ასე ჰქვია საბავშვო გამოცემას, რომელიც აშშ-სა და კანადაში გასაყიდად გამოიტანეს. შინაარსი სრულიად ესადაგება სათაურს: ამერიკელი თოვლის ბაბუის ანალოგი თავის კოლეგაზეა დაქორწინებული.**



But they always manage to kiss and make up— usually over a plate of milk and cookies.

„ტოლერანტობის კანონებს სრულად უპასუხებს ეს ქორწინება, რომელიც არა მხოლოდ არატრადიციულია, არამედ რასთაშორისიც: ერთი სანტა თეთრკანიანია, მეორე — აფროამერიკელი (ჩრდილოეთი პოლუსი ხომ მათი ტრადიციული ბინადრობის ადგილია!).

წყვილი მხიარულად და მეგობრულად ცხოვრობს, თუმცა პრობლემებიც აქვთ. ქარხნებისა და ფაბრიკების მუშაობა გლობალური დათბობის მიზეზი ხდება — სანტების სახლი შეიძლება დადნეს. მფრინავი ირმების დანაყრება ორგანული საკვებით უხდებათ (ავტორმა რეალურად შეკრიბა და გამოიყენა დასავლეთის ლიბერალური პროპაგანდის ყველა შტამპი ყოველგვარი ირონიის გარეშე). ამასთანავე, უნდა მოაგვარონ საკამათო საკითხები ელფების (ტყის სულიერი არსებანი გერმანულ-სკანდინავიურ და კელტურ ფოლკორში) პროფკავშირთან, რომლებიც ახარისხებენ საშობაო საჩუქრებს, „მაგრამ ისინი (მეუღლეები) ყოველთვის გამონახავენ საშუალებას ერთმანეთის საკოცნელად და გასამხნევებლად ჭიქა რძისა და ნამცხვრების მირთმევისას“ (რაც ილუსტრირებულია ორი მამაკაცის კოცნის ნახატით).

წიგნის შემქმნელი **დანიელ კიბლსმითი** მუშაობს ტელეპროგრამა **„გვიანი შოუ სტივენ კოლბერთან ერთად“**, რომელსაც ამერიკული ტელეარხი CBS გადასცემს. ასე რომ, ჩვენ წინაშეა ნამდვილი მეინსტრიმი, რომელიც ამერიკაში ვრცელდება ხელოვნების, განათლებისა და მასმედიის მეშვეობით. ნიშანდობლივია ერთი რამ: ამ ცნობის დაწერის მომენტისთვის უდიდეს ონლაინ-მაღაზია „ამაზონში“ წიგნი 30-პროცენტიანი ფასდაკლებით იყიდებოდა, აუდიოვერსიას კი უფასოდ ურიგებდნენ მსურველებს. მსურველები კი, როგორც ჩანს, შემოლევიათ. ეს დაახლოებით ისეა, როგორც ჩვენთან „სეილების“ (ფასდაკლების) აქციების ჩატარებისას, მაგრამ საქართველოში მყიდველთა სიმცირე უსახსრობითაა გამოწვეული, ამერიკაში კი, მადლობა ღმერთს, სულის წაწყმედის მსურველთა სიმწირით.

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ჩვენ გვზრდიდნენ ახალი ქვეყნის მოქალაქეებად, რომლებსაც პატრიოტიზმით, სიყვარულითა და სოციალური სამართლიანობით უნდა გვეცხოვრა, მაგრამ აღმოვჩნდით სხვა ქვეყანაში, სადაც პატრიოტიზმი სირცხვილია, სიყვარული — ავადმყოფობა, სოციალური სამართლიანობა კი — „ნიველირება“.**

დასასრული. დასაწყისი იხ. №01 (425)

# სტალინი — ლეგენდა და სინამდვილე



**სასუფევლის (ე.ი., სამსჯელოს) მაგიდის ცენტრში ყოველთვის სტალინი იჯდა. მარჯვნივ და მარცხნივ — მისი უახლოესი თანამებრძოლები. ვინც სტალინის მარჯვნივ პირველი იჯდა (ეს უმრავლეს შემთხვევაში მოლოტოვი იყო), ყველაზე საპატიო მონაწე იყო და პირველ მინისტრადაც ის ითვლებოდა**



სტალინი და მოლოტოვი პოტსდამის კონფერენციაზე

არავის ეგონოს, ნაკლებად მიყვარს ჯვრის მონასტრიდან დანახული სვეტიცხოველი და დედათა მონასტერი, ასაფრენად გამზადებული თეთრი გედი — ჩემი ალავერდი. მამადავითიდან კამკამა ზეცის ცქერა და მზის ბრწყინვალებით მუდამ განათებული სამება, გორის ციხის ახლოს მდგარი სახლის ნახვა, „იმერეთი, ჩემი დედა“, უშგულიდან დანახული ერთიანი საქართველო. კვირიკეს ეკლესიაში შალიანის ხატთან ცრემლად და ოფლად დაღვრილი დამნაშავისა თუ უდანაშაულოს სახე და ფერი, ქათქათა ბათუმი, ლაჟვარდოვანი სოხუმი თუ ჩემი ყრმობის საყვარელი ქალაქი სტალინირი. შორეულ ლანდებად მეჩვენება „სიზმრად“ ნახული „ჩაძირული ქვები“, „სამშობლო“, „ღალატი“, „კოლხეთის ცისკარი“, „გიორგი სააკაძე“, „პატარა კახი“, „მაია წყნეთელი“, თვალსაჩინოებად დანახული „ჟურღაის ფარი“, „დავით გურამიშვილი“, „გიორგი სააკაძე“, „ბაში-აჩუკი“, „მამლუქი“, „ხევისბერი გოჩა“ და სხვ. ახლაც მიწყვია ჩემს საწერ მაგიდაზე „მთვარის მოტაცება“, „დავით აღმაშენებელი“, „მძიმე ჯვარი“, „დიდოსტატის მარჯვენა“, „უქარქაშო ხმლები“, „დავით გურამიშვილი“, ვაჟა, აკაკი, ილია, გალაკტიონი, აკაკი ხორავა, ვასაძე, ახმეტელი, ფალიაშვილი და სხვ.

მწარეა თუ ტკბილი ეს მოგონებები? — ვეკითხები თავს და თვალზე ცრემლი მადგება. გუთანი, რომელიც ჩვენს წინაპარს კვალში მიჰქონდა, ისევ იქ დგას, სადაც წინაპარმა სუნთქვა შეწყვიტა, ხნულის გაყვანა აღარ გრძელდება. წინაპართა ბუხრებიდან კვამლი აღარ ამოდის. ჩემი ფიქრიც ღრმა სინანულია იმისა, რომ შევწყვიტეთ კვალის გავლება, რომელიც არც ისეთი წარმატებული იყო, შევწყვიტეთ იმ ქვეყნის შენება, რომელსაც აშენებდა „ძე კაცისა“ — **სტალინი.**

დღესაც ჟრუანტელს მივლის, როდესაც მახსენდება 1950-იან წლებში რუსთაველის თეატრის სცენის სიღრმეში გაღებული ფანჯრიდან ხმალამოღებული ხიმშიაშვილის შეძახილი და აბობოქრებულ ხალხში გადაშვება შეძახილით: „მე გასწავლით, როგორ უნდა სამშობლოსთვის თავის დადება!“

**ჩვენ გვზრდიდნენ ახალი ქვეყნის მოქალაქეებად, რომლებსაც პატრიოტიზმით, სიყვარულითა და სოციალური სამართლიანობით უნდა გვეცხოვრა, მაგრამ აღმოვჩნდით სხვა ქვეყანაში, სადაც პატრიოტიზმი სირცხვილია, სიყვარული — ავადმყოფობა, სოციალური სამართლიანობა კი — „ნიველირება“.**

ყოველგვარი შეფარვისა და ბოდიშების გარეშე უნდა ვაღიარო, რომ სტალინს, როგორც ძეს კაცისა და ზეკაცს, ებრძვიან არა მისი „უსამართლობისთვის“, არამედ მისი სამართლიანობისთვის. და დღევანდელი მსოფლიო იბრძვის ჰიტლერის დევიზით: **„ჩვენ არ უნდა გვეშინოდეს რუსი ხალხის სიმრავლის, ჩვენ უნდა გვეშინოდეს, რუსეთმა კვლავ არ შვას ახალი სტალინი“.**

მაგრამ ისე, როგორც სამართლიანობისთვის მებრძოლი ნაზარეველის პარტია ვერ დაამარცხეს მსოფლიოს სხვადასხვა ჯურისა და იდეის ხალხებმა, ვერც სტალინური სამართლიანობის იდეას დაამარცხებს ქვეყნად ვერავინ. ამიტომაც თამამად განვაგრძობ ქრისტეს ყველაზე დიდი მიმდევრისა და დამფასებლის, **ერნესტ რენანის** წარმოდგენილ ნააზრევსა და გორელი **ჯუღაშვილის** ნააზრევსა და გაკეთებულთან პარალელების გავლებას. მაგრამ, სამწუხაროდ, ქართველები არ ვიმსახურებთ, ვიყოთ ნაზარეველის იდეების ცხოვრებაში განმახორციელებლის მშობელი ერის სახელის ღირსი. ეს რომ ასეა, **დიდმა ილიამ** საუკუნის წინათ ბრძანა: **„მტრის არ მცნობი, მოყვრის მგმობი“.** დარწმუნებული ვარ, რენანის მსგავსად, სტალინური მზით გამთბარი თანასწორუფლებიანი (და არა დემოკრატიული) მსოფლიო გარკვეული პერიოდის შემდეგ გრანდიოზულ ძეგლს დაუდგამს ქვეყნად თანასწორუფლებიანობისა და მშვიდობის მხედართმთავარ სტალინს.

*** მიხედვით წიგნისა „ცხოვრება იესოსი“:**

„მართალია, იესო დიადი ბუნებისა და თავისებურობის კაცი იყო, მაგრამ პირველ ხანებში, რამდენიმე კვირის განმავლობაში მაინც, იგი იოანეს მხოლოდ ბაძავდა. კარგად არ იცოდა, რა მოწოდების კაცი იყო იოანე, მაგრამ, რაკი მან პირველმა დააწესა ნათლისღება, იესომ მოვალედ ჩათვალა თავისი თავი, მაგალითი მისგან მიეღო და თვითონაც ხალხის ნათლისცემა დაიწყო. ნათელსა სცემდნენ იესოს მოწაფენიც. და აი, მთელი იორდანეს კიბე გაივსო ნათლისმცემლებით, რომელთა ქადაგებასაც ესა თუ ის გავლენა ჰქონდა ხალხზე, მაგრამ მოწაფემ მალე გადააჭარბა თავის მასწავლებელს და იესოს ნათლისცემას უფრო ეტანებოდნენ. ამ გარემოებამ შურიც კი დაჰბადა იოანეს მოწაფეთა შორის და იოანესთან დაიჩივლეს, მაგრამ ორივე მასწავლებელი ამ წვრილმანებზე მაღლა იდგა. ამასთანავე, იოანეს უპირატესობა ისეთი თვალსაჩინო იყო, რომ იესო ვერც კი იფიქრებდა მის დამარცხებაზე. მას უნდოდა, გაზრდილიყო იოანეს ჩრდილის ქვეშ და ხალხზე გავლენის მოსაპოვებლად ეხმარა ის საშუალებანი, რომელთა მეოხებითაც ასე განსაცვიფრებლად განითქვა სახელი იოანე ნათლისმცემელმა. იოანეს დატყვევების შემდეგ იესომ ქადაგებანი რომ განაახლა, პირველი წინადადება იოანეს საყვარელი სიტყვებით დაიწყო, შემდეგშიც იესო სიტყვასიტყვით იმეორებდა ხოლმე იოანეს ნათქვამს. ჩანს, ეს ორი სკოლა დიდხანს იყო კეთილგანწყობილებაში და მათ მეთაურთა შორის მეგობრობაც არ მოსპობილა“.

**წერილის ავტორის აზრით:**

მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ საქმე გვაქვს იმ შეუსაბამო მდგომარეობასთან, როდესაც **სტალინი, როგორც რევოლუციის საქმისათვის თავშეწირული რაინდი, მოხვდა ამერიკიდან და გერმანიიდან დალუქული ვაგონებით შემოგზავნილი ავანტიურისტი მასონების ჯგუფში, რომლებიც რუსეთის გასათავისუფლებლად კი არ იყვნენ ჩამოსული უცხო მიწიდან, არამედ რუსეთის ხელში ჩასაგდებად.** „იოანეს დატყვევება“, რომელიც ზემოთ არის მოხსენიებული, ლენინის გარდაცვალებას ნიშნავს ჩემეულ შენიშვნაში და იმისათვის, რომ სტალინს განეგრძო დაწყებული საქმე, ნათლად ჩანს, როგორ განაგრძო მან საქმე ლენინისებურად, სადამდეც ამის აუცილებლობა იყო საჭირო.

გაზეთ „პრავდის“ სპეციალურმა კორესპონდენტმა **მიხეილ კოლცოვმა** (ნამდვილი სახელი და გვარი მოისეი ფრიდლიანდი) პარტიის პლენუმზე თავისი ძმა, მომავალში სახელგანთქმული მხატვარი და კარიკატურისტი **ბორის ეფიმოვი** (ბორის ფრიდლიანდი) წაიყვანა; როდესაც სხდომის დარბაზში შევიდნენ, ლენინი ცენტრალურ ადგილზე იჯდა, ხოლო სტალინი ტრიბუნაზე იდგა და სიტყვას ამბობდა. უფროსი ძმა უმცროსს მიუბრუნდა და უთხრა: „აი ვინ იქნება რუსეთის მომავალი დიქტატორი“. ეს მოხდა 1921 წელს, — იგონებს პოლიტიკური კარიკატურის დიდოსტატი ეფიმოვი. — მე სტალინს, საერთოდ, არ ვიცნობდი, ხოლო ლენინი ყველა კომუნისტისთვის საფიცარი სახელი იყო. დღესაც იმას ვფიქრობ, საიდან იცოდა ჩემმა ძმამ, რომ სტალინი ქვეყნის მმართველი გახდებოდა, თანაც — დიქტატორი.

*** მიხედვით წიგნისა „ცხოვრება იესოსი“:**

„იესო მარტო ზეალმტაცი მორალისტი აღარ არის, მას აღარ აკმაყოფილებს მარტოოდენ უზენაეს ზნეობრივ მოძღვრებათა ქადაგება. ახლა იგი ცდილობს, ძირფესვიანად შეცვალოს არსებული წეს-წყობილება, გარდაქმნას თვით ქვეყანა და დაამყაროს იგი იმ იდეალზე, რომელიც მან უკვე შეიმუშავა. ამიერიდან იესო რევოლუციონერია. ლექსი „სასუფეველი ღმრთისა“, ანუ „სასუფეველი ცათა“ იესოს მოგონილი არ არის. ამ ლექსს, დიდი ხანია, ებრაელები იცნობდნენ, მაგრამ იესომ ისეთი ღრმა, ზნეობრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობა მისცა, რომ თვით დანიელის წიგნის დამწერიც კი ვერ მისწვდებოდა. დანიელის აზრით, ქვეყნად მხოლოდ ბოროტებაა გამეფებული. ბატონი და პატრონი ამ ქვეყნისა ეშმაკია. მეფეები ხოცავენ წინასწარმეტყველთ, მღვდლები და მწიგნობარნი არ ასრულებენ იმას, რასაც სხვებს უქადაგებენ, მართალნი იდევნებიან, ერთადერთი ხვედრი კეთილის მყოფელთა მხოლოდ ტანჯვა და ცრემლებია. მაგრამ აღსდგება ღმერთი და შურს იძიებს. უკვე მოახლოებულ არს დრო იგი. ბოროტებამ თავის უმაღლეს წერტილამდე მიაღწია. ჯერი სიკეთის გამეფებაზე მიდგა, მაგრამ სიკეთის გაბატონებას წინ უძღვის ქვეყნის გარდაქმნა. იგი უცბად გადაბრუნდება, სამყარო დაინგრევა. დაარსდება ახალი ქვეყანა, ახალი ცხოვრება და ეს ცხოვრება იმდენად კარგი იქნება, რამდენადაც ცუდია დღევანდელი. წინანი უკან დარჩებიან, დაჩაგრულნი ამაღლდებიან და ახალი წესით განაგებენ ქვეყანას. ამჟამად სიკეთე და ბოროტი ერთმანეთშია არეული, როგორც ღვარძლი და თავთუხი. გლეხს ჯერ არ მოუცლია ყანის გასამარგლავად, მაგრამ მოვა დრო და ღვარძლს ყანიდან ამოთხრიან, სასუფეველი ცათა ზღვაში გადასროლილ ბადესა ჰგავს. ამ ბადეს კარგი და ცუდი თევზი ნაპირზე ერთად გამოაქვს. კარგ თევზს ჭურჭელში აგროვებენ, უვარგისს კი გადაყრიან“.

**წერილის ავტორის აზრით:**

სტალინი ამბობს: — „სახელმწიფო ჰუმანური აღზრდის სკოლა არ არის“. ქვეყანა უნდა გადაბრუნდეს, ბოროტება უნდა მოისპოს, ჩაგვრა უნდა შეწყდეს, სამართლიანობა უნდა აღდგეს. ფორმაციას ფორმულა ცვლიდა და დღესაც ცვლის, მაგრამ სახელმწიფოს დამსჯელი მანქანა, რომელიც დაუნდობლად ექცევა ხალხს, უცვლელი რჩება. პირველი, ვინც დედამიწაზე ჩაგრულთა და პროლეტართა ბელადი გახდა, იყო სტალინი. იყო თუ არა ის სახელმწიფო, რომელიც სტალინმა აშენა, მარქსიზმის იდეებზე დაფუძნებული? — არა! იყო თუ არა სტალინის ▶

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სტალინი, როგორც რევოლუციის საქმისთვის თავგანწირული რაინდი, მოხვდა ამერიკიდან და გერმანიიდან დალუქული ვაგონებით შემოგზავნილი ავანტიურისტი მასონების ჯგუფში, რომლებიც რუსეთის გასათავისუფლებლად კი არ იყვნენ ჩამოსული უცხო მიწიდან, არამედ რუსეთის ხელში ჩასაგდებად.

**რა იყო საფუძველი იმ უზარმაზარი ქვეყნისა, რომელიც უსწრაფესად აშენდა და ზესახელმწიფოდ იქცა? ამის საფუძველი იყო სტალინიზმი. მოძღვრება, რომელიც მთლიანად დაფუძნებულია ადამიანთა თანასწორუფლებიანობაზე, სოციალურ სამართლიანობაზე, რომლის მიხედვით გამორიცხულია დაქირავებული შრომა და ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია, უმაღლეს დონეზეა აყვანილი კანონის დიქტატურა**

ეპოქა ლენინური? — სრულიად არა! მაშ, **რა იყო საფუძველი იმ უზარმაზარი ქვეყნისა, რომელიც უსწრაფესად აშენდა და ზესახელმწიფოდ იქცა? ამის საფუძველი იყო სტალინიზმი. მოძღვრება, რომელიც მთლიანად დაფუძნებულია ადამიანთა თანასწორუფლებიანობაზე, სოციალურ სამართლიანობაზე, რომლის მიხედვით გამორიცხულია დაქირავებული შრომა და ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია, უმაღლეს დონეზეა აყვანილი კანონის დიქტატურა.**

*** მიხედვით წიგნისა „ცხოვრება იესოსი“:**

„ქვეყნად სასუფევლის დამაარსებელნი იქნებიან არა მდიდრები, არა მყვირალა ფარისეველნი და მღვდლები, არამედ გულწმინდა და გულუბრყვილო ქალები, გლეხები. საზოგადოდ, მაშვრალნი და ტვირთმძიმენი. პირველი თვისება მესიისა არის ის, რომ იგი „მახარობელია გლახაკთა“, იესოს ხასიათის ბუნებრივმა სიფაქიზემ აქაც უმაღლეს წერტილამდე მიაღწია. ფართო და ძირითადი ცვლილება საზოგადოებრივი ცხოვრებისა, ისეთი ცვლილება, რომლის მეოხებითაც ყველა სოციალური კლასი გათანასწორდება, ხოლო დღევანდელი ბატონები დამცირდებიან — აი, რა იყო იესოს ოცნება“.

**წერილის ავტორის აზრით:**

სტალინმა პირველმა ჩამოაყალიბა მუშათა და გლეხთა სახელმწიფო მათივე მმართველობით. საკანონმდებლო თუ აღმასრულებელ რგოლებში მტკიცედ იყო დაცული ის პროცენტული რაოდენობა, რა რაოდენობითაც უნდა ყოფილიყო არჩეული მუშა თუ კოლმეურნე, ქალი თუ კაცი, განსაზღვრული იყო განათლების ცენზი, აგრეთვე, მტკიცედ იყო დაცული, როგორც (თუ დღევანდელ ტერმინს გამოვიყენებთ) გენდერული თანასწორობა, ასევე ეროვნული, სოციალური და რელიგიური თანაფარდობა. პრივილეგიურ მდგომარეობაში იყო მუშათა და გლეხთა კლასი და ფენა ინტელიგენციისა, გაძლიერებული იყო ახალგაზრდობასთან აღმზრდელობითი მუშაობა და ახალგაზრდა კადრების დაწინაურება. ახდა ქრისტეს ოცნება! წინანი უკან მოხვდნენ, ჩაგრულნი კი — წინა პლანზე. ქრისტეს ოცნება ყველა კლასის თანასწორუფლებიანობისა ძალაში შევიდა. ასევე ძალაში შევიდა ყველა ის ძირითადი დებულება, რომლებიც ქრისტეს მოძღვრებაში იყო გათვალისწინებული.

*** მიხედვით წიგნისა „ცხოვრება იესოსი“:**

„საზოგადოდ, იესოს გარემოცვაში არავითარი უფროსუმცროსობა, იერარქია არ ყოფილა, ყველა ძმად ითვლებოდა. იესომ ლექსიკიდან გამოდევნა ყველა ის სიტყვა, რომლებიც კი რომელიმე მათგანს უპირატესობას ანიჭებდა. სიტყვები რაბი — მასწავლებელი და „მამაო“ — მათ წრეში აღარ ისმოდა, ვინაიდან მასწავლებელი ერთი იყო — თვით იესო, ხოლო მამა ყველასი კი ერთი — ღმერთი.

**წერილის ავტორის აზრით:**

სტალინმა, როგორც ხელისუფლებაში, ისე საზოგადოებაში მოსპო ზეაღმატებული მიმართვები. ყველასთვის არსებობდა ერთი მიმართვა და ეს იყო „ამხანაგო“. გარდა უცხოელი მოკავშირეებისა და სტუმრებისა, სტალინს ყველა, დიდი თუ პატარა, ამხანაგოთი მიმართავდა. გამონაკლისი იყო ხელისუფლების წევრი, მისი ორი-სამი ახალგაზრდობის მეგობარი, რომლებსაც შეეძლოთ, მისთვის მიემართათ ფსევდონიმით — კობა.

*** მიხედვით წიგნისა „ცხოვრება იესოსი“:**

„სასუფევლის დროს მოწაფენი უნდა მსხდარიყვნენ მარჯვნივ და მარცხნივ იესოსი და განესაჯათ თორმეტი თემი ისრაელისა. „ვინ უნდა იჯდეს მახლობლად „ძისა კაცისა?“ — კითხულობდნენ ერთმანეთში მოწაფენი. ამ საკითხის გადაწყვეტა მეტისმეტად აინტერესებდათ მოწაფეებს, ვინაიდან ეს „მახლობელი“, მათი აზრით, პირველი მინისტრის თანამდებობის აღმსრულებელი იქნებოდა.

წერილის ავტორის აზრით:

ძნელი წარმოსადგენია, რომ სტალინი ყრილობის თუ სხვა საორგანიზაციო შეკრების პრეზიდიუმს ქრისტეს მოძღვრების მიხედვით ალაგებდა. სასუფევლის (ე.ი., სამსჯელოს) მაგიდის ცენტრში ყოველთვის სტალინი იჯდა. მარჯვნივ და მარცხნივ — მისი უახლოესი თანამებრძოლები. ვინც სტალინის მარჯვნივ პირველი იჯდა (ეს უმრავლეს შემთხვევაში **მოლოტოვი** იყო), ყველაზე საპატიო მოწაფე იყო და პირველ მინისტრადაც ის ითვლებოდა. საინტერესოა, რომ, შემთხვევით თუ შეგნებულად, სტალინს საბჭოთა კავშირი ბალტიისპირეთის ქვეყნების შემოერთებამდე 12 რესპუბლიკად ჰქონდა დაყოფილი.

*** მიხედვით წიგნისა „ცხოვრება იესოსი“:**

„იესოს სძულდა ყველაფერი ის, რაც გულის სიწმინდეს არ მოასწავებდა. უსარგებლო წესები და ცერემონიები ფარისეველთა, მანჭვა-გრეხა მლოცველთა, რომლებიც ამ საშუალებით ვითომდა ცხონდებოდენ, იესოს სულის საძირკვლამდე აღაშფოთებდა. მარხულობა იესოს საზრუნავი საგანი არ არის, იგი შენდობას მსხვერპლის შეწირვაზე მაღლა აყენებს. სიყვარული ღმრთისა, კაცთმოყვარება და ურთიერთ თანანადებთა მიტევება — აი, მთელი მოძღვრება იესოსი! მაშ, რაღა საჭიროა სამღვდელოება და მათი სამსახური, ან რას უნდა მოველოდეთ მათგან? მღვდელი ყოველთვის მომხრეა საჯარო ღვთისმსახურებისა, ლოცვა მორწმუნისა კარდაკეტილ სახლში მისთვის ხელსაყრელი არ არის. ლოცვა მას ვერაფერს შეჰმატებს და, მაშასადამე, ამგვარი ლოცვისა მღვდელი ყოველთვის წინააღმდეგი იქნება. ტყუილად ვეცდებით, ვიპოვოთ სახარებაში ისეთი ადგილი, რომლითაც იესო რაიმე სარწმუნოებრივი წესის შემოღებას გვიბრძანებდეს. ნათლისღებას მისთვის მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს, ლოცვისთვისაც საჭიროა მხოლოდ წრფელი გული. ზოგნი, უფრო კი სულმდაბალნი, მხოლოდ კეთილი განზრახვებით აპირებდენ სასუფეველში შესვლას და იესოს ეძახდენ: „რაბი, რაბი“. იესო ყოველთვის თავიდან იშორებდა მათ და ამბობდა რა, რომ ჩემი სარწმუნოება მარტოოდენ კეთილ საქმეთა გაკეთებაზეა დამყარებულიო, ხშირად იმეორებდა წინასწარმეტყველი ისაიას სიტყვებს: „ეს ხალხი პატივსა მცემს ბაგითა, გულით კი შორს არიან“.

წერილის ავტორის აზრით:

სტალინის სულიერი სამყარო იესოს მოძღვრებაზეა დაფუძნებული, ის ორთოდოქსი ქრისტიანია, რომელიც უცვლელად ასრულებს უფლის დანაბარებს. მისი ლოცვების ფარული შესრულება განა „კარდაკეტილ სახლში ლოცვა“ არ არის, რომელიც „მღვდელს ხელს არ აძლევს“? სტალინს სწამდა, რომ „ღვთისბოძებული ბელადის“ საფლავს ნაგვით აავსებდნენ, მაგრამ ისიც შთაგონებული ჰქონდა, რომ ამ ნაგავს ისტორიის ქარი, ღმერთისგან მონაბერი, გაფანტავდა; მან ისიც კარგად იცოდა, რომ „ეს ხალხი პატივსა მცემს ბაგითა, გულით კი შორს არიან“.

ლეგენდა სინამდვილედ იქცა 1899 წლის მაისში, როდესაც თბილისის სასულიერო სემინარიის დამამთავრებელი კურსის უკანასკნელი გამოცდის წინა ღამეს **იოსებ ჯუღაშვილს** ბერი გამოეცხადა და თავისთან იხმო. სემინარისტმა იოსებმა ყველაფერი სემინარიის დირექტორს გაანდო და მანაც თანხმობა მისცა, ხლებოდა ბერს. სტალინი აფხაზეთში გაემგზავრა. იხილა სიმონ კანანელის სახელობის ახალი ათონის მონასტერი და წარუდგა მის წინამძღვარ **არქიმადრიტ იერონს**, რომელმაც გულთბილად მიიღო ყმაწვილი ჯუღაშვილი, იგი ახალი ათონის მთავარი სიწმინდით დალოცა და თავის კელიაში შეიყვანა. იერონმა იოსებს საიდუმლო გაანდო:

**„რუსეთზე მოვა მხეცის მეფობა, ყიურები დაიწყებენ რუსი ხალხის განადგურებას, შენ კი გაანადგურებ ყიურებს. წადი!“** სოსო ჯუღაშვილი სემინარიის კედლებს აღარ გაკარებია და შეუდგა წმინდა მისიის აღსრულებას.

1919 წლის 5 ნოემბერს **უინსტონ ჩერჩილმა** თავისი გამოსვლა პარლამენტში ამ სიტყვებით დაიწყო:

**„ლენინი შეგზავნილი იყო რუსეთში გერმანელების მიერ, ზუსტად ისევე, როგორც შეგზავნიდნენ შუშის ჭურჭელს ტიფის ან ქოლერის კულტურით, რათა ის ჩაეპირქვავებინათ წყალში, რომელიც დიდ ქალაქს კვებავს“.**

იმ დაპლომბილი ვაგონის 165 მგზავრიდან, რომლებიც ლენინთან ერთად ჩამოვიდნენ პეტროგრადში, 128 იყო ებრაელი და ბოლშევიკების რევოლუციურ ორგანიზაციებში საკვანძო ადგილებს დაეუფლნენ. 1917 წლის მარტში პეტროგრადში ტურუხანსკის გადასახლებიდან ჩავიდა სტალინი.

პეტროგრადში ამერიკიდან ჩავიდა **ლევ ტროცკი**, რომელიც რუსეთში გამოგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, მასონმა **ვუდრო ვილსონმა.** ტროცკის მფარველობდნენ ფრიად გავლენიანი ძალები, მათ შორის, სიონისტური ორდენის — **„ნაით ბრითის“** — ხელმძღვანელები, რომელთა ლოზუნგიც იყო: **„ჩვენ უნდა გადავაქციოთ რუსეთი თეთრი ზანგებით დასახლებულ უდაბნოდ“.**

ასე დაიწყო ბრძოლა კეთილსა და ბოროტს შორის.



ლეონარდო და ვინჩი — „საიდუმლო სერობა“

**სტალინი აფხაზეთში გაემგზავრა. იხილა სიმონ კანანელის სახელობის ახალი ათონის მონასტერი და წარუდგა მის წინამძღვარ არქიმანდრიტ იერონს, რომელმაც გულთბილად მიიღო ყმაწვილი ჯუღაშვილი, იგი ახალი ათონის მთავარი სიწმინდით დალოცა და თავის კელიაში შეიყვანა. იერონმა იოსებს საიდუმლო გაანდო: «რუსეთზე მოვა მხეცის მეფობა, ყიურები დაიწყებენ რუსი ხალხის განადგურებას, შენ კი გაანადგურებ ყიურებს. წადი!» სოსო ჯუღაშვილი სემინარიის კედლებს აღარ გაკარებია და შეუდგა წმინდა მისიის აღსრულებას**




## ყურადღება!

„ბიბლუსისა“ და „ლიბრას“ მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე, მეტროპოლიტენის სადგურებთან: „მარჯანიშვილი“, „რუსთაველი“, „თავისუფლების მოედანი“ შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო ორგანიზაცია „სტალინის“ თავმჯდომარის, ბატონი გრიგოლ ონიანის წიგნი „სტალინი“, რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის — სტალინის შესახებ.

წყევლაკრულვიანი საკითხავი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ათასჯერ და ათიათასჯერ ჯობია, რომ ჩვენ ჩვენი თავი გავიცნოთ, ჩვენი სიმრუდე თვითონვე გავისწოროთ და მაშინ უფრო ძლიერნი ვიქნებით მტრის წინააღმდეგ, ვინემ დღესა ვართ“.**

# როგორ შეიძლება ქვეყნისთვის მეტი სარგებლის მოტანა?

**ქართული სახელმწიფოს გონივრულად მოწყობისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გარდაქმნების თაობაზე ნიკო ნიკოლაძის მოსაზრებები საუკეთესო რჩევებია ქართული სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე არსებული პრობლემების გადასაჭრელად. მის შეგონებებს ნიკოლაძის პოლიტიკური ანდერძი შეიძლება ვუწოდოთ, რომლიდანაც ქართველმა ერმა არასოდეს არ უნდა გადაუხვიოს.**

## მცირერიცხოვანი ერებისთვის რა არის უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის იარაღი?

ნიკო ნიკოლაძის აზრით, მცირერიცხოვანი ერებისთვის უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის იარაღია სიმრავლე, ნაკლისა და ჭირის არ დამალვა და თვითმკურნალობა: **„ჩვენ რიცხვით, ძალით, ოინობით ვერაფერს ვერასოდეს ვერ გავიტანთ... ერთი იარაღი გვაქვს ჩვენ, მარტო ერთი: აზრის სისწორე, სინდისის სიმრავლე, გონიერება, საქმის სიწმინდე. მარტო ამით შეგვიძლია ჩვენ გავიმარჯვოთ, შემდეგში, მომავალში, როდესმე. მაშ, ჩვენ უმანკოდ და გაუსვრელად უნდა შევინახოთ ეს ჩვენი მხოლოდი იარაღი, თორემ იმ დღეს, როცა ჩვენი მტერნი, რიცხვით და ძალით ძლიერნი, ჩვენ წინააღმდეგ სიმართლესაც მოიპოვებენ, ჩვენი საქმე ფიზიკურად და ზნეობრივადაც დაღუპული იქნება“.**

ნიკოლაძეს კარგად ესმის, რომ ჩვენი ნაკლოვანებანი ჩვენვე უნდა გამოვასწოროთ: „ქვეყანა იმდენად ბრმა და ყრუ როდია, რომ ჩვენი შეცდომები ან უხეირობა ვერ დაინახოს თვითონ, ჩვენ რომ ამაებზე მუნჯებსავით გავჩუმდეთ. **სირაქლემასავით თავი ბუჩქებში რომ დავმალოთ, მტერი მაინც დაგვინახავს და მაინც დაგვამარცხებს. ათასჯერ და ათიათასჯერ ჯობია, რომ ჩვენ ჩვენი თავი გავიცნოთ, ჩვენი სიმრუდე თვითონვე გავისწოროთ და მაშინ უფრო ძლიერნი ვიქნებით მტრის წინააღმდეგ, ვინემ დღესა ვართ“.**

**„ყოვლად შეუძლებელია საზოგადოებრივი წარმოება და საზოგადო აზრის გაუკეთესება, თუ ჩვენ დისციპლინად იმას მივიღებთ, რომ გავჩუმდეთ, ხმას ნუ ამოვიღებთ, მტერი გვიცქერის და გაიხარებსო. ჩვენ სხვანაირი გახარების უნდა გვეშინოდეს მტერის, იმ გახარების, რომელიც წარმოებს ჩვენი აზრის სისუსტისაგან და ჩვენი რაზმის უხეირო წაყვან-წამოყვანისაგან... ყოველ გონიერ კაცს ჩვენში მოვალეობა აქვს, არ დაუფაროს თავის საზოგადოებას აზრი და შეხედულება საზოგადო საჭიროებაზე და საქმეებზე“.**

## რა შეიძლება იყოს წარმატებისა და განვითარების გარანტი?

ნიკო ნიკოლაძე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ეროვნული ენერგიის სწორ და რაციონალურ გამოყენებას, ძალების უგუნური ხარჯვის თავიდან აცილებას, **საერთო საქმისადმი გონივრულ დამოკიდებულებასა და თავდადებას.** ეს მას მიაჩნდა წარმატების გარანტად, განვითარებისა და დაწინაურების, გამარჯვების პირობად. მაგრამ არის კიდევ უფრო არსებითი — „ზარალი საერთო ინტერესებისა, რომელსაც ქვეყნად არასდროს არ ეხება არავითარი კონტროლი. ეს არის უგუნური ხარჯვა ძალებისა, რომელნიც უკეთეს ვითარებაში უფრო შესამჩნევი სარგებლობის მოტანას შეძლებდნენ. კონტროლს არ შეუძლია შეამოწმოს ის, რაც შეიძლება გაკეთებულიყო, მაგრამ არ გაკეთებულა სულიერი სიღატაკისა და ისეთ ადამიანთა ნაკლებობის გამო, რომელთა მთელი თავმოყვარეობა მდგომარეობს საყვარელი სამშობლოსთვის რაც შეიძლება მეტი სარგებლობის მოტანაში“.

## რომელი საქმეებია პრიორიტეტული ერისთვის – საშინაო თუ საგარეო?

ქვეყნის ცხოვრებაში ხშირად წამოიჭრება ხოლმე საკითხი: **რომელი საქმეებია პრიორიტეტული ერისთვის — საშინაო თუ საგარეო?** ნიკო ნიკოლაძის აზრით, **ერისთვის (განსაკუთრებით მცირერიცხოვანი ერებისთვის) უფრო პრიორიტეტული საშინაო პრობლემების მოგვარებაა, რადგან უმნიშვნელოვანეს საგარეო და ეკონომიკურ საკითხებს მსოფლიოში სულ 5-6 ქვეყანა წყვეტს, დანარჩენებს კი სტატისტების როლი აქვთ განკუთვნილი, მათ შორის — ჩვენც.** სწორედ აქედან გამომდინარეობს ნიკოლაძის დასკვნა, რომ **„მხოლოდ შინაგანი საქმეების გონივრულად და დამაკმაყოფილებლად მოგვარება უზრუნველყოფს გარედან მოსალოდნელ საშიშროებას და მოგვიტანს საგარეო დიდებას.** რა დიდიც უნდა იყოს ჩვენი გამარჯვებანი, მათი დიდება კვამლივით გაიფანტება, თუკი ჩვენს შინაგან წესებს არ ავიყვანთ საგარეო დიდების სიმაღლეზე, თუკი ჩვენს საკუთარ სახლში არ დავაკმაყოფილებთ აუცილებელ მოთხოვნებს, თუკი ხელს მივყოფთ საკუთარი ინტერესების სისტემატურ იგნორირებას, შევუქმნით ჩვენს თავს მრავალ ხელოვნურ სიძნელეს, მაშინ ეს გარემოება ადრე თუ გვიან სამხედრო წარმატებებზეც კი უდავოდ დამასუსტებელ გავლენას იქონიებს“.

ცხოვრებამ დაადასტურა ნიკოლაძის ეს დებულება — **ვერც ერთმა ხელისუფლებამ (გამსახურდიას, შევარდნაძის, სააკაშვილის) საშინაო პრობლემები ვერ გადაწყვიტა — ერის ინტერესების უგულებელყოფით ჩვენს თავს მრავალი სიძნელე შევუქმენით.**

ის, რომ დიდი ქვეყნები არად აგდებენ მცირერიცხოვან ერებს, ძარცვავენ მათ და ართმევენ ტერიტორიებსა და სიმდიდრეებს, საარსებო რესურსებს, ნიკოლაძემ შესანიშნავად იცოდა და ამაზე ჯერ კიდევ მაშინ აფრთხილებდა ქართველობას: **„იმავე მიზეზის ძალით, რომლითაც მე და შენ, ჩემო კარგო მკითხველო, ვერ ვგრძნობთ საკუთარ უსამართლობას, დანაშაულობას და სისაძაგლეს, როცა უმანკო კრავს ან ხბოს ვკლავთ ან ვაკვლევინებთ ჩვენის კუჭის გასაძღომად, ევროპელი ხალხი — ჩვენთვის ერთობ საჭიროა, გავიგოთ, გონებაში ჩავიბეჭდოთ და ნიადაგ გვახსოვდეს ეს გარემოება — ევროპელი ხალხი-მეთქი, სწორედ იმ თვალით უყურებს ყოველს სხვა უკანჩამორჩენილს, უძლურს და უმეცარ ხალხს, როგორითაც ჩვენ თვითონ ცხვრის ფარას დავცქერით“.** სხვაგან კიდევ უფრო მოურიდებლად აღნიშნავდა, რომ, **თუ სხვის იმედსა და დახმარებაზე დავამყარებთ ქვეყნის მომავალს და ხელს და ჭკუას არ გავანძრევთ, „ევროპის სახელმწიფოები საქართველოს ან ალჟირივით დაიმონებენ, ანდა ინდოჩინეთივით ძარცვას დაიწყებენ“.**




**«ევროპელი ხალხი — ჩვენთვის ერთობ საჭიროა, გავიგოთ, გონებაში ჩავიბეჭდოთ და ნიადაგ გვახსოვდეს ეს გარემოება — ევროპელი ხალხი-მეთქი, სწორედ იმ თვალით უყურებს ყოველს სხვა უკანჩამორჩენილს, უძლურს და უმეცარ ხალხს, როგორითაც ჩვენ თვითონ ცხვრის ფარას დავცქერით»**

**იმისათვის, რომ აიცილო მესამეხარისხოვანი ქვეყნის ბედი, ყოველმხრივ გაძლიერებაა საჭირო — ეკონომიკურად, სოციალურად, კულტურულად და სამხედრო თვალსაზრისითაც კი.** მხარში რომ ამოუდგე ევროპულ ქვეყნებს, იგივე გზა უნდა გაიარო, რაც გაიარეს სხვებმა — ევროპული განათლებისა და მეცნიერების დანერგვა, თავაუღებელი შრომა. „ევროპული წესი და ცხოვრება, ევროპული მეცნიერება ჩვენ სამაგალითოდ უნდა მიგვაჩნდეს“, — წერდა ნიკოლაძე. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, აზრიანი შრომა — მცირერიცხოვანი ქვეყნებისთვის ამ ყველაფრის გაკეთება გადარჩენის ერთადერთი შანსია: **„კერძო პირსაც, საზოგადოებასაც, ერსაც თავის ცხოვრება, ბედი და იმედი მარტო საკუთარ შრომასა და ღონეზე უნდა ჰქონდეს დაფუძნებული. მარტო ეს საძირკველია შეურყეველი, მარტო მასზე შენდება მტკიცედ საკუთარი შენაძენიც და სხვისი დანახმარიც“.**

ამ მიდგომის წყალობით ეძლევა მცირერიცხოვან ქვეყანას არათუ გადარჩენის, არამედ გაძლიერების შანსიც. ამის მაგალითად ნიკოლაძეს მოჰყავდა შვეიცარია და ჰოლანდია... ჰოლანდიელები დაჭაობებული ზღვის ნაპირას მძიმე პირობებში ცხოვრობდნენ, მიწა არ ჰყოფნიდათ. შრომაც ძნელი იყო და არსებობაც, მაგრამ მათ მოახერხეს ამ მდგომარეობისაგან თავის დაღწევა, არა იმით, რომ ბუნების კანონი შეცვალეს, არამედ იმით, რომ ის კანონები შეისწავლეს, გარემო-პირობების საიდუმლო ამოხსნეს და მერე ცოდნით შეიარაღებულნი ისე მოიქცნენ, როგორც ამას ბუნების კანონზომიერება ითხოვდა. იმას მიაღწიეს, რაც დღეს აქვთ, — წერდა ნიკო ნიკოლაძე.

ცოდნით შეიარაღებას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა იაკობ გოგებაშვილიც. ამაზე მომდევნო წერილში ვისაუბრებთ.

**თუ სხვის იმედსა და დახმარებაზე დავამყარებთ ქვეყნის მომავალს და ხელს და ჭკუას არ გავანძრევთ, «ევროპის სახელმწიფოები საქართველოს ან ალჟირივით დაიმონებენ, ანდა ინდოჩინეთივით ძარცვას დაიწყებენ»**

რუბრიკას უძღვება
**დარეჯან ანდრიაძე**

ისტორიანი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ყველა ავტორი, ვინც კი დღემდე შეხებია სულხან-საბა ორბელიანის მისიას დასავლეთ ევროპაში, თითქმის ერთი და იმავე დასკვნამდე მიდის: საფრანგეთს არ ჰქონდა შორეული საქართველოს დახმარების თავი; საქართველოსათვის საფრანგეთი არ გაართულებდა ურთიერთობას თურქეთსა და ირანთან; ეკონომკიურად და პოლიტიკურად დასუსტებულმა საფრანგეთის მონარქმა მხოლოდ ცარიელი დაპირებებით გამოისტუმრა ვახტანგის ელჩი; საფრანგეთს არ შეეძლო, დაეთმო თავისი სავაჭრო და პოლიტიკური ინტერესები ირანში საქართველოს გამო; ყოველივე ამის შედეგად შეუძლებელი იყო რეალური დახმარების მიღება საფრანგეთიდან...**

# ევროპაში სულხან-საბა ორბელიანის დიპლომატიური მისიის შედეგები

**თუ სხვის იმედსა და დახმარებაზე ქვეყნის მომავლის დამყარება მხოლოდ ფუჭი ოცნება და იმედების გაცრუებაა, რაც არა ერთხელ იწვნია ჩვენმა ქვეყანამ, ამის საუკეთესო მაგალითია სულხან-საბას მოგზაურობა ევროპაში. მეცნიერ-ისტორიკოსმა ილია ტაბაღუამ უაღრესად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართულ-ევროპულ ურთიერთობათა კვლევის საქმეში. ის წლების განმავლობაში მუშაობდა საფრანგეთის, იტალიის, ესპანეთისა და გერმანიის არქივებში, სადაც მოიპოვა მეტად ძვირფასი ცნობები ქართველ მეფე-მთავართა მიმოწერების შესახებ. მის მრავალრიცხოვან ნაშრომთა შორის აღსანიშნავია „ევროპაში სულხან-საბა ორბელიანის დიპლომატიური მისიის შედეგები“. მასში მოთხრობილია დიდი ქართველი მამულიშვილის მღელვარე ევროპული ოდისეა. ნაშრომი შეიცავს ძალზე საყურადღებო ინფორმაციებს XVIII საუკუნის პოლიტიკური ცხოვრების შესახებ, რომელსაც მკითხველს ვთავაზობთ მცირე შემოკლებით.**



...არის სხვა ცნობაც სულხან-საბას რომში ჩასვლისა და იმ შეხვედრის შესახებ, რომელიც მას იქ მოუწყვეს. ცნობაში, რომელიც გამოქვეყნებულია იმ დროის პრესაში, ნათქვამია: „საქართველოს თავადი, რომელიც ატარებს ბერძნული ეკლესიის ერთ-ერთი ორდენის — წმიდა ბასილის — ტანისამოსს, ეს-ეს არის საფრანგეთიდან დაბრუნებული ჩამოვიდა რომში გასული თვის შუა რიცხვებში. პაპმა მის შესახვედრად გაგზავნა ორი ეტლი, რომელთაც მისდევდა კარდინალ ალბანის კარეტები. კარდინალმა ალბანიმ ის მოათავსა მამა მისიონერებთან მონტე-ჩიტორიოში, სადაც მისთვის მომზადებული ჰქონდა ბინა. ამ ბინაში სულხან-საბა ღებულობდა კარდინალებს“.

5 ივლისს სულხან-საბა მიიღო პაპმა **კლიმენტ XI**-მ; მანამდე ისინი ენრთმანეთს მხოლოდ წერილებით იცნობდნენ... მიიღო რა სულხან-საბა, — ვკითხულობთ ერთ ადგილას, — პაპმა „საფრანგეთის მეფის მსგავსად წარუდგინა მას დიდი რაოდენობით მისიონერები და მათ შორის ორი იეზუიტი, რომლებიც ნამყოფი იყვნენ სპარსეთში“.

ასე დამთავრდა სულხან-საბა ორბელიანის პირველი შეხვედრა კლიმენტ XI-სთან... აი, კიდევ ერთი ცნობა, რომელიც ეხება სულხან-საბას პაპთან შეხვედრას: „საქართველოს მეფის ბიძა სულხან-საბა, — წერს ჟან ბონე, — ჩამოვიდა რომში. მას ჰქონდა აუდიენცია ჩვენს წმიდა მამასთან, პაპი კლიმენტი XI-სთან, რომელსაც მან დაუდასტურა მეგრელების სურვილი და განწყობა, რათა მიიღონ ევროპელი მისიონერები და მათი შემწეობით დაუბრუნდნენ ეკლესიის ერთიანობას“.

...ამასთანავე, ჩვენ გვაქვს ერთი საბუთი, რომელიც ეხება სულხან-საბას მისიას პარიზსა და რომში. ამ საბუთში, რომელსაც აწერია „1714 წლის ივნისი“, ვკითხულობთ: „ბატონმა სულხან-საბამ, ქართველმა თავადმა, წმიდა ბასილის ორდენის ბერმა, საფრანგეთში ჩამოსვლისას, მეფეს სთხოვა ორი წყალობა: პირველი, აღმოუჩინოს დახმარება საქართველოს მეფეს, მის დისშვილს, რათა იგი თავისუფლად დაბრუნდეს თავის სამფლობელოებში; მეორე, კეთილი ინებოს, გაგზავნოს 12 მისიონერი სამეგრელოსა და აბხაზეთში, რომლებიც მეზობლები არიან“.

საფრანგეთის მეფემ „მისთვის გამართული ორი აუდიენციის დროს უბოძა ორივე წყალობა; უთხრა, რომ საჭიროა მხოლოდ, რათა მან ყოველივე ამის შესახებ აცნობოს მის უწმიდესობას, რომლის მითითებასაც ის სიამოვნებით შეასრულებს“.

სულხან-საბა ორბელიანმა, „გაემგზავრა რა რომში, უდიდესი მადლიერების გამოვლინებით მოახსენა მის უწმიდესობას მეფის ნათქვამი“.

პაპმა კლიმენტ XI-მ „დაინახა ამაში ორი, სრულიად განსხვავებული რამ; მანაც, როგორც წმიდა კონგრეგაციამ, გადაწყვიტა, რომ, რამდენადაც საქართველოს მეფის, ვახტანგის, განთავისუფლება მთლიანად დამოკიდებულია სეფიანებზე, მის უდიდებულესობას შეუძლია, ვაჭრობის საშუალებით ბევრი რამის გაკეთება მის (ვახტანგის — ი.ტ.) სასარგებლოდ, და რომ სპარსეთის ელჩის ჩამოსვლაც კი დიდად სასარგებლო იქნებოდა“.

**„მაგრამ, —** ნათქვამია შემდეგ ამ საბუთში, — **რაც შეეხება მისიონს და 12 მისიონერის რჩევას, ერთმაც და მეორემაც ჩათვალეს, რომ ამას არ ჰქონდა არავითარი კავშირი არც სპარსეთის ელჩთან, არც საქართველოს მეფის განთავისუფლებასთან: ჯერ — ერთი, სამეგრელოს, რომელსაც ჰყავს თავისი ცალკე მთავარი და რომელიც დამოკიდებულია სულთანზე, არავითარი კავშირი არა აქვს ქართლთან; მეორე, სამეგრელოს პატრიარქს, რომელმაც ითხოვა ეს მისიონერები, თვითონ სურს, მხარი დაუჭიროს მათ, დაკავშირებულია რა ამ მხარის მთავართან და დიდებულებთან. ამრიგად, საჭიროა, განხილულ იქნეს ეს საქმე, როგორც სრულიად განსაკუთრებული და განსხვავებული სეფიანების ელჩის ჩამოსვლასთან დაკავშირებული ყველა საკითხისაგან. ამის აუცილებლობას გვატყობინებს ბატონი დეზალორი კონსტანტინოპოლიდან“.**

...მაგრამ „ეს ღირსეული მოხუცი, — ნათქვამია ამ საბუთში, — დიდად დამწუხრდება, როცა შეიტყობს, რომ მას არათუ უგზავნიან მისიონერებს, არამედ სულაც არ გაუგზავნიან, თუ მათი გაგზავნა აღმოჩნდა ელჩის ჩამოსვლასა და მისი ელჩობის წარმატებაზე დამოკიდებული“.

„ვიცნობ რა ქართველების ნიჭიერებას, — წერს საბუთის ავტორი, — შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ გაცილებით უფრო ხელსაყრელი იქნებოდა სარწმუნოებისათვის, რომ მას (სულხან-საბას — ი.ტ.) არ აღვუთქვათ ის, რასაც ვერ შევასრულებთ. ყოველ შემთხვევაში, სულხან-საბას რომ არ ეთქვა და არ მიეწერა ყველგან, როგორი გულკეთილობით მიიღო ის მისმა უდიდებულესობამ და აღუთქვა ყოველი თხოვნის შესრულება. **მე ვთქვი, რომ ვერ შევასრულებთ დაპირებას, რადგანაც, თუ მისიონერების გასაგზავნად საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისათვის ელოდებიან სპარსეთის ელჩს, მათ ან სრულიად არ გაგზავნიან, ან გაგზავნიან მეტად გვიან**“.

**«ვიცნობ რა ქართველების ნიჭიერებას, — წერს საბუთის ავტორი, — შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ გაცილებით ხელსაყრელი იქნებოდა სარწმუნოებისათვის, რომ მას (სულხან-საბას) არ აღვუთქვათ ის, რასაც ვერ შევასრულებთ»**

...სულხან-საბა ორბელიანის პაპთან უკანასკნელ შეხვედრასა და რომიდან მისი გამგზავრების შესახებ ჩვენ მოგვეპოვება ზოგიერთი საინტერესო საარქივო მასალა, განსხვავებული იმისაგან, რაც მოცემულია სულხან-საბას „მოგზაურობაში“.

„მისმა უწმიდესობამ ინება, მოეწვიათ თავადი (სულხან-საბა — ი.ტ.) გასულ შაბათს, ამა თვის (აგვისტოს — ი.ტ.) 11-ში, რათა გაემართა მისთვის გამოსამშვიდობებელი აუდიენცია. ამ აუდიენციის დროს პაპმა სულხან-საბას აჩუქა აქატის კრიალოსანი ლამაზი ოქროს მედლითა და ბროლის ჯვრით, რომელშიც იყო ნამდვილი ჯვრის ნაწილი. პაპმა აღუთქვა სულხან-საბას, გაუგზავნოს მას სავსე ჭურჭელი agnus dei, რომელიმე წმინდანის რელიკვიებით. პაპს უნდა, რომ სულხან-საბა აქედან გაემგზავროს ყველა შესაძლებელი კმაყოფილებით და მან უბრძანა ცარდინალს, მისცეს სულხან-საბას ყოველივე ის, რაც მისთვის აუცილებელი იქნებოდა მისი მოგზაურობისათვის...“.

სულხან-საბა რომიდან გაემგზავრა ფლორენციაში, იქიდან — ლივორნოში და ბოლოს — კუნძულ მალტაზე, რათა იქიდან გამგზავრებულიყო კონსტანტინოპოლში.

საფრანგეთსა და იტალიაში სულხან-საბა ორბელიანის მოლაპარაკების დამთავრების შემდეგაც გრძელდებოდა მიწერ-მოწერა საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენლებსა და ვერსალსა და ვატიკანს შორის.

„მე მივიღე პაკეტი ბატონი კარდინალი დე ლა ტრემუაისაგან, — სწერს **ჟან რიშარი** თავის მინისტრს 1715 წლის 27 აგვისტოს მარსელიდან, — რომელიც მატყობინებს, რომ მან გაუგზავნა თქვენს დიდებულებას წმიდა კონგრეგაციის გადაწყვეტილებები, როგორც სამეგრელოსთან ახალი მისიების გამოყოფის შესახებ, საქართველოს მეფის ვახტანგის განთავისუფლების შესახებ და იმაზე, რაც შეეხება სომეხთა პატრიარქს სპარსეთში“.

წმიდა კონგრეგაცია აღფრთოვანებული იყო, რომ მას საშუალება ეძლეოდა, ფართოდ გაევრცელებინა კათოლიკური სარწმუნოება. პირველ რიგში ამ დადებით მხარეს ხედავდა იგი სულხან-საბას მისიაში. „ეს არის სამეგრელო, რომელიც მდებარეობს შავი, ანუ პონტო-ევქსინის ზღვის სანაპიროზე; კარგი ქვეყანა, მოსავლიანი და ოდესღაც განთქმული, ცნობილი იასონის, არგონავტების ბელადის ექსპედიციის შემწეობით, რომლებიც გაემგზავრნენ ოქროს ვერძის დასაპყრობად. ეს მეტად ზომიერი კლიმატის ქვეყანაა. მაცხოვრებლები აქ გულკეთილნი არიან...“

* * *

ჟან რიშარის ხელით დაწერილ ერთ-ერთ დოკუმენტში ჩამოთვლილია ის წერილები და საბუთები, რომლებითაც აღჭურვილი იყო საქართველოსა და ირანში გასამგზავრებლად მომზადებული ჟან რიშარი:

1. საფრანგეთის მეფის — ლუი XIV-ის წერილი ვახტანგისთვის;
2. სხვა წერილები ირანის შაჰის კარისთვის;
3. საქართველოსა და მის მეზობელ მხარეებში ჟან რიშარის კონსულობის რწმუნების სიგელი, „ინსტრუქციები და განკარგულებები, რომელთა შესრულება მე მომიხდება“;
4. სარეკომენდაციო წერილი ელჩი დეზალორისთვის.

დასასრულ, ჟან რიშარი დასძენს: „...რამდენადაც მე უკვე მიცნობენ საქართველოში, როგორც ადამიანს, რომელიც სარგებლობს ზოგიერთის პატივისცემით სპარსეთის კარზე, მექნება შესაძლებლობა, დავეხმარო ჩვენს სოვდაგრებს, იმავე დროს ვიმუშაო 5 ან 6 მისიონერთან. მოგვიანებით შეუძლიათ შემომიერთდნენ (სხვა მისიონერები) კერპთაყვანისმცემელთა მოქცევაში, რომლებიც ცხოვრობენ ამ ქვეყნის (საქართველოს — ი.ტ.) ჩრდილოეთით“.

...მაგრამ აქ გაიგეს ორი არასასიამოვნო ახალი ამბავი, რომელთა შედეგად გაქარწყლდა ამ მისიის ყველა შესანიშნავი იმედი. პირველი, საფრანგეთის ელჩმა კონსტანტინოპოლში — ბატონმა მარკიზ დე ბონაკმა (რომელმაც შეცვალა გრაფი დეზალორი — ი.ტ.) გამოთქვა აზრი იმის შესახებ, რომ სულთანი არ გაატარებდა ევროპიდან მომავალ მისიონერებს და, მეორე, კიდევ უფრო სამწუხარო, მეფე **ლუი XIV**-ის გარდაცვალება 1715 წლის 1 სექტემბერს. თანხა, რომელიც მან გამოყო, გაუქმებულ იქნა: სახსრების უქონლობის გამო შეუძლებელი გახდა ამ მგზავრობის განხორციელება. ბატონი ბონე წერდა 1716 წლის 1 იანვარს: „მეფის სიკვდილმა გადადო ან სულ მოსპო სამეგრელოს მისიის პროექტი“.

**საფრანგეთის მეფის — ლუი XIV-ის გარდაცვალების შემდეგ შეიცვალა საფრანგეთის სამეფო კარის გეგმები. ყოველი შემთხვევისათვის, საქართველოსთან დაკავშირებული გეგმების განხორციელებაზე ახლა ნაკლებად ფიქრობდნენ. ლუი XIV-ის გარდაცვალებასთან ერთად, ხელისუფლებას ჩამოშორდნენ სხვა ხელმძღვანელი პირებიც; საფრანგეთის ელჩებსა და წარმომადგენლებს უცხოეთში გაეგზავნათ ახალი ინსტრუქციები და მითითებები.**

**ყოველივე ამის შემდეგ სულხან-საბა ორბელიანის ლოდინს კონსტანტინოპოლში აზრი არ ჰქონდა.** „ჩვიდმეტი თვე კონსტანტინეპოლს დავყავ და მაისის ცამეტს წამოვედით“, — წერს სულხან-საბა. მას თან ახლდა დავით მეგრელი. საფრანგეთის ელჩს კონსტანტინოპოლში — დე ბონაკს, თავის თავზე აუღია სულხან-საბასა და დავით მეგრელის საქართველომდე მგზავრობის ხარჯები და სპეციალურად კაციც გამოუყოლებია მათთვის, რომლისათვისაც დაუვალებია: „ესენი ქობულეთს, გურიას გაიყვანეო და გურიელს მიაბარეო. და ამათი წიგნი მოგვიტანეო მშვიდობით მისვლისა“.

სულხან-საბასთან ერთად მოდიოდა ოთხი მისიონერი: სამი პატრი კაპუჩინი თბილისისთვის და ერთი პატრი იეზუიტი შირვანისთვის.

სულხან-საბამ დიდი ტანჯვა-წამება გამოიარა საქართველოში ჩამოსვლამდე. მას გზაში ყველაფერი წაართვეს თურქებმა, ხოლო საკუთარ სამშობლოში მტრულად შეხვდნენ: დევნა დაუწყეს კათოლიკობის მიღებისა და ევროპაში წასვლის გამო. მის მოწინააღმდეგეთა შორის იყო ვახტანგის ძმა **იესე,** რომელიც იმ დროს ქართლს განაგებდა.

ასე ჩაიშალა დასავლეთ ევროპაში სულხან-საბა ორბელიანის დიპლომატიური მისია. დასავლეთ ევროპის ორიენტაციის საქართველოს პოლიტიკოსებმა ვერ მიიღეს საფრანგეთისაგან ის დახმარება, რომელსაც მოელოდნენ და რისთვისაც გაემგზავრა სულხან-საბა ევროპაში.

**ყველა ავტორი, რომელიც კი დღემდე შეხებია სულხან-საბა ორბელიანის მისიას დასავლეთ ევროპაში, თითქმის ერთი და იმავე დასკვნამდე მიდის: საფრანგეთს არ ჰქონდა შორეული საქართველოს დახმარების თავი; საქართველოსათვის საფრანგეთი არ გაართულებდა ურთიერთობას თურქეთთან და ირანთან; ეკონომიურად და პოლიტიკურად დასუსტებულმა საფრანგეთის მონარქმა მხოლოდ ცარიელი დაპირებებით გამოისტუმრა ვახტანგის ელჩი; საფრანგეთს არ შეეძლო დაეთმო თავისი სავაჭრო და პოლიტიკური ინტერესები ირანში საქართველოს გამო; ყოველივე ამის შედეგად შეუძლებელი იყო რეალური დახმარების მიღება საფრანგეთიდან...**

**დასასრული შემდეგ ნომერში**

# ვარსკვლავი თეიმურაზ გუგუშვილს

**საქართველოს სახალხო არტისტი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის, ზაქარია ფალიაშვილის, ზურაბ ანჯაფარიძის, ირინა არხიპოვას სახელობის პრემიების ლაურეატი, ღირსების ორდენოსანი, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტი, თბილისის კონსერვატორიის სოლო აკადემიური სიმღერის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი — ეს ბატონ თეიმურაზ გუგუშვილის რეგალიებია. ამ ფაქტობრივი მონაცემების მიღმა კი საყოველთაოდ აღიარებული გამოჩენილი ქართველი მომღერლის ბიოგრაფიის ფურცლებია, აღსავსე დაუცხრომელი შრომით, მუსიკის უსაზღვრო სიყვარულით, სიახლეების ძიებით, წარმატებებით.**

## კიდევ ერთი აღიარება




**თეიმურაზ გუგუშვილის** სახელი გამორჩეულია ჩვენი ქვეყნის მუსიკალურ ხელოვნებაში, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ისტორიაში. ულამაზესი ხმა, დიდი შემოქმედებითი ნებისყოფა, უსაზღვრო შრომისმოყვარეობა, პროფესიონალიზმი, დახვეწილი ვოკალური ოსტატობა, გრძნობათა უშუალობა, ემოციათა ფერადოვნება, გასაოცარი სცენური ხიბლი თეიმურაზ გუგუშვილის არტისტული თვითმყოფადობის ის ქვაკუთხედია, რომლის მეოხებითაც ქმნის მომღერალი სრულქმნილ სცენურ სახეებს ქართველ, რუს თუ დასავლეთის კლასიკოს და თანამედროვე კომპოზიტორთა თხზულებებში. ასეთი სახეები კი, ცხადია, ბევრია მის შემოქმედებაში: ალმავივა, ნემორინო, ჰერცოგი, რადამესი, დონ კარლოსი, კავარადოსი, კანიო, რუდოლფი, პინკერტონი, გერმანი, ლენსკი, აბესალომი, მალხაზი, კოტე, მინდია, არზაყანი და სხვ.

2017 წელი ერთგვარად საიუბილეო იყო თეიმურაზ გუგუშვილისთვის — 40 წლისწინ შესრულდა მას შემდეგ, რაც იგი თბილისის ოპერის თეატრის სოლისტი გახდა. ოპერის თეატრში გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან წარმატებით მოღვაწე არტისტების მხარდამხარ სერიოზული, მნიშვნელოვანი ეპოქა შექმნა თეიმურაზ გუგუშვილმა, რითაც გამორჩეული წვლილი შეიტანა არა მხოლოდ ამ თეატრის განვითარებაში, არამედ ქართული ვოკალური ხელოვნების წინსვლისა და აღმავლობის საქმეში. საამაყოა, რომ ორმოცწლიანი მოღვაწეობის განმავლობაში ბატონ თემურს არასოდეს უღალატია თბილისის ოპერის თეატრისთვის. დიახ, თეიმურაზ გუგუშვილი საუკეთესო ქართული სასიმღერო ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელია.

თეიმურაზ გუგუშვილის ხელოვნებას კარგად იცნობენ და აფასებენ მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში, სადაც ბევრი გასტროლი გამართა და სადაც მრავალგზის წარმატებით წარმოაჩინა ქართული ვოკალური სკოლა, საგასტროლო რუკა კი დაახლოებით ასე გამოიყურება: ყოფილი საბჭოთა კავშირის ქალაქები, ავსტრალია, ბელგია, დანია, ლუქსემბურგი, ჰოლანდია, გერმანია, იტალია, ინგლისი, შოტლანდია, ირლანდია, იაპონია, თურქეთი, ისრაელი, ჩეხეთი, სლოვაკეთი...

ასეთი გზით მოემართება ათწლეულების განმავლობაში ქართული ვოკალური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი, აღიარებული შემოქმედი, მუსიკის ერთგული მსახური თეიმურაზ გუგუშვილი — კაცი, რომელიც საკუთარ კვალს ავლებს ქართული მუსიკალურ-საშემსრულებლო ხელოვნების განვითარებაში და არაერთ შემოქმედებით წარმატებასაც ზეიმობს.

დღევანდელი გადასახედიდან სრულიად არგუმენტირებულად შეიძლება ითქვას, რომ





თეიმურაზ გუგუშვილი
აბესალომის როლში

**თეიმურაზ გუგუშვილი იმ ბედნიერ არტისტთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც უყვარს ხალხს, ეს სიყვარული კი ყველაზე დიდი ჯილდოა შემოქმედისთვის.**

და აი, გამოჩენილი მომღერლის ღვაწლის კიდევ ერთი ჭეშმარიტად დამსახურებული აღიარება: **4 თებერვალს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის წინ საზეიმოდ გაიხსნება თეიმურაზ გუგუშვილის ვარსკვლავი.**

წინამდებარე წერილის წერისას ინტერნეტში ამოვიკითხე საყოველთაოდ აღიარებული, წარმატებული საერთაშორისო კარიერის მქონე ახალგაზრდა ქართველი მომღერლების კომენტარები, ნათლად ჩანს მათი დამოკიდებულება თემურ გუგუშვილისადმი და იმდენად საგულისხმოდ მივიჩნიე, რომ გთავაზობთ რამდენიმე ფრაგმენტს: **„სულით და გულით ვულოცავ ბატონ თემურს ამ დამსახურებულ ჯილდოს და სახალხო აღიარებას! ყველამ ვიცით, რომ მართლაც ფენომენალურია მისი ფიზიკური თუ ვოკალური შესაძლებლობები. უკვე რამდენი ათეული წელია, მისი ვოკალური საშემსრულებლო ტექნიკა და დონე ურყევია, რაც მის მაღალპროფესიონალურობაზე მიუთითებს. ის კიდევ მრავალი წელი იქნება მის ჩვეულ „Top Form“-აში, და ალბათ, დაამკვიდრებს ვოკალური დღეგრძელობის გამოთქმას: „გუგუშვილის ფენომენი“. მახსოვს, ჯერ კიდევ სკოლის დაწყებითი კლასების მოსწავლე ვიყავი, მამას რომ დავყავდი ოპერის თეატრში, ბატონი თემური უკვე წამყვანი მომღერალი იყო. მას ცხოვრების მანძილზე უამრავი მსოფლიო მიწვევები ჰქონდა, შეეძლო ევროპაში ფუფუნებაში გაეგრძო კარიერა, მაგრამ, მახსოვს, მითხრა: რას ამბობ, ყოველდღე ჩემს ქუჩაზე რომ არ ავიარო, ცუდად გავხდები, დიდი-დიდი ერთი-ორი კვირა დავტოვო ჩემი უბანიო. ასეთი ადამიანები ათმაგად დასაფასებლები არიან...“** — წერს **თამარ ივერი.**

„ძალიან დამსახურებული და დროულია ჩვენი მგოსანისა და არაჩვეულებრივი პროფესიონალის — თემურ გუგუშვილის ვარსკვლავის გახსნა, მასთან ბევრჯერ მომიწია პარტნიორობა თბილისის ოპერის თეატრის სცენაზე და ასევე ბევრი რამ შემძინა ამან, კარგი ადამიანი და კარგი კოლეგაა“, — ასე აფასებს თემურ გუგუშვილს **გიორგი გაგნიძე.**

„ნამდვილად იმსახურებს ყველა ჯილდოს! ვულოცავ ბატონ თემურს — ფენომენალურ მომღერალს! ამდენი წელი იდგა სცენაზე, იმღერო ურთულესი და ძალიან განსხვავებული რეპერტუარი უმაღლეს დონეზე, ძალიან ძნელია. პოსტსაბჭოთა სივრცეში როგორ უყვართ და აფასებენ, ეგ ცალკე საკითხია — აღმერთებენ!“ — ეს კი **გიორგი ონიანის** სიტყვებია.

ბატონო თემურ, გულითადად გილოცავთ კიდევ ერთ აღიარებას! გილოცავთ ისეთივე წრფელი გულითა და გრძნობით, როგორითაც თქვენ ხართ გამსჭვალული სამშობლოსა და მშობელი ხალხის მიმართ, ისეთივე სიყვარულით, როგორიც გაკავშირებთ თქვენს მშობლიურ თეატრთან. დღეგრძელობას გისურვებთ და ვიმედოვნებთ, რომ კიდევ მრავალჯერ აღაფრთოვანებთ თქვენს ერთგულ თაყვანისმცემლებს.

**პატივისცემითა და საუკეთესო სურვილებით,**

**ზურაბ ოიკაშვილი**

## MOBY აცხადებს, რომ მას სთხოვდნენ, გაევრცელებინა ინფორმაცია «რუსული გარიგების» შესახებ

**დონალდ ტრამპის ინაუგურაციიდან დიდი დრო არ იყო გასული, როცა პოპულარულმა პროდიუსერმა Moby-მ სოცქსელებში გაავრცელა ინფორმაცია ამერიკის პრეზიდენტის მოსკოვთან კავშირის შესახებ, რადიოსადგურ WFPK-ისთვის ახლახან მიცემულ ინტერვიუშიც იგივე გაიმეორა.**



მან დეტალურად ილაპარაკა, თუ როგორ ხვდებოდა „მეგობრებს დაზვერვის უწყებიდან“, „ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მოქმედ და ყოფილ აგენტებს“, „მათ გადმომცეს გარკვეული ინფორმაცია და მითხრეს: „სოციალურ ქსელებში ნებისმიერ ჩვენგანზე გაცილებით დიდი აუდიტორია გყავს. შეგიძლია ამ ცნობების იქ გამოქვეყნება?“

მუსიკოსის თქმით, მან იცის, როგორია ამერიკის პრეზიდენტის რუსეთთან „გარიგების“ რეალური მასშტაბი, ფლობს „უამრავ მტკიცებულებას ტრამპის ადმინისტრაციის რუსებთან დამლუპველი თანამშრომლობის შესახებ“; წუხს, რომ კონგრესმა პრეზიდენტსა და მის ადმინისტრაციას დღემდე არ მოსთხოვა პასუხი; იმედოვნებდა, რომ კანონმდებლები დაინტერესდებოდნენ მონაცემებით, რომლებითაც დასტურდება აღმასრულებელი ხელისუფლების სავარაუდო კავშირი „მტრულ სახელმწიფოსთან“, მაგრამ მას იმედი გაუცრუვდა.

**„ეს ყველაფერი საგანგაშოა და საშიშიც ხდება, რადგან ტრამპის ოჯახის ბიზნესის ფესვები, მისი კავშირი ორგანიზებულ დანაშაულთან, ტერორიზმის დაფინანსებასთან, რუსეთის ოლიგარქებთან უკუნით არის მოცული. ვფიქრობ, ყველა ჩვენგანმა უნდა შევიკრათ უსაფრთხოების ღვედები და დაველოდოთ“,** — შესთავაზა მან თანამემამულეებს.

## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894